ISSN – 2667-9361 Vol 1, #2

ალტერბრიჯის სამეცნიერო ჟურნალი

„თანამედროვე მეცნიერების გამოწვევები“

მართვის და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი
„ალტერბრიჯი“

2020 წელი

მაკო ჯაოშვილი
PhD, ასოცირებული პროფესორი, მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ,,ალტერბრიჯი“

ნათია გოცაძე
PhD, საჯარო მმართველობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ,,ალტერბრიჯი“

მომავლის ტრენდი - ხიდი ფსიქოლოგიის თეორიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკას შორის

Abstract

The paper provides an analytical review of the foreign and local researchers opinion regarding the relationship between public relations and psychology. The results of the research conducted by the PR Association on the public relations challenges in Georgia and the competencies inherent in the profession in this field are discussed. As a result of obtained data it's revealed that PR practice is closely interacted with the psychological aspects.

საკვანძო სიტყვები: *კომუნიკაცია, გამოყენებითი ფსიქოლოგია, საზოგადოებასთან ურთიერთობა*

,,საზოგადოებასთან ურთიერთობა არის გამოყენებითი სოციალური მეცნიერება,
რომელიც იყენებს ფსიქოლოგიას, სოციოლოგიასა და სხვა დისციპლინებს,
რათა მეცნიერულად მართოს საზოგადოების აზრი და ქცევა“
ედუარდ ბერნეისი

შესავალი

საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიონალებს მოეთხოვებათ კომუნიკაციის მიმართულებით დაოსტატება. როგორ მოამზადო ზუსტი შეტყობინება, როგორ აირიდო საზოგადოებისთვის მცდარი გზავნილის მიწოდება, როგორ შეარჩიო ყოველი კონკრეტული სიტყვა, ფრაზა, დამოკიდებულება, რაც წარმოაჩენს ამა თუ იმ ორგანიზაციას, პიროვნებას, პროდუქტს - ეს ერთგვარი ხელოვნებაა. ამისთვის ზედმიწევნით კარგად უნდა იცნობდე შენს სამიზნე აუდიტორიას, იმ კონკრეტულ სეგმენტს, ვისზეც აკეთებ გათვლას, ვისთანაც ამყარებ კონტაქტს, ვისთვისაც ქმნი ინფორმაციას. ბუნებრივია, ამ ყველაფერში ფსიქოლოგიის გამოყენებით შეგიძლია დაადგინო რა მოსწონს, რა აინტერესებს, რა სურს მიზნობრივად

შერჩეულ ადამიანთა ჯგუფს. სწორედ აქ ჩნდება საკითხი, თუ რა რეაგირება ახლავს სხვადასხვა ტიპის ადამიანის მხრიდან ერთიდაიგივე შეტყობინების მიღებას.

სწორედ აქ იჩენს თავს, რა რეაგირება ახლავს სხვადასხვა ტიპის ადამიანების მხრიდან ერთდაიგივე შეტყობინების მიღებას.

უწყვეტი ინტერდისციპლინური კავშირი

საზოგადოებასთან ურთიერთობა, ერთი მხრივ სოციალური მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს და ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, მეორე მხრივ, როგორც სტრატეგიული მართვის ფუნქცია ამყარებს კომუნიკაციას წინასწარ შერჩეულ სამიზნე აუდიტორიასთან, ხელს უწყობს საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით კონკრეტული მიდგომების ჩამოყალიბებას (კობალავა, 2018). მართვის პროცესების წინასწარ დასაგეგმად და ორგანიზებისთვის მისი ფუნქციური დატვირთვა გულისხმობა მმართველობითი მექანიზმების შემუშვებას, საზოგადოებრივი დამოკიდებებულებების შეფასებას და ჰარმონიული ბალანსის დაცვას ყველა დაინტერესებულ მხარესთან ურთიერთობაში. კომპლექსურად თუ განვიხილავთ, საზოგადოებასთან ურთიერთობა წარმოადგენს ოთხი მნიშვნელოვანი კომპონენტის ერთობლიობას - RACE ანუ ინგლისური აბრევიატურით შემდგარ სისტემას: Research - კვლევა (საკვლევი საკითხის ანალიზი, ავტ შენიშვნა), Action - ქმედება (სამოქმედო გეგმის / ბიუჯეტის შედგენა, ავტ. შენიშვნა), Communication - ურთიერთკავშირი (დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა, პროცესების კოორდინაცია, ავტ.შენიშვნა) და Evaluation - შეფასება (შედეგების კონტროლი, დაზუსტება, ავტ. შენიშვნა). საზოგადოებასთან ურთიერთობის ბრიტანული ინსტიტუტი - IPR ამ დისციპლინას განმარტავს, როგორც „გავლენის მქონე ქცევა, რომელიც დასახულ ამოცანებს აღწევს ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ეფექტური მართვით“ (უილკოქსი, 2011).

რამდენადაც დღევანდელი სამომხმარებლო ბაზრისთვის ინტერნეტსივრცე და ციფრული მედია გაცილებით აქტუალურია, საზოგადოებასთან ურთიერთობის მიდგომებს ადრინდელი პიარტექნოლოგიების გარდა დაემატა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომელთა მეშვეობით ნებისმიერი ორგანიზაციის სამიზნე აუდიტორიის მნიშვნელოვან ნაწილთან წვდომა გამარტივებულია. სოციალური ქსელებით წარმოებული კომუნიკაცია ინტეგრირებულია საზოგადოებასთან ურთიერთობაში და გულისხმობს კომპლექსურ მიდგომას ანუ სოცმედია პლატფორმის შექმნას და მართვას (მაღრაძე, 2016).

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს, გრუნიგმა და ჰანთმა თავიანთ პუბლიკაციაში - ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა“, მიმოიხილეს საზოგადოებასთან ურთიერთობის ისტორიული განვითარების პროცესი და გამოთქვეს მოსაზრება, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს უდიდესი წარმატების მიღწევა, წინასწარ გაუცნობიერებლად, განაპირობა მასების დარწმუნებისთვის ფსიქოლოგიური პრინციპების გამოყენებამ (Grunig, JE, & Hunt, T,1984). ამ შეხედულებით ავტორებმა შემოგვთავაზეს საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკაში დამკვიდრდეს სოციალურ მეცნიერებათა საფუძვლებზე დამყარებული მასების დარწმუნების მიდგომა.

დღევანდელ კონკურენტულ გარემოში ფსიქოლოგია ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს ნებისმიერ დონეზე საურთიერთობოდ. ის განსაკუთრებულ როლს ასრულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სამუშაო გარემოსთვის ქცევითი მოდელის

ფორმირებაში, გარე სამყაროსთან ადაპტაციაში და რაც მთავარია, ჰარმონიულ ურთიერთობათა დამყარებაში. როცა გესმის განსხვავებულ ადამიანთა აზროვნებისა და ქცევის სტილი, შეგიძლია განსაზღვრო, რა როგორ თქვა ან არ თქვა კონკრეტულ სიტუაციაში.

ფსიქოლოგია, ფართო გაგებით, ეს არის ტვინის, აზროვნებისა და ადამიანთა ქცევის შემსწავლელი მეცნიერება. მისი არეალი საკმაოდ ფართოა: სოციალური ფსიქოლოგიით დაწყებული და ნეიროფსიქოლოგიით დამთავრებული. ცალკე განხილვის საგანია ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, რომელიც ემპირიული ტესტების მეშვეობით მკვლევრებს საშუალებას აძლევს გაიგონ, როგორ ფიქრობს და იქცევა ადამიანი. აქ შედის კოგნიტური ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია და ა.შ.

ქცევითი მიდგომების შესწავლა, რომელიც ფსიქოლოგიის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა, ამავდროულად, საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითადი დანიშნულებაც არის (Bailenson Jeremy N, 2008). რაოდენ დაუჯერებლადაც არ უნდა ჩანდეს, დღეს უკვე ფართოდაა აღიარებული, რომ სწორედ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფსიქოლოგია განსაზღვრავს ამ დარგში პრაქტიკოსი სპეციალისტის წარმატება-წარუმატებლობის ხარისხს.

ამის მიუხედავად, მაინც უკვირთ ხოლმე, რა საერთო შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებასთან ურთიერთობასა და ფსიქოლოგიას. ჩვენი მხრიდან შესაძლოა ერთგვარი თამამი ნაბიჯიც კი იყო, როცა მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო უნივერსიტეტ ,,ალტერბრიჯში“ ჩვენ მიერ შემუშავებული საბაკალავრო პროგრამის დასახელებაში ორივე დისციპლინა წამოვწიეთ წინა პლანზე - საზოგადოებასთან ურთიერთობა და ფსიქოლოგია. არადა, სიმართლე ითქვას, ამ სფეროთა წარმოუდგენლად მჭიდრო ურთიერთკავშირით საკომუნიკაციო პროცესი გაცილებით მარტივად მიმდინარეობს. კომუნიკაცია თავისი არსით იდეების, დამოკიდებულებებისა და შეგრძნებების ეფექტურად გადმოცემა-გაზიარებას ემსახურება, ხოლო ფსიქოლოგიის ცოდნა ამ უნარის გამყარების საშუალებას იძლევა.

სემფორდის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის, მასკომუნიკაციისა და ფსიქოლოგიის უფროსი სპეციალისტის, მერელენ ნიუტონის შეფასებით, საზოგადოებასთან ურთიერთობის ფსიქოლოგიას სულ უფრო მზარდი გავლენა აქვს პრაქტიკულ საქმიანობაში. ქცევითი მეცნიერული მიდგომების მეშვეობით შესაძლებელია გავლენა მოახდინო ყოველ კონკრეტულ აუდიტორიაზე და ეს მართლაც ერთ-ერთი ეფექტური ხერხია ქცევის შესაცვლელად. ის გვეხმარება შევიძინოთ გარკვეული პროდუქტი / მომსახურება, შეგრძნებების დონეზე გამოვხატოთ კონკრეტული დამოკიდებულება ბრენდისა თუ მის მიერ წარმოებული პროდუქციის მიმართ (Newton Merileen, 2018).

იმის გათვალისწინებით, რომ ფსიქოლოგია სწავლობს ქცევის თავისებურებებს და იმ გზებს, რომლითაც ადგენ თუ რას ფიქრობენ, რას განიცდიან და როგორ იქცევიან ადამიანები, მყარი საფუძველი გვაქვს დაშვებისათვის, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა მართლაც გამოყენებითი ფსიქოლოგიის დისციპლინაა მასებთან საკომუნიკაციოდ. PR პრაქტიკოსები თავიანთი გამოცდილებით ასაბუთებენ, რომ მათ რეალურად შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ადამიანთა ფიქრებზე, შეგრძნებებსა და მოქმედებებზე. ამისთვის ისინი იყენებენ მართვად კომუნიკაციას, რომლის შუამავალ მიზნებს წარმოადგენს რეპუტაციის მართვა ორგანიზაციასა და კლიენტს შორის ცნობადობის ამაღლების, ურთიერთგაგებისა და კეთილგანწყობილი დამოკიდებულების განსავითარებლად.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ფსიქოლოგიაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია გასათვალისწინებელი. ეს არის დამახსოვრება, რაც პირდაპირ აისახება ჯერ კომუნიკაციის სტრატეგიებში, ხოლო შემდეგ ქცევის შეცვლაში. საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკოსი ქმნის ზუსტ მესიჯს, რაც უზრუნველყოფს ერთი მხრივ, გავლენის მოხდენას, მეორე მხრივ, მასში კოდირებული ინფორმაციის გრძელვადიან მეხსიერებაში შენახვას.

ფსიქოლოგიისა და კომუნიკაციის ურთიერთქმედების ისტორიული ფესვები მოწმობს რაოდენ მკრთალი ზღვარი გადის მათ შორის. ამას ადასტურებს პიცბურგის, პრინსტონის, მინესოტას, იელის უნივერსიტეტების მკვლევართა ადრეული ნაშრომები, სხვადასხვა ფსიქოლოგიურ ჟურნალსა და პუბლიკაციაში გამოქვეყნებული სტატიები (Fleming,1994; Hovland et al., 1953, Bandura,1986). ჯონ დ. პიტერსის მოსაზრებით, მასკომუნიკაცის ტექნოლოგიები ფაქტობრივად ცვლის ჩვენს ზოგად წარმოდგენას კომუნიკაციის შესახებ. ციფრული ტექნოლოგიების მზარდი განვითარების პირობებში საკმაოდ გამარტივდა ინორმაციის გაგზავნა-გადაცემის საშუალებები (Peters, 1999). მედიის მეშვეობით ინტერპერსონალური ურთიერთქმედება თავისთავად აერთიანებს სხვადასხვა სახის ტექნოლოგიის გამოყენებას პირისპირ კომუნიკაციის დასამყარებლად და ფართო მასშტაბური ინფორმაციის გასავრცელებლად.

კომუნიკაცია, როგორც მექანიკური პროცესი, გულისხმობს გამგზავნის მიერ კოდირებული ინფორმაციის დეკოდირებას მიმღების მხრიდან. მისი დანიშნულებაა ორ ადამიანს, ადამიანსა და გარკვეულ ჯგუფს ან დიდი რაოდენობით ადამიანთა შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლა. თავად სიტყვის ძირი *Communicare* ლათინური წარმომავლობისაა და ნიშნავს "გაზიარებას". როგორც აკადემიური დისციპლინა, მოიცავს ინტერპერსონალურ ურთიერთობებს, ჯგუფურ / ორგანიზაციულ დონეზე ურთიერთქმედებას, კულტურათა შორის დიალოგის ფორმას, რიტორიკის თეორიას, კრიტიკულ აზროვნებას, ანალიზს, არგუმენტირებულ მსჯელობას, დარწმუნების ტექნიკებს. კომუნიკაცია არის ვერბალური, არავერბალური და პარავერბალური სახის. მისი ძირითადი მიმართულებებია:

გამოყენებითი კომუნიკაცია - მოიცავს შიდა ორგანიზაციულ და სოციალურ დონეზე ნებისმიერი ურთიერთქმედებისას კომუნიკაციის პროცესის შესწავლა-გაანალიზებას;

ინტერპერსონალური კომუნიკაცია - ეს არის წყვილებს შორის ურთიერთობისა და მათი ზეგავლენის დადგენა. აქ მნიშვნელოვანია ვერბალური და არავერბალური მეთოდებით სოციუმში გამოხატული ინდივიდების რეაგირება;

მასკომუნიკაცია და მედიაწიგნიერება შეისწავლის მედიაარხებით დამყარებული კომუნიაციის გამოყენებას და გავლენის შესაძლებლობას.

პოლიტიკური კომუნიკაციები - ქვეყნების, მთავრობების/პარტიების დონეზე პოლიტიკური სისტემაში კომუნიკაციის როლის განაზღვრა.

თავის მხრივ, მასობრივი კომუნიკაციის სფერო აერთიანებს რამდენიმე დარგს, მათ შორის, სარეკლამო საქმიანობას, საზოგადოებასთან ურთიერთობას, როგორც ორგანიზაციასა და მიზნობრივ აუდიტორიას შორის კომუნიკაციის მართვის შემსწავლელ დისციპლინას (გაგოშიძე, 2017). ის წარმოადგენს გარკვეული განწყობის / დამოკიდებულების შექმნის საშუალებას. შესაბამისად, ამ დარგში ადამიანთა პროფესიული ცოდნა ემყარება ფსიქოლოგიურ კანონზომიერებათა შესწავლას.

საზოგადოებასთან ურთიერთობაში და ზოგადად, ბიზნესში, გამოკვეთილია პრაქტიკული მიდგომის გამოყენება გადაწყვეტილებათა მიღებასა და შესაბამის მოქმედებებში. (Grunig, 1992; Dozier, 1995). ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევებით დასაბუთდა, რომ წარმატებული კომპანიები ან/და ორგანიზაციები სრულად არიან „ჩართული“ ყველა დაინტერესებული მხარესთან ურთიერთობის პროცესში და მათი ჰარმონიული ორმხრივი კომუნიკაცია განაპირობებს ბრენდისადმი ლოიალობას, კონკრეტული პროდუქტისა თუ მომსახურების გრძელვადიანი განვითარების შესაძლებლობას და ეფექტურობას. „მომავლის კომპანიების შესწავლა“ ასევე ადვოკატირებას უწევს აღნიშნული მოსაზრების მართებულობას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკის შესწავლასთან დაკავშირებით უამრავი განსხვავებული მოსაზრება არსებობს და მოიცავს ახალი საგნის განვითარების სურვილს. ამასთან დაკავშირებით მომზადებულ ერთ-ერთ სტატიაში, „ფსიქოლოგია და საზოგადოებასთან ურთიერთობები“ რომლის ავტორს, ჯონ უაიტს, პრაქტიკოს სპეციალისტებთან და პროფესიულ გაერთიანებებთან თანამშრომლობის უდიდესი გამოცდილება აქვს, თვალთნათლივ არის ნაჩვენები საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკის გავლენა ქცევაზე (White Jon, Dr. Ch et al., 1994).

საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტიტუტის (IPR) მიერ განახლებული განმარტებით ზემოაღნიშნული პრაქტიკა წარმოადგენს ე.წ. რეპუტაციის დისციპლინას, რაც დამსახურებლად მიიღწევა აზრისა და ქცევაზე გავლენის მომხდენი ურთიერთგაგებისა და მხარდაჭერის პროცესების შედეგად. ფაქტობრივად, ეს არის ნდობის გამყარება იმის თაობაზე რას ამბობ, რას აკეთებ და რას ამბობენ შენს შესახებ გარშემო მყოფნი (White Jon, Dr. Ch , 2003). აღნიშნულ სტატიაში თვალნათლივ არის წარმოჩენილი საზოგადოებასთან ურთიერთობის თეორიისა და პრაქტიკის კავშირი ფსიქოლოგიასთან. მოყვანილია მყარი არგუმენტები, რომლითაც საზოგადოებასთან ურთიერთობა, როგორც გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია, არის ადამიანთა ჯგუფებს შორის ურთიერთობის მართვა, რაც მოიცავს ჯგუფების ქცევაზე ურთიერთზეგავლენას და ერთმანეთის მიმართ ქცევის შეცვლის საშუალებებს.

ყველა პრაქტიკოსთა დაკვირვებით ნათლად ჩანს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესია მოიცავს იდეების წინ წაწევისა და რეპუტაციის შენარჩუნებისთვის საჭირო მენეჯერულ კომპეტენციებს. ასეთივე შეხედულებას იზიარებენ აკადემიური განათლების პროცესის მონაწილე ლექტორები, სასწავლო კურსის განმახორციელებელი პრაქტიკოსები, რომლებიც ასწავლიან სოციალურ მეცნიერებებს, კომუნიაციას, რეკლამასა და მარკეტინგს, ჟურნალისტიკის მიმართულებებს, ბიზნესის ადმინისტრირება და მენეჯმენტს. ამით რეალურად დასრულდა ხანგრძლივი დებატები, რაც ეხებოდა ორგანიზაციულ ქცევაში, გადაწყვეტილების მიმღებთა მართვაში, ჯგუფებთან ურთიერთობებში, კომუნიკაციის პროცესებსა და სოციალურ ზეგავლენის პროცედურებში ფსიქოლოგიის თეორიული ასპექტების გამოყენებას.

შესაბამისი ცვლილებები აისახა საზოგადოებასთან ურთიერთობის შემსწავლელი პროგრამების სტრუქტურასა და შინაარსში. წინა პლანზე წამოიწია ფსიქოლოგიის თეორიისა და მეთოდების გაცნობამ და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებამ. საზოგადოებასთან ურთიერთობის, როგორც მომავლის პროფესიის საკვალიფიკაციო მოთხოვნები აუცილებლად ეყრდნობა გამოყენებითი ფსიქოლოგიის ძირითადი ასპექტების გათვალისწინებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით საერთაშორისო მიდგომა ასეთია: ბაკალავრის კვალიფიკაცია კომუნიკაციებში, საზოგადოებასთან ურთიერთობებში ან ჟურნალისტიკაში.

პროფესიული კომპეტენცია	**ტრანსფერული უნარები**	**აკადემიური კომპეტენცია**
ურთიერთობები მედია და სარეკლამო სააგენტოებთან	ლიდერობა და გადაწყვეტილების მიღება	კომუნიკაციის საფუძვლების გაცნობიერება
საკომუნიკაციო მესიჯის ჩამოყალიბება / გავრცელება	ზეპირი / წერითი კომუნიკაცია & წარდგენა	პიროვნული ფსიქოლოგიის თეორიებში გარკვევა
იმიჯის, ხმის, ტექსტის შერჩევა	არგუმენტირებული მსჯელობით დასაბუთება	პიარის მიდგომების ცოდნა
დაინტერესებულ მხარეთა შორის ურთიერთობის დამყარება	ინფორმაციის მოგროვება, ანალიზი-სინთეზი	ცვლილებებისადმი მოქნილობა და კრიზისის მართვაში მონაწილეობა
პიროვნების ქცევის მოტივაცია და ფსიქო-ემოციური ზეგავლენა	ინტერპერსონალური უნარ-ჩვევები	ეკონომიკური, კულტურული და ფსიქოსოციალური გარემოს გაცნობიერება
ეთიკის ნორმების დაცვა	კრეატიულობა და კრიტიკული აზროვნება	ორგანიზაციულ მიზნებზე მორგების უნარი

საქართველოში საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგი განვითარების საწყის სტადიაზე იმყოფება. მისი, როგორც აკადემიური დისციპლინის სწავლებისადმი მიდგომები არაადექვატურია. ჩვენი სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე დაფუძნებული PR ასოციაციის მიერ, 2020 წლის ივნის-ივლისში ჩავატარეთ კვლევა, რათა დაგვედგინა დარგის მიმართ არსებული გამოწვევები და ის კომპეტენციები, რაც უნდა გააჩნდეს PR პროფესიონალს.

კვლევის მეთოდოლოგია

მეთოდად შერჩეული იქნა რაოდენობრივი კვლევა. ტექნიკად გამოვიყენეთ ელექტორნული გამოკითხვა სტურქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელიც მოიცავდა 16 ღია კითხვას 4-დან 10-მდე სავარაუდო პასუხებით, ასევე თავისუფალი კომენტარის ბლოკებს, სადაც შესაძლებელი იყო საკუთარი ვერსიის მითითება.

კვლევის შედეგები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 67-მა სხვადასხვა პროფესიული სპექტრის რესპონდენტმა. გამოკითხულთა დემოგრაფიული მაჩვენებლები ასეთია: რესპონდენტების უმეტესობის ასაკია 25-დან 36 წლამდე (55%), ძირითადად ქალბატონები (92%).

მიღებული მონაცემების დამუშავებით გამოვლინდა რამდენიმე საყურადღებო მიგნება. გამოკითხულთა 73% აზრით, PR პროფესიონალის საქმიანობა უნდა პრიორიტეტულად

მოიცავდეს სტრატეგიულ დაგეგმვას, რაც თავის მხრივ, საჭიროებს კონკრეტულ პროფესიულ კომპეტენციებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, ანალიტიკური აზროვნების უნარი, კვლევის, შეფასების და დაკვირვების უნარი, დროის მენეჯმენტის პრინციპების ცოდნა და ა.შ.

საინტერესო იყო რესპონდენტთა 77%-ის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ფუნქციურად PR სფეროს ყველაზე მეტად უკავშირდება სოციალური კორპორაციული პასუხისმგებლობა (CSR). მიგვაჩნია, რომ ეს დარგის შემდგომი განვითარების მაღალ ტენდენციაზე მიანიშნებს, რადგან პასუხისმგებლიანობის გაზრდასთან ერთად პროფესიული სტანდარტებისადმი მომთხოვნელობა მატულობს. გამოკითხულთა 78% საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიული მახასიათებლების განსაზღვრისას უპირატესობას შემოქმედებით მიდგომასა და მოქნილობას ანიჭებენ.

კვლევის შედეგებმა ასევე ცხადჰყო, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის წარმატებას ყველაზე მეტად განაპირობებს სამი ძირითადი პიროვნული მახასიათებელი: სტრესგამძლეობა - 60%; პასუხისმგებლობის გრძნობა - 58%; გამართული მეტყველება - 57%.

რაც შეეხება საზოგადოებასთან ურთიერთობის, როგორც აკადემიური დისციპლინის შესწავლას, გამოკითხულთა 37%-ის აზრით, ის უნდა ისწავლებოდეს სამივე აკადემიურ საფეხურზე - ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. რესპოდენტების 82%-მა აღნიშნა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის საგანმანათლებლო პროგრამა აუცილებლად უნდა მოიცავდეს ფსიქოლოგიის სხვადასხვა განხრას, რაც თავისთავად ხაზს უსვამს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ფსიქოლოგიის პირდაპირ კავშირს.

დასკვნა და რეკომენდაციები

ბიზნესის განვითარების ტენდენციები ნათლად ასაბუთებს, რომ მომავლის მენეჯერებს უნდა შეეძლოთ ორგანიზაციის წინსვლისთვის მნიშვნელოვანი ურთიერთობების დარეგულირება და სწორად მართვა. ამ პროცესის საუკეთესო განმახორციელებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკოსი ადამიანი. რეალობა მოწმობს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის ინდუსტრიაში მკაფიოდ წარმოჩინდა ფსიქოლოგიის თეორიათა უმრავლეობის არსი, რაც გულისხმობს, რომ ადამიანთა ქცევის მოდელის შესწავლა აუცილებელია საკომუნიკაციო კამპანიისა თუ ანტიკრიზისული სტრატეგიის დასაგეგმად, მომხმარებელთა დარწმუნებისა და სიახლეების დანერგვის უკეთ წარსამართად. მათ, ვისაც აინტერესებს რა უნარებია საჭირო საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში წარმატების მისაღწევად, შევახსენებთ, რომ ფსიქოლოგიის მეშვეობით შეუძლიათ გაიმყარონ ბევრი ტრანსფერული უნარ-ჩვევა, მათ შორის, დაკვირვებით მოსმენა, დარწმუნების ხელოვნება, გამართულად წერა, ინტერპერსონალური კომუნიკაცია. ფსიქოლოგია ასევე საშუალებას იძლევა დღევანდელ ციფრულ სამყაროში სოც.მედია მართვის შესაძლებლობათა გასაფართოებლად.

ბიბლიოგრაფია:

გოროშიძე, გ. საზოგადოებასთან ურთიერთობის განწყობისეული კანონზომიერებანი GESJ:*Education Science and Psychology 2017 | No.3(45)* ,ISSN 1512-1801 116 УДК 659.4

კობალავა, მ. (2018). საზოგადოებასთან ურთიერთობა. PUBLIC RELATION მონოგრაფია. თბილისი

მაღრაძე კ. (2019). პიარის გზამკვლევი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის. ISBN 978-9941-8-1351-1, 2019

უილკოქსი, დ.ლ. კამერონი გ.ტ.; (2011). საზოგადოებასთან ურთიერთობა სტრატეგია და ტაქტიკა. თბილისი, გამომცემლობა „დიოგენე"

Bandura, A., & National Inst of Mental Health. (1986). *Prentice-Hall series in social learning theory. Social Foundations of Thought and Action: A social cognitive theory.* Prentice-Hall, Inc.

Bailenson, J. N., & Nick Yee. (2008). Psychology in Communication Processes Stanford University

Beall, A. C., Blascovich, J., Loomis, J., & Turk, M. (2005). Transformed social interaction, augmented gaze, and social influence in immersive virtual environments. *Human Communication Research, 31,* 511–537.

Burgoon, J. K. (1978). A communications model of personal space violations: Explications and an initial test. Human Communications Research, 4, 129–142.

Carey, J. W. (1989). Communication as culture: Essays on media and society. Winchester, MA: Unwin Hyman.

Bailenson, J. N., Beall, A. C., Blascovich, J., Loomis, J., & Turk, M. (2005). Transformed social interaction, augmented gaze, and social influence in immersive virtual environments. *Human Communication Research, 31, 511–537*

Cutlip, S. (1957). The University's Role in Public Relations Education, Journalism Quarterly, *34, pp. 68 - 73*

Dozier, M. D &. Broom, G. M. (1995). Evolution of the Manager Role in Public Relations Practice, Journal of Public Relations Research, *7:1, 3-26,* DOI: 10.1207/s1532754xjprr0701_02

Fleming, JH. (1994). Multiple-Audience Problems. Tactical Communication and Social Interaction: A Relation Regulation Perspective Advances in Experimental Social Psychology*, 26: pp.215-292.* DOI: 10.1016/S0065-2601(08)60155-0

Grunig, JE, & Hunt, T. (1984). Managing public relations. New York: Holt, Rinehart & Winston

Grunig, J (ed.) (1992). Excellence in Public Relations and Communication

Hovland, C.I. Lumsdaine, A.A., Sheffield F.D. (1949). *Experiments in Mass Communication, vol.3* Princeton, NJ: Princeton University Press.

Hovland, C.I. Janis I.L., Lekkey H.H. (1953). Communication and Persuasion: Psychological Studies of Opinion Change. New Haven, NJ, Yale University Press.

Markus, H. R., & Kitayama, S. (1991). Culture and the self: Implications for cognition, emotion, and motivation. Psychological Review, 98, 224–253.

Medin, D. L. & Atran, S. (2004). The native mind: Biological categorization, reasoning and decision making in development across cultures. Psychological Review, 111(4), 960–983.

Newell, A. (1990). Unified theories of cognition. Cambridge, MA: Harvard University Press.

Peters J. D. (1999). Speaking into the air: A history of the idea of communication. Chicago, IL: University of Chicago Press

White, J. and Blamphin J. (1994). Priorities for Research into Public Relations Practice in the United Kingdom: *A Report from a Delphi Study carried out among UK Practitioners and Public Relations Academics in May*

White Jon, Dr. Ch.: (2003). Psychology and Public Relations, March 2003, Routledge; New Ed edition, Editors: Dejan Vercic, Danny Moss, Gary Warnaby.

Newton, M. (2018). https://progressions.prsa.org/index.php/2018/02/15/the-psychology-of-public-relations/ Last retrieved 16.12.20.

Shraddha Bajracharya, (2018). https://www.businesstopia.net/communication/lasswell-communication-model Last retrieved 16.12.20.

Lela Abdushelishvili

PhD, Associated Professor, International Black Sea University

The Impact of 21st Century Challenges on Organizational Communication

Abstract

The field of organizational communication is highly diverse and fragmented. It covers a variety of approaches, theories and methodologies, developed within organizational settings or applied from other areas. As a new academic discipline, organizational communication is significant across many areas. Besides, 21st-century challenges make substantial impact and push those employed in organizations adapt and develop a strong and winning approach to managing organizational communication. Therefore, the article will explore how present-day challenges impact the way organizations manage their communication and provide some recommendations. It is based on research conducted in public organizations and private companies in Georgia between March-June, 2020 using the questionnaire and an oral in-depth interview with staff and managers. The aim of research was to find out what the impact of 21st century challenges was on organizational communication. 55 respondents from 25 public and 30 private organizations were polled. Their positons varied between heads of departments and sections and secretaries and assistants. Besides, a comprehensive review and critical analysis of research literature was made. The questionnaire included open and closed questions and the questions at the interview were asked in a semi-structured way to create maximum opportunity for participants to freely state the problems and challenges of organizational communication.

Key words: *Communication; Impact; Challenge; Organization*

Literature review

Studies prove that effective communication is a significant determinant of increasing employee productivity and organizational performance. Despite the benefits that emerge in the use of effective communication strategies within an organization, many organizations face a number of challenges that lead to communication breakdowns and problems. Obviously, these challenges affect performance and compromise success.

Organizational communication, more than any other aspect of organizational theory and practice, has been subject to dramatic change. Before 1920, communication in small organizations was largely informal. As organizations increased in size, formal top-down communication became the main concern of organizational managers. Organizational communication in today's organizations has not only become far more complex and varied but also gained significance for the overall organizational functioning and success. While research used to focus on understanding how organizational

communication varied by organizational type and structure, the emphasis has increasingly turned to understanding how new communication technologies and capabilities can help bring about new and more effective organizational forms and processes (Tucker, 1996; Desanctis, Fulk1999).

To move to the issue of why organizational communication is challenging these days, we will identify several facts. To start with, the pace of work is faster these days, workers are more distributed and simultaneous work processes are more common, knowledge and innovation are more critical to an organization's competitive advantage, communication technologies and networks are increasingly essential to an organization's structure and strategy. All these challenges have made organizational communication increasingly important to overall organizational functioning.

Indeed, communication is not only an essential aspect of these recent organizational changes, but effective communication can be seen as the foundation of modern organizations (Grenier and Metes, 1992; D'Aprix, 1996; Witherspoon, 1997).

To give some background, communication is frequently divided into the following levels:

♦ Interpersonal communication

♦ Group level communication

♦ Organizational level communication

♦ Inter-organizational level communication

♦ Mass communication

Some authors prefer to distinguish between micro, meso, and macro levels, where micro refers to interpersonal communication; meso refers to group, organizational, and inter-organizational communication; and macro refers to all higher order communication.

Although interpersonal and group level communications are observed at a lower level than organizational communication, they are major forms of communication in organizations and are prominently addressed in the organizational communication literature. Indeed, the initial focus of the organizational communication literature was the interpersonal communication skills of managers (particularly speaking and writing). As organizations became more communication based, greater attention was directed at improving the interpersonal communication skills of all organizational members.

In the past, the concern of managers of large bureaucratic organizations and, consequently, the major focus of the organizational communication literature, was formal, top-down communication. Informal communication, generally associated with interpersonal, horizontal communication, was primarily seen as a potential hindrance to effective organizational performance. This is no longer the case. On-going, dynamic, and non-formal, if not informal, communication has become more important to ensuring the effective conduct of work in modern organizations.

Most discussions of informal communication emphasize how to manage organizational culture and climate (the context of informal communications) to prevent informal and formal communications from being in opposition. D'Aprix (1996:39-40) developed a SAY/DO matrix– managers say one thing but do another – as a key explanation of how informal/formal communication issues can arise.

The literature on communication generally acknowledges that the basic function of communication is to affect receiver knowledge or behavior by informing, directing, regulating, socializing, and persuading.

Neher (1997) identifies the primary functions of organizational communication as:

♦ Compliance-gaining

♦ Leading, motivating, and influencing

♦ Sense-making

♦ Problem-solving and decision-making

♦ Conflict management, negotiating, and bargaining

Neher (1997) and Rogers and Rogers (1976) emphasize the social and organizational functions of organizational communication as a whole rather than focusing on the functions of specific communication exchanges. Thus, they combine the functions of informing, directing, and regulating into the broader category of behavioral compliance. They also give greater emphasis to the role of communication in managing threats to organizational order and control, identifying problem solving and conflict management, negotiation, and bargaining as key functions of organizational communication.

Myers and Myers (1982) combine similar functions into a higher level common function and provide a particularly clear version of the functions of organizational communication. They see communication as having three primary functions:

• **Coordination and regulation of production activities** –fairly rule-oriented, one-way, top-down communication. Tasks in many organizations have become more complex, less routine and repetitive, tightly coupled, and interactive (Perrow, 1986) and, as such, the traditional bureaucratic view of organizational communication is no longer sufficient. Production activities of this nature require dynamic, reciprocal, lateral communications between production workers and non-routinized, two-way, vertical communications between production workers and managers. Communication as a means of coordination and regulation becomes more important, complex, and difficult

• **Socialization** – The socialization function of communication is stressed in the human relations perspective of organizations which asserts that capturing the hearts and minds of organizational members is necessary to effectively coordinate organizational action in the pursuit of collective organizational goals. Articulating and reinforcing organizational values and aligning individual goals with organizational goals is also important. This form of communication cannot be one-way or top-down. It must occur reciprocally between organizational leaders and organizational members

• **Innovation** – The organizational communication literature is increasingly addressing the importance of communication in promoting innovation as well as control and coordination. Communication to promote innovation is associated with strong communication within and beyond the organization. This approach focuses on the functional goals of organizational communication, rather than on the near-term outcomes of particular acts of communication, such as to make a decision, to persuade, or to resolve a conflict.

Research Methodology

Research was conducted in public organizations and private companies in Georgia between March-June, 2020 using the questionnaire and an oral in-depth interview with staff and managers. To be more specific, 55 respondents – 25 public organization representative and 30 private ones were selected. Their positons varied between heads of departments and secretaries and assistants. Besides, a comprehensive review and critical analysis of research literature was made.

The questionnaire included open and closed questions and the questions at the interview were asked in a semi-structured way to enable to open the participants and let them state the problems and challenges of organizational communication.

The aim of research was to find out what the impact of 21st century challenges was on organizational communication.

Questions included:

a) What type of organization do you work for? a) private b) state c) other

b) What is your position?

c) How important is communication in your organization? Please, explain your answer.

c) What are the challenges of present-day organizational communication for you?

d) How do you overcome them?

e) What strategies do you use to increase your work-efficiency?

Research results

Results indicated that organizational communication in today's organizations has not only become complex and varied but also a vital part of functioning of the company. It has been redefined and given new meaning referring to the 21st century technological revolution. Interestingly, it was stated that the way organizations communicate with their employees was reflected in morale, motivation and performance of employees. More specifically stated, it involved face-to-face, online group and one-to-one meetings. Respondents noted that active listening was a golden rule as through such listening they gained more confidence and consistency and it enabled them to be more focused when it was their turn to speak, awareness of the fact that communication was a two-way street also impacted them positively in a sense that they took their share of responsibility and, most importantly, recognition and positivity enabled them to look forward and achieve tangible results.

Conclusion and recommendations

Obviously, communication in the light of 21st- century challenges has a lasting impact on employee motivation. In other words, if employees feel that communication from management is effective, it can lead to feeling of job satisfaction, commitment to the organization and increased trust in the workplace. Overall, through effective and meaningful communication workplaces operate more effectively and successfully.

Thus, to identify future issues concerning communication, one must accept a close relationship between communication and globalization, realizing that one leads to another and vice versa. Besides, present-

day challenges should be incorporated into day-to-day activities and respective strategies and approaches developed to meet those challenges in the most efficient and productive manner. Most importantly, internal communication systems and mechanisms should be focused to develop this line and provide positive outcomes.

References:

D'Aprix, R. (1996). Communicating for Change: Connecting the workplace with marketplace
Lines of Communication: *Media and Communication Studies*. Internet: http://www.abc.net.au/comms/lines/programs/prog01.htm Accessed 14 June, 2001

Desanctis G.; Fulk J.; (1999). Shaping Organization Form. Communication, Connection and Community. Sage Publications

Myers, M. T., Myers, G. E. (1982). Managing by Communication: An Organizational Approach. New York, McGraw-Hill Book Company

Mowlana, H. (1997). Global information and world communication: New frontiers in international relations. London, Sage Publications

Neher, W.W., (1997), Organizational Communication – Challenges of Change, Diversity and Continuity, Allyn and Bacon, Boston

Perrow, C. (1986). Complex Organizations: A Critical Essay. New York, Random House
Grenier, R. and Metes, G. (1992). Going Virtual: Moving Your Organization into the 21st Century. New jersey, Prentice Hall

Rogers, Everett M., and Rekha Agarwala-Rogers, (1976), *Communication in Organizations*. New York: The Free Press, 1976

Tucker et al. (1996). Organizational Communication: Developing of Internal Strategic Competitive Advantage. *Journal of Business Communication. January*, pp. 51-67

მაგდა მემანიშვილი

ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკის დოქტორი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

საგამოძიებო ჟურნალისტიკის განვითარების ტენდენციები საქართველოში

Abstract

The aim of the research is to study the development trends of ***investigative journalism in Georgia****. During the research, six experts related to investigative journalism were interviewed using the semi-structured interview method. The data were analyzed using the quantitative method of content analysis. Accoridng to the results of the Research journalistic investigations are no longer produced and published in online Media in Georgia. Investigative journalists teams on so-called opposition TV channels often produce revealing stories, although their credibility and quality are in doubt. Nevertheless, the existence of opposition television stations is crucial for maintaining a* ***pluralistic media environment*** *and monitoring the Governemnt. There are only few Media organizations in Georgia that are free from the influence of political and financial groups and prepare journalistic investigations. Most of these small organizations are concentrated in the capital, while the regions suffer from a shortage of investigative journalistic materials. The main reasons for the weakening of investigative journalism are the lack of financial and human resources, the recruitment and outflow of already scarce journalistic personnel in government agencies and commercial institutions, the change of media landscape - due to the* ***development of digital technologies*** *newsrooms prefer short, descriptive and fast coverage of shalow facts. Maintaining the status quo in the long run can undermine the impartial and influential journalistic investigation in Georgia, which will be detrimental to the media environment and the* ***democratic process*** *as a whole.*

საკვანძო სიტყვები: *საგამოძებო ჟურნალისტიკა, პლურალისტური მედიაგარემო, ციფრული ტექნოლოგიები, დემოკრატიული პროცესები და მედია*

შესავალი

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოში საგამოძიებო ჟურნალისტიკის ტენდენციებზე დაკვირვება.

რა არის საგამოძიებო ჟურნალისტიკა

გამომძიებელი ჟურნალისტი არის ადამიანი, რომლის პროფესია სიმართლის დადგენა და შეცდომების იდენტიფიცირებაა. ასეთი სახის საქმიანობას საგამოძიებო ჟურნალისტიკა ეწოდება

და განსხვავდება პოლიციელის, ადვოკატების, აუდიტორებისა და მარეგულირებელი ორგანოების, ერთი შეხედვით, მსგავსი საქმიანობისგან, რადგან არ არის შეზღუდული სამიზნე ჯგუფებით, იურიდიული დაფუძნების ფორმით და, როგორც წესი, ფინანსდება მედიაორგანიზაციების მფლობელების მიერ[1]. სიმართლის ძიება - საგამოძიებო ჟურნალისტიკის უმთავრესი მახასიათებელია, მისი ბუნებაა. სიმართლის ძიება (ფაქტის პოვნა და დადასტურება) გულისხმობს მნიშვნელოვანი მოვლენების კვლევას, ჟურნალისტის მიერ ამბის სტანდარტული გაშუქებაზე უფრო შორს წასვლას და მოვლენის არსის წვდომას[2] ...

საგამოძიებო ჟურნალისტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი პოლიტიკური და ფინანსური ჯგუფების ზეგავლენისგან დამოუკიდებლობაა. აშშ-ს მისურის ჟურნალისტიკის სკოლის პროფესორის სტივ ვეინბერგის თვალსაზრისით, საგამოძიებო ჟურნალისტიკა არის „ჟურნალისტის პირადი ინიციატივით გაშუქებული, გამოკვლეული პროდუქტი, რომელიც ეხება მკითხველის, მსმენელისა და მაყურებლისათვის საინტერესო თემებს. ბევრ შემთხვევაში შუქდება და გამოკვლეულია ისეთი ამბები, რომელიც სურთ, რომ გაუხმაურებელი დარჩეს“[3]

გამომძიებელ ჟურნალისტთა კონსორციუმის ერთ-ერთი რედაქტორი, ანალიტიკური გამოცემა „კოლუმბიის ჟურნალიზმის მიმოხილველის“ ყოფილი თანამშრომელი, ბიზნესისა და ფინანასების სფეროში მომუშავე მკვლევარი დინ სტარკმენი აღნიშნავს: „სარისკო, სტრესული, ძვირადღირებული და რთული, (საგამოძიებო ჟურნალისტიკა) მრავალწლიანი წინააღმდეგობას აწყდება ახალი ამბების ორგანიზაციებში და გამოცდას უწყობს ბიუროკრატების, ფინანსური მენეჯერებისა და ინტერნეტ-სპეიალისტების მოთმინებას”[4]

პოზიტიური ცვლილება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია, რისკენაც საგამოძიებო ჟურნალისტიკა ისწრაფვის. პოლიტიკოსების გადადგომა, თაღლითების ციხეში გაშვება, საჯარო პოლიტიკის შეცვლა, სოციალური და სხვა პირობების გაუმჯობესება - ასეთი პრეცენდენტების დროს საზოგადოება ყველაზე კარგად ხედავს ჟურნალისტიკის, როგორც მოდარაჯე ძაღლის, ძლიერებას[5].

საგამოძიებო ჟურნალისტიკის კიდევ უფრო შორს მიმავალი მიზანი ინფორმირებული საზოგადოების შექმნაში მონაწილეობა და დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობაა. „საგამომძიებლო ჟურნალისტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინფორმირებული დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. ის მოქალაქეებს გონივრული გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება. ამას გარდა, გავლენიან ადამიანებს შორის მომხდარ შემთხვევებსაც აკონტროლებს; მთავრობასა და ბიზნესორგანიზაციებს კი თავიანთი ქმედებების

---

[1] De Burgh, H., Bradshow, P., Bromley, M., D'Arcy, M., Gaber, Ivor., Greenslade, R, MacFadyen, G. (2008). *Investigative Jouranlism. London and New-York: Routledge, Taylor and Francis Group (pp. 10-11).*

[2] Forbs, D., (2005). *A watchdog's guide to investigative reporting A simple introduction to principles and practice in investigative reporting. Johannesburg: Konrad Adenauer's Stiftung (pp.5-6)*

[3] Weinberg, S. (1996). *The Reporter's Handbook*: *An Investigator's Guide to Documents and Techniques. New York: St. Martin's Press*

[4] Strakman, D. (2014). *The Watchdog That Didn't Bark: The Financial Crisis and the Disappearance of Investigative Journalism. New York Chichester, West Sussex: Columbia University Press (pp.32-33)*

[5] Forbs, D., (2005). *A watchdog's guide to investigative reporting A simple introduction to principles and practice in investigative reporting. Johannesburg: Konrad Adenauer's Stiftung (pp.5-6)*

გამო ხალხის წინაშე ამგარიშვალდებულს ხდის“[6].

მაშასადამე, ტერმინ **„საგამოძიებო ჟურნალისტიკაში/„ჟურნალისტურ გამოძიებაში“** ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ პროცესს,

- ✓ რომელიც ჟურნალისტის პირადი, ან/და ფინანსური თუ პოლიტიკური გავლენიან ჯგუფებთან აფილაციის არმქონე რედაქციის ინიციატივით მიმდინარეობს და რა დროსაც დაცულია მიუკერძოებელი, პატიოსანი, დაბალანსებული, მრავალმხრივი გაშუქების სტანდრტი,
- ✓ რომლის უახლოესი მიზანიცაა სისტემური ხარვეზების, ძალაუფლების არამიზნობრივი გამოყენების, კორუფციისა და ადამიანის უფლებათა შემლახველი ფაქტების მხილება,
- ✓ რისი საბოლოო და შორს მიმავალი მიზანიც პოზიტიური ცვლილება, ინფორმირებული საზოგადოების შექმნა და დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობაა.

საგამოძიებო ჟურნალისტიკა საქართველოში

ხელისუფლების გადაცდომების გაშუქებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ ჟურნალისტური მასალების მომზადების ტრადიციას ქართულ მედიაში საფუძველი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ჩაეყარა, რაც 1921 წლამდე, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე, გაგრძელდა. საბჭოთა საქართველოს სამოცდაათწლიანი ისტორიის განმავლობაში, როდესაც არ არსებობდა პრესის თავისუფლება და ჟურნალისტების უმთავრესი ფუნქცია ხელისუფლების საქმიანობის პროპაგანდა იყო და ამ პერიოდში საგამოძიებო ჟურნალისტიკა, ბუნებრივია, ვერ იარსებებდა.

საქართველოში საგამოძიებო ჟურნალისტიკა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1990-იანი წლების შუა ხანებში ჩამოყალიბდა. 2000 წლამდე საგამოძიებო ჟურნალისტიკისათვის დამახასიათებელი მამხილებელი სულისკვეთების ტექსტები ძირითადად ბეჭდურ მედიაში ქვეყნდებოდა. 2000 წლის შემდეგ საგამოძიებო ჟურნალისტიკა ტელემედიაშიც გაჩნდა. ყველაზე ხმაურიანი სატელევიზიო საგამოძიებო გადაცემა - „60 წუთი“ - პირველად სამაუწყებლო კომპანია რუსთავი2-ზე გავიდა (1999 წლის ნოემბერი) და პრეზიდენტ შევარდნაძის ხელისუფლების საქმიანობის კორუფციულ ფაქტებს ვარდების რევოლუციამდე ააშკარავებდა. 2006 წლიდან პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარი ტელე-არხის ხელმძღვანელობამ გადაცემა დახურა. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველ პოლიტიკურ პარტიად ყოფნის პერიოდში დაიხურა ოპოზიციურად

---

[6] ჰიუსტონი, ბ. (2011). *ჟურნალისტ-გამომძიებლის სახელმძღვანელო, დოკუმენტების, მონაცემთა გაზებისა და მეთოდების გზამკვლევი.ბედფორდი: სენტ მარტინსი, ბოსტონი: ნიუ იორკი. ითარგმნა ევრაზიის თანამშრომლობის პროექტის „საქართველოში მედიის, როგორც მაკონტროლებლის როლის გაძლიერება“ ფარგლებში.*

განწყობილი ტელე-არხები[7].

ამავე წლებში გამომძიებელი ჟურნალისტები ინაცვლებენ არასამთავრობო სექტორში და აფუძნებენ არაკომერციულ, არამომგებიან ორგანიზაციებს (სტუდია მონიტორი, სტუდია რეპორტიორი). გამომძიებელ ჟურნალისტთა ერთადერთი მცირე ჯგუფი, რომელსაც 2005-2009 წლებში ტელევიზია ინახავდა, ჰყავდა საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს.

2010-იანი წლებიდან საქართველოს მედიალანდშაფტში გაჩნდა ონლაინჟურნალისტიკა, რომელიც, აგრეთვე, მოხერხებული პლატფორმა აღმოჩნდა გამომძიებელი ჟურნალისტებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა რეგიონული მედიის რედაქციები, სადაც სხვადასხვა საგრანტო პროექტების ფარგლებში ნიშანდობლივი საგამოძიებო მასალები ქვეყნდებოდა.

2012 წელს ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ძალის - კოალიცია ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს - მოსვლის შემდეგ საქართველოში მედიაგარემოს გაუმჯობესება თვალსაჩინო იყო. ავტორიტეტული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის რეპორტიორები საზღვრების გარეშე მომზადებულ ყოველწლიურ პრესის თავისუფლების ინდექსში საქართველოს 2012 წელს 180 ქვეყანას შორის 105-ე ადგილი ეკავა[8] 2020 წელს კი - მე-60 ადგილზეა[9]. „რეპორტიორები საზღვრების გარეშე"-ს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიის მიხედვით 180 ქვეყნის სიაში რაც უფრო წინაურდება ქვეყანა და უახლოვდება 0-ს, მით უფრო უმჯობესდება მედიის თავისუფლება. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (ცხრილი #1) ჩანს, რომ ბოლო 9 წლის განმავლობაში საქართველოს პრესის თავისუფლების ინდექსი უმჯობესდება და უახლოვდება 0-ს.

ცხრილი #1. პრესის თავისუფლების ინდექსის დინამიკა 2012-2020 წლებში, მონაცემები აღებულია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე"-ს არქივიდან.



[7] Freedom House, Freedom of the Press - Georgia (2006), 27 April 2006. ხელმისაწვდომია - https://bit.ly/2HPrpEU (ბოლო ნახვა 10.11. 2020)

[8] Reporters without Borders. (2012). *World Press Freedom Index*. ხელმისაწვდომია https://rsf.org/en/world-press-freedom-index-20112012 (ბოლო ნახვა 10.11. 2020)

[9] Reporters without Borders. (2020). *World Press Freedom Index*. ხელმისაწვდომია https://rsf.org/en/ranking_table (ბოლო ნახვა 10.11. 2020)

მედიაგარემოს გაუმჯობესების მიუხედავად საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები მიუთითებენ იმ ტენდენციების შესახებ, რაც მედიის თავისუფლებისთვის სახიფათოა.

„რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ 2019 და 2020 წლის ანგარიშში აღნიშნავს, რომ საქართველოში მედია „პლურალისტული, მაგრამ უკიდურესად პოლარიზებულია“, ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს ისეთ ფაქტებზე, როგორიცაა 2019 წელს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ ტელეკომპანია „რუსთავი2“-ის დაბრუნება წინა მფლობელისათვის, რამაც, ორგანიზაციის შეფასებით, სრულად შეცვალა სარედაქციო პოლიტიკა და არხიდან ჟურნალისტების წასვლა გამოიწვია. დასკვნაში ყურადღებაა გამახვილებული ისეთ ფაქტზე, როგორიცაა აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დირექტორის დათხოვნა, რის შემდეგაც არხი არაერთმა პროდიუსერმა და ჟურნალისტმა დატოვა. ყველა მათგანი სამსახურის დატოვების მიზეზად სარედაქციო პოლიტიკაში ხელისუფლების ჩარევას და სარედაქციო პოლიტიკაზე ხელისუფლების წნეხს ასახელებდა[10].

სტატიის წერის მომენტისთვის საქართველოს მედიალანდშაფტში არსებობს სამი ძირითადი ოპოზიციური ტელეარხი, (ტელეკომპანია „მთავარი“, ტელეკომპანია „ფორმულა“, TV-1) რომელთა მენეჯმენტი აცხადებს, რომ ისინი ამზადებენ ჟურნალისტურ გამოძიებებს. თითოეული მათგანი გარკვეულ პოლიტიკურ და ფინანსურ ჯგუფთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, მათ მიერ მომზადებული სიუჟეტები კონკრეტული დამფუძნებლის ან/და პოლიტიკური გაერთიანების პირად ინტერესებს უკავშირდება და ამდენად, ობიექტურობას მოკლებულია.

მიმდინარე პერიოდში ჩვენი ქვეყნის მასშტაბით სულ რამდენიმე მედიაორგანიზაციაა, რომლებიც ჟურნალისტურ გამოძიებებზე მუშაობს, ამასთან, თავისუფალია პოლიტიკური თუ ფინანსური ჯგუფების ზეგავლენისგან. აქედან ორი ორგანიზაცია იურიდიული ფორმით არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირია. ეს ორგანიზაციებია: 2005 წელს დაფუძნებული სტუდია მონიტორი (monitori.ge) და 2016 წელს დაფუძნებული „აიფაქტი“ (Ifact.ge).

კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც ჟურნალისტურ გამოძიებებს ამზადებს, საზოგადოებრივ მაუწყებელზე 2014 წელს დაფუძნებული „გამომძიებელი რეპორტიორია“. დაბოლოს, მედიაორგანიზაცია, რომელმაც 2020 წლიდან ჟურნალისტური გამოძიებების დამზადებისთვის რესურსი გამოჰყო, რადიო თავისუფლებაა. რადიო თავისუფლების ვებგვერდზე უკვე რამდენიმე ათეული ჟურნალისტური გამოძიება გამოქვეყნდა.

ქვეყანაში ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის შემცველი, თუ სხვა სამთავრობო დოკუმენტების ელექტრონული ბაზების გაჩენამ ხელისუფლების საქმიანობაზე მედიის კონტროლის შესაძლებლობები კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა. გაჩნდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მონაცემთა ელექტრონული ბაზებიდან მოპოვებული დოკუმენტების ანალიზითა და მულტიმედია ჟურნალისტიკის ხერხების გამოყენებით ამზადებენ ისეთ ციფრულ მედია პროდუქტებს (ინტერაქტიული რუკები, ინფოგრაფიკა და მონაცემთა ვიზუალიზაციის სხვა საშუალებები), რომლებიც, კლასიკური თვალსაზრისით ჟურნალისტურ გამოძიებად არ შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა ნამდვილად არის

[10] Reporters without Borders. *Countries / Georiga.* https://rsf.org/en/georgia (ბოლო ნახვა 15.11. 2020)

ხელისუფლების საქმიანობაზე ზედამხედველობა.

კვლევის მნიშვნელობა

საქართველოში არ არსებობს კვლევები საგამოძიებო ჟურნალისტიკას შესახებ. ამდენად, ჩვენი კვლევის აქტუალურობა ორი თვალსაჩინო გარემოებიდან გამომდინარეობს: პირველი, იგი სახელდობრ საგამოძიებო ჟურნალისტიკაზე ფოკუსირებული პირველი კვლევაა; მეორე, საგამოძიებო ჟურნალისტიკის შეზღუდვებისა და გამოწვევების დადგენით ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შემაფერხებელი ზოგიერთი მიზეზიც დგინდება, რაც პრობლემის უფრო ფართე კონტექსტში აღქმის საშუალებას იძლევა.

კვლევის ჰიპოთეზა

მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლიდან მოყოლებული საქართველოში მედიაგარემო გაუმჯობესდა, მუშაობენ ოპოზიციური მედიაორგანიზაციები და გარემო მედიაპლურალისტურადაა შეფასებული, მედიის სტანდარტის დაცვით მომუშავე საგამოძიებო ჟურნალისტიკა შესუსტდა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევისას ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდით გამოვკითხეთ მედიის ექსპერტები. „ექსპერტში“ ვგულისხმობთ პირს, რომელიც ქართულ მედიასივრცეში მინიმუმ 10 წელია მუშაობს და პროფესიულ წრეებში აქვს სანდო რეპუტაცია. ექსპერტების ჯგუფში შევარჩიეთ ისეთი პირები, რომლებიც ქართულ მედიაში სხვადასხვა პოზიციებს იკავებენ - 4 მედიამენეჯერი, 1 მედიის მკვლევარი, 1 დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი. 4 მედიამენეჯერიდან ორი რეგიონულ მედიაორგანიზაციების ხელმძღვანელია. ჩვენ მიერ შერჩეული ოთხივე მედიამენეჯერი მუშაობდა ისეთ მედიაორგანიზაციებში, სადაც მზადდებოდა, ზოგან კი ახლაც მზადდება, ჟურნალისტური გამოძიებები.

ცხრილი #2

ექსპერტები		
ნომერი	პოზიცია	დარგში მუშაობის გამოცდილება
1.	დონორი	20 წელი
2.	რედაქტორი	12 წელი
3.	მედიის ექსპერტი	35 წელი
4.	რედაქტორი	30 წელი
5.	პროდიუსერი	26 წელი
6.	პროდიუსერი	27 წელი

ექსპერტებთან ინტერვიუები ჩატარდა 2020 წლის აგვისტოს თვეში. ინტერვიუები ჩაწერილ იქნა რესპონდენტთა ანონიმურობის პირობით. ანონიმურობის პირობამ, ჩვენი აზრით, ინტერვიუს დროს მოსაზრებებისა და შეხედულების გამოხატვის თავისუფლების ხარისხი გაზარდა.

ინტერვიუები გაანალიზდა შინაარსობრივი კვლევის რაოდენობრივი მეთოდით.

კვლევის შედეგები

კითხვარის ერთ-ერთ პუნქტში ექსპერტებს ვთხოვეთ დაესახელებინათ თუ რამდენი მოქმედი გამომძიებელი ჟურნალისტი ახსენდებათ, ვინც დღესდღეობით საქართველოში ჟურნალისტურ გამოძიებებს ამზადებს.

გამომძიებელ ჟურნალისტთა რაოდენობის ყველაზე მაღალ ციფრად დასახელდა - 20 (რესპონდენტი #2), ხოლო ყველაზე დაბალ ციფრად - 10 (რესპონდენტი #4). რამდენი მედია-ორგანიზაცია ამზადებს ჟურნალისტურ გამოიძიებებს საქართველოში? ამ კითხვაზე ყველაზე მაღალ ციფრად დასახელდა - 7 მედიაორგანიზაცია (რესპონდენტი #6), ყველაზე მცირე რაოდენობად კი - 2 მედიაორგანიზაცია (რესპონდენტი#5).

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა სურათი, რომლის მიხედვითაც საქართველოში გამომძიებელი ჟურნალისტების რაოდენობა მერყეობს 10-იდან 20-მდე, ხოლო საგამოძიებო ჟურნალისტური პროექტებზე მომუშავე მედია-ორგანიზაციების რაოდენობა - 2-იდან 7-მდე.

საგამოძიებო ჟურნალისტიკის ტენდენციები ცენტრალურ მედიაში

ა) საგამოძიებო ჟურნალისტიკა ბეჭდურ მედიაში - ყველა ექსპერტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საგამოძიებო ჟურნალისტიკა ქართულ ბეჭდურ მედიაში არ არსებობს[11]. ამის მიზეზად დასახელდა საგაზეთო და საჟურნალე ბიზნესის შესუსტება, ბოლო წლებში საქართველოში არაერთი ბეჭდური გამოცემა დაიხურა. გადარჩენილი ბეჭდური გამოცემების რედაქციებს კი ჟურნალისტური გამოძიების მოსამზადებლად. არც ფინანსური და არც ადამიანური რესურსი არ აქვთ.

ბ) საგამოძიებო ჟურნალისტიკა სატელევიზიო მედიაში - დიდი ტელევიზიების ე.წ საგამოძიებო ჟურნალისტურ პროდუქტთან დაკავშირებით აზრი ორად გაიყო. ექსპერტების ნაწილი თვლის, რომ პოლიტიკური აფილაციის მქონე ტელევიზიების მიერ მომზადებული მამხილებელი სულისკვეთების სიუჟეტებიც სტანდარტების დარღვევით მომზადებული ჟურნალისტური გამოძიებებია (#1, #3). ექსპერტების მეორე ნაწილი კი თვლის, რომ დიდი ტელევიზიების ე.წ. გამომძიებელი ჟურნალისტების საქმიანობით საგამოძიებო ჟურნალისტიკის რეპუტაციას ადგება ზიანი და მაყურებელს უყალიბდება მცდარი წარმოდგენა საგამოძიებო ჟურნალისტიკის არსის შესახებ. (#4, #5, #6).

---

[11] 2020 წლის აგვისტოში, როდესაც კვლევისთვის ინტერვიუები ჩავწერეთ, არ გამოდიოდა გაზეთი „აიფაქტი“. გაზეთი „აიფაქტი“ გამოვიდა 2020 წლის სექტემბერში, მასში ქვეყნდება არასამთავრობო ორგანიზაცია „აიფაქტის“ ჟურნალისტური გამოძიებები და ვრცელდება იმერეთის რეგიონში, ფასი -1 ლარი.

ექსპერტთა პირველ ნაწილს მიაჩნია, რომ, ეთიკური გადაცდომების მიუხედავად, ასეთმა სიუჟეტებმა პოზიტიური ცვლილება დააყენეს. ამის მაგალითად მათ მოჰყავთ საქართველოს უახლოესი წარსულში მომხდარი გახმაურებული მკვლელობები, რომლებიც სწორედ ოპოზიციური ტელე-არხების ზეწოლის შედეგად გაიხსნა. ,,ის რომ მედიამ შაქარაშვილის საქმეზე დაიწყო ყოველდღიური კირკიტი, თავისი ბევრი შეცდომების დაშვებით, თავისი ჰიპოთეზებით და ვარაუდებით, საბოლოო ჯამში დარწმუნებული ვარ, რომ ამან ხელი შეუწყო იმას, რომ საგამოძიებო სტრუქტურებმა მეტი ყურადღება გაამახვილეს, მეტი საჯაროობა შემოგვთავაზეს, ამიტომ გავლენის თვალსაზრისით შეიძლება ასეთ სკანდალურ გაშუქებას ჰქონდა თავისი შედეგი, ვიდრე - კლასიკურ საგამოძიებო ჟურნალისტიკას.... მე ვფიქრობ, რომ ორივეს აქვს არსებობის უფლება და ორივე არის სიკეთის მომტანი, უბრალოდ არსებობს რაღაც წითელი ხაზები, რომლებიც მედიამ არ უნდა გადაკვეთოს“ (#1)

იმ ექსპერტების აზრით, რომლებიც კრიტიკულად აფასებენ დიდი ტელევიზიების ე.წ. ჟურნალისტურ გამოძიებებს, დიდი ტელევიზიების ,,გამომძიებელი ჟურნალისტები“ საგამოძიებო თემებს ,,აფუჭებენ“. ,,...ყოფილა, რომ უკარგესი თემა გაუფუჭებიათ, იმის გამო, რომ უნდა [სიუჟეტი სწრაფად] გასულიყო ეთერში და ყური მოჰკრეს რაღაცას, წავიდნენ ერთი ვიღაცა ტელეფონით ჩაწერეს, რაღაცა დაადეს ზედ...ეს არ არის საგამოძიებო ჟურნალისტიკა, ეს არის, პირიქით, პრობლემა ქართული საგამოძიებო ჟურნალისტიკის“ (#6)

დიდ ტელევიზიებში გასული ე.წ. ჟურნალისტური გამოძიებებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების კიდევ ერთი არგუმენტი ისაა, რომ დიდ ტელევიზიებში ,,პოლიტიკური პარტიების ფული ტრიალებს“. ,,სანამ პარტიული ფულის მოძრაობა არ დამთავრდება მედიაში, ეს პრობლემები იარსებებს მუდმივად და უფრო გაღრმავდება. დღეს სახეზეა პარტიული ტელევიზიები, უფრო გამოკვეთილი პარტიული ტელევიზიები მივიღეთ. ეს არის პრობლემა, რაც ყველაფერზე მეტყველებს. არ უნდა მოკიდო პოლიტიკურ ფულს არანაირი სქემით საქართველოში ხელი“. (#6)

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველა ექსპერტი აღნიშნავს, რომ დიდი ტელევიზიების ე.წ. გამომძიებელ ჟურნალისტთა საქმიანობას პლურალისტული მედიაგარემოს შენარჩუნების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და სასარგებლოა.

გ) საგამოძიებო ჟურნალისტიკა ონლაინ მედიაში - ექსპერტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ონლაინ მედიასაშუალებებს ურჩევნიათ საკუთარი მწირი ადამიანური და ფინანსური რესურსი მიმდინარე ახალი ამბების გაშუქებისთვის გამოიყენონ და სიღრმისეულ გაშუქებას, მით უფრო, ჟურნალისტურ გამოძიებას, თავს არიდებენ. ,,ჟურნალისტურ გამოძიებას ერთ დღეში და ორ დღეში ვერ გააკეთებ. იმის საშუალება, რომ ორი ან სამი კვირა ასეთმა პატარა ონლაინ მედიებმა დაუთმონ ერთ გამოძიებას, მარკეტინგულადაც მომგებიანი იქნება, თუმცა მაინც შიშობენ, რომ ტყუილად გადაყრილი დრო იქნება, რადგან მათი აზრით, ჯობს, რომ ამ ადამიანმა ამ სამი კვირის განმავლობაში გააკეთოს 12 სტატია და არა - ჟურნალისტური გამოძიება“. (#3)

საგამოძიებო ჟურნალისტიკის განვითარების ტენდენციები რეგიონულ მედიაში

საქართველოს რეგიონულ მედია-ორგანიზაციებში ჟურნალისტური გამოძიების შესუსტების, ზოგან კი საერთოდაც გაქრობის, შემდეგი მიზეზები დასახელდა: მედიალანდშაფტის შეცვლა და მიმდინარე ახალ ამბებზე კონცენტრირება (განსაკუთრებით ონლაინ-გამოცემებში), ადამიანური და ფინანსური რესურსების სიმწირე, ჟურნალისტების გადაბირება უფრო მაღალანაზღაურებად სამსახურებში (ხშირად სახელმწიფო სტრუქტურებში), ადგილობრივი ხელისუფლების დიდი გავლენა რეგიონულ მედიაორგანიზაციებზე და დახურული სოციუმი.

ა) მედიალანდშაფტის შეცვლა- ციფრული მედიის განვითარების კვალდაკვალ რეგიონში დაფუძნებული ონლაინ-გამოცემებმა დაიწყეს ისეთი შინაარსის მასალების შექმნა, რომ კონკურენციაში შევიდნენ დედაქალაქში დაფუძნებულ ონლაინ-გამოცემებთან. ცენტრალურ ონლაინ-გამოცემებთან კონკურენციაში შესვლამ გამოიწვია ოპერატიულობისა და ინფორმაციის ნაკადის გაზრდის აუცილებლობა, რასაც შეეწირა სიღრმისეული ჟურნალისტიკა, მათ შორის ჟურნალისტური გამოძიება.

ბ) ადამიანური და ფინანსური რესურსების სიმწირე - რეგიონებში სარეკლამო შემოსავალ მცირეა, ამდენად, რედაქციები დიდწილად დამოკიდებულები არიან დონორულ დაფინანსებაზე, რაც არ არის მდგრადი და მუდმივი შემოსავლი. ჟურნალისტების ხელფასები ძალიან დაბალია. ტრადიციულად, ყოველ რამდენიმე წელში იცვლება რეპორტიორთა ნაკადი და მოდიან ნაკლებადგამოცდილი ახალი კადრები, რომლებსაც საგამოძიებო ჟურნალისტური ამბების მომზადების კომპეტენცია არ აქვთ. „კადრების ძალიან დიდი გადინება მოხდა რეგიონებში და ახალი კადრების ინტერესიც საკმაოდ დაბალია სიღრმისეულ ჟურნალისტიკაში. საკადრო დეფიციტია, არასაკმარისი ფინანსები და ნაკლები პროფესიული განვითარება ადგილზე მყოფი ადამიანების“ (#5)

გ) ჟურნალისტების გადაბირება უფრო მაღალანაზღაურებად სამსახურებში (ხშირად სახელმწიფო სტრუქტურებში) - მცირე და არამდგრადი შემოსავლების გამო ბევრი რეგიონული ჟურნალისტი მიდის ან კერძო ბიზნესის, ანდა - ადგილობრივი თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში. „ურჩევნია [ჟურნალისტს სახელმწიფო სტრუქტურაში გადასვა]... პირდაპირ გეუბნება , რომ მე იქ 500 ლარი მექნება ხელფასი და იქ ქუჩაში სიარულს არ მთხოვენ...გადინება ხდება ძირითადად მთავრობის პრეს სამსახურებში.“ (#4) „ერთი არის ჟურნალისტების გადაბირება და არამარტო გადაბირება, არამედ შანტაჟი, დაშინება, მოსყიდვა, ბევრი ფაქტორებია, რომლითაც ისინი [იგულისხმება ხელისუფლება] ახერხებენ, რომ ჟურნალისტებს არ მისცენ გასაქანი“ (#3)

დ) ადგილობრივი ხელისუფლების დიდი გავლენა რეგიონულ მედიაორგანიზაციებზე და დახურული სოციუმი - რეგიონებში საგამოძიებო ჟურნალისტიკის განვითარებას ხელს უშლის ადგილობრივი ხელისუფლებების დიდი გავლენა რეგიონული მედიაორგანიზაციების რედაქციებზე. გავლენას განსაკუთრებით დახურული სოციუმიც აძლიერებს, რადგან საზოგადოებაში, სადაც მჭიდროა ნათესაური და ოჯახური კავშირები, უფრო იოლია მედიის წარმომადგენლებზე გავლენის მოხდენა. „პატარა ტერიტორიებზე უფრო რთულია ჟურნალისტების მუშაობა, ჩაკეტილი ტრადიციული გარემო და ბევრი ხელისშემშლელი სიტუაციაა რეგიონებში დამატებით“(#5)

„ძალიან ბევრი რეგიონული მედია პრაქტიკულად ჩაეზარდა „ქართულ ოცნებას“... ჩაეზიარნენ, შეერწყნენ „ქართულ ოცნებას“ ადგილობრივი მედია საშუალებების წარმომადგენლები (რედაქტორები, აქტიური ჟურნალისტები). ძალიან რთულია ტელეკომპანია თრიალეთისგან მოელოდე რაღაცას, როდესაც იცი, რომ ამ კომპანიის მეპატრონე არის რეინტეგრაციის მინისტრის მოადგილე. ამ დროს მისი ოპონენტი ტელევიზიის „დიას“ მეპატრონე არის განათლების მინისტრის მოადგილე.“ (#3)

ე) ჟურნალისტური გამოძიებების პრეცენდენტები რეგიონულ მედიებში - მიუხედავად იმისა, რომ რეგიონულ მედიაორგანიზაციებში საგამოძიებო ჟურნალისტიკის შესუსტდა, ზოგან კი - გაქრა კიდეც, არსებობს რამდენიმე რეგიონული მედიაორგანიზაცია, რომელთა ჟურნალისტებიც დროდადრო ახერხებენ საგამოძიებო მასალების მომზადებას. ასეთ მედიაორგანიზაციებად ექსპერტებმა დაასახელეს: აჭარაში მოქმედი ონლაინგამოცემა ბათუმელები, სამცხე-ჯავახეთში მოქმედი ონლაინგამოცემა სამხრეთის კარიბჭე, ზუგდიდში მოქმედი ონალაინგამოცემა ლაივპრესი, აჭარაში არსებული დამოუკიდებელი სტუდია რეკი.

პოზიტიური ცვლილებები

საგამოძიებო ჟურნალისტიკის მიზანი უსამართლობის გამოსწორება და პოზიტიური ცვლილებების დაყენებაა. ექვსივე ექსპერტს მიაჩნია, რომ საქართველოში არსებობს პრეცენდენტები, როდესაც საგამოძიებო ხასიათის ჟურნალისტურ მასალებს მოჰყვება ხოლმე პოზიტიური ცვლილება. „ჩვენ ხშირად გვინდა, რომ შედეგი იყოს უფრო დიდი, მაგრამ მე ვთვლი, რომ ეს არ არის მიუღწეველი შედეგი,დაკარგული დრო და ფუჭი გამოძიება იმიტომ, რომ შედეგი აუცილებლად დადგება რაღაც ეტაპზე. ერთია მედია რას აკეთებს და მეორეა პოლიტიკური სიტუაცია როგორია და როგორია მათი თანხვედრა. ეს თანხვედრა აუცილებლად ხდება. მთავარია, რომ მედიას ჰქონდეს თავისუფალი მუშაობის საშუალება და გრძელვადიან პერსპექტივაში ეს დაგროვილი ამბები ხელს უწყობს პოლიტიკურ ცვლილებებს. “ (#1)

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის შედეგად დადასტურდა გამოთქმული ჰიპოთეზა. საქართველოში მედიაგარემოს გაუმჯობესების მიუხედავად საგამოძიებო ჟურნალისტიკა სუსტდება. მცირეა იმ მედიაორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც პოლიტიკური და ფინანსური ჯგუფების გავლენისგან თავისუფლები არიან და ამზადებენ ჟურნალისტურ გამოძიებებს, რაც, განსაკუთრებულად მწვავედ იგრძნობა საქართველოს რეგიონულ მედიაში. ამ სიტუაციის ხანგრძლივ პერსპექტივაში გაგრძელებამ შეიძლება გამოიწვიოს მიუკერძოებელი და გავლენებისგან თავისუფალი ჟურნალისტიკის კიდევ უფრო დასუსტება. ასეთ შემთხვევაში მედიაგარემო უფრო მეტად პოლარიზებული გახდება, მოიმატებს, როგორც პოლიტიკური ფულის გავლენა ჟურნალისტურ სფეროში, ისე - მამხილებელი ჟურნალისტიკის პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გამოყენების ტენდენცია.

ბიბლიოგრაფია:

გუგულაშვილი, მ. (პრესაში). "ფორმულას" მფლობელები სარედაქციო დამოუკიდებლობის საგარანტიო დოკუმენტზე მუშაობენ. აღებულია https://www.mediachecker.ge-დან (ბოლო ნახვა 15.11. 2020)

მეცხვარიშვილი, მ. (პრესაში). მედიის მფლობელები საქართველოში. აღებულია https://www.mediachecker.ge-დან (ბოლო ნახვა 15.11. 2020)

ჰიუსტონი, ბ. (2011). *ჟურნალისტ-გამომძიებლის სახელმძღვანელო, დოკუმენტების, მონაცემთა გაზებისა და მეთოდების გზამკვლევი. ბედფორდი: სენტ მარტინსი, ბოსტონი: ნიუ იორკი. ითარგმნა ევრაზიის თანამშრომლობის პროექტის „საქართველოში მედიის, როგორც მაკონტროლებლის როლის გაძლიერება“ ფარგლებში*

De Burgh, H., Bradshow, P., Bromley, M., D'Arcy, M., Gaber, Ivor., Greenslade, MacFadyen, G. (2008). *Investigative Jouranlism. London and New-York: Routledge, Taylor and Francis Group*

Forbs, D. (2005). *A watchdog's guide to investigative reporting A simple introduction to principles and practice in investigative reporting. Johannesburg: Konrad Adenauer's Stiftung*

Freedom House, Freedom of the Press - Georgia (2006). 27 April 2006. Retrieved from https://bit.ly/2HPrpEU

Reporters without Borders. *Countries / Georiga.* Retrieved from https://rsf.org/en/georgia

Reporters without Borders. (2012). *World Press Freedom Index*. Retrieved from https://rsf.org/en/world-press-freedom-index-20112012

Reporters without Borders. (2020). *World Press Freedom Index*. Retrieved from https://rsf.org/en/ranking_table

Strakman, D. (2014). *The Watchdog That Didn't Bark: The Financial Crisis and the Disappearance of Investigative Journalism. New York Chichester, West Sussex: Columbia University Press*

Weinberg, S. (1996). *The Reporter's Handbook*: *An Investigator's Guide to Documents and Techniques. New York: St. Martin's Press*

მარიამ გოგოსაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციების დოქტორანტი,
მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ,,ალტერბრიჯის“ მოწვეული ლექტორი,
საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი

სიძულვილის ენა მაუწყებლებში - რეგულირება თუ თვითრეგულირება (ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში)

Abstract

Control over the implementation of defined obligations regarding the use of hate speech is now within the framework of the self-regulatory mechanism. The current regulation does not contradict the European directive and it is fully possible to protect the interests of individuals so as not to restrict freedom of expression. However, it is necessary to increase the efficiency of the existing mechanism.

საკვანძო სიტყვები: *მედია, თვითრეგულირება, სიძულვილის ენა*

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის კომენტარებში ვკითხულობთ, რომ „გამოხატვის თავისუფლება უნივერსალური ღირებულების ძირითადი უფლებაა, რომელიც საფუძვლად უდევს სხვა უფლებებს. ამ უფლებისთვის არ არსებობს ვიწრო ნაციონალური სახელმწიფოებრივი ფარგლები და თავისი ზენაციონალური ბუნებით მოიცავს ყველა ადამიანს თავისი მოქალაქეობის მიუხედავად.“[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებაში კი მითითებულია, რომ „გამოხატვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის

[12] ზოიძე ბ., ბურდული ი., გოცირიძე ე... (2013). საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. თბილისი, გამომცემლობა „პეტიტი“. გვ.253.

მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას, შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობას."[13]

გამოხატვის თავისუფლების უფლებით დაცულ უმნიშვნელოვანეს სუბიექტს მედია წარმოადგენს. ვინაიდან მედია განიხილება როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი დემოკრატიული ტრანზიციის პროცესში (W. Haerpfer, Bernhagen, F. Inglehart, and Welzel, 2009)[14] და მისი თავისუფლების ხარისხს იყენებენ ქვეყნის დემოკრატიულობის განსაზღვრისთვის, ცალსახაა ის ფაქტი, რომ მედია არის დემოკრატიის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი.

გამოხატვის თავისუფლების სტანდარტების დადგენისას, მათ შორის მედიის თავისუფლების საკითხებზე, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებები. ევროპული სასამართლო Lingens v Austria (1986) და Oberschlick v Austria (1991) საქმეებში უთითებს, რომ პრესა დემოკრატიულ საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. პრესის ფუნქციაა, გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხზე ნებისმიერი ხერხით, რომელიც არ ეწინააღმდეგება მის მოვალეობას და პასუხისმგებლობას. სასამართლომ აღნიშნა, რომ პრესის ამოცანას წარმოადგენს არა მხოლოდ საზოგადოებისათვის საინტერესო ინფორმაციის გავრცელება, არამედ საზოგადოებასაც აქვს მისი მიღების უფლება.[15] ამიტომ ასევე დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ მედიის პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე - მიაწოდოს მას სრულყოფილი, ჯეროვანი, ზუსტი და ეთიკის ნორმების დაცვით მომზადებული ინფორმაცია. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია მედიამ თავი შეიკავოს სიძულვილის ენის გამოყენებისგან.

საქართველოში მედიაში სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებით ისტორიულად სხვადასხვა მიდგომა არსებობს, თუ ათი წლის წინ მისი გამოყენების გამო ხდებოდა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და მედიისთვის (მაუწყებელს) ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება, დღეს მისი გამოყენება მხოლოდ ეთიკური ნორმებისთვის დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრებას იწვევს, ნორმის დარღვევის საკითხი კი მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში განიხილება.

თვითრეგულირება - ეს არის ერთგვარი ტესტი მედიისთვის თავად შეძლოს დაშვებული შეცდომების გამოსწორება, პასუხისმგებლობა აიღოს ეთიკური ნორმების დაცვასა და მაღალი პროფესიული სტანდარტების უზრუნველყოფაზე ისე, რომ არ დადგეს მისი ადმინისტრაციული თუ სხვა სახის პასუხისმგებლობის საკითხი სახელმწიფოს წინაშე, დარღვევის შემთხვევაში, სათანადო რეაგირებით კი, მაყურებელთა ნდობა დაიმსახუროს.

თუმცა თვითრეგულირების გამოყენების შემთხვევაში დგას საკითხი რამდენად უზრუნველყოფს ეს მექანიზმი პირთა დარღვეული ინტერესების აღდგენას (მათ შორის სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევაში) და ხომ არ ხელყოფს საზოგადოების უფლებების დაცვას. ამიტომ საინტერესოა განვიხილოთ არსებული მექანიზმი პირთა უფლებების

---

[13] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II, 26

[14] Christian W. Haerpfer, Patrick Bernhagen, Ronald F. Inglehart, and Christian Welzel. (2009), "Democratization", Oxford University press. p.234

[15] Lingens v Austria, the European Court of Human Rights (1986)
Oberschlick v Austria, the European Court of Human Rights (1991)

დასაცავად, უნდა მოხდეს თუ არა გამოხატვის უფლების შეზღუდვა და მედიისთვის გარკვეული რეგულაციების დაწესება.

აქვე უნდა აღინიშნოს „აუდიოვიზუალური მედია მომსახურების შესახებ“ 2010/13/EU ევროპული დირექტივა, რომლის საქართველოს კანონმდებლობაში ჰარმონიზაციის ვალდებულებაც აქვს სახელმწიფოს. საქართველოს კანონის ევროპულ დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანის მოტივით თითქმის წელია წარდგენილია საკანონმდებლო წინადადება[16], რაც ფართო დისკუსიის საგანი გახდა.

მნიშვნელოვანია გაანალიზდეს მედიის თვითრეგულირების მექანიზმები საქართველოში და ამ კუთხით არსებული რეგულაციების შესაბამისობა „აუდიოვიზუალური მედია მომსახურების შესახებ“ 2010/13/EU ევროპული დირექტივასთან. აგრეთვე განხილულია რამდენად უზრუნველყოფს დარღვეული ინტერესის აღდგენას თვითრეგულირების მექანიზმები და როგორია სხვა ქვეყნების პრაქტიკა საქართველოში მედიის თვითრეგულირების მექანიზმებთან მიმართებით.

კვლევის მეთოდოლოგია

განსახილველი საკითხები ძირითადად მიმოხილულია კონკრეტული შემთხვევების, გადაწყვეტილებების ანალიზისა და საკანონმდებლო ნორმების ანალიზის საფუძველზე. ამასთან გამოყენებულია გამოხატვის თავისუფლებასა და მედია სამართალზე არსებული ლიტერატურა და ადმინისტრაციული ორგანოდან მიღებული საჯარო ინფორმაცია. შესაბამისად, ნაშრომი მომზადებულია კვლევის თვისებრივი მეთოდით, სადაც გამოყენებულია შემთხვევების შესწავლა (“Case Sudy”) და კაბინეტური კვლევა (“Desk Research”).

კვლების შედეგები

<u>მედიის თვითრეგულირების მექანიზმები საქართველოში</u>

„სიტვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მედია განიმარტება, როგორც „მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალება, მათ შორის, ინტერნეტიც.“[17]

იაშა ლანგი აღნიშნავს (ლანგი, 2003), რომ სხვადასხვა ქვეყნებისა და მედიის გამოცდილება წარმოაჩენს თვითრეგულირების, შიდაორგანიზაციული დებულებებისა და სარედაქციო წესდების მნიშვნელობას (რომლებიც ერთმანეთისგან მიჯნავენ მმართველობით და სარედაქციო მოვალეობებს). ზოგიერთ ქვეყანაში (საზოგადოებრივ) სამაუწყებლო მედიას დამატებით გარკვეული (საკანონმდებლო) ვალდებულებები აკისრია. მართალია, ბეჭდვითი

[16] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით https://info.parliament.ge/#law-drafting/17006 მასალაზე წვდომა: 29.10.2020

[17] „სიტვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6.

და ელექტრონული მედიისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებას ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება არ ჰქონდეს ფილოსოფიური საფუძველი, თუმცა მაგალითები გვიჩვენებს, რომ ამგვარი დუალისტური მიდგომა საზოგადოდ დამკვიდრებულია.[18]

აღსანიშნავია, რომ საქართველო ისეთი ქვეყნების რიგს მიეკუთვნება, რომელიც ადგენს სპეციფიურ რეგულეციებს სამაუწყებლო მედიისთვის.[19] მაუწყებლებთან მიმართებით განსხვავებული მდიგომა არსებობს თვითრეგულირების მექანიზმებშიც. ჩვენს ქვეყანაში მედიის თვითრეგულირების ორი სახის მექანიზმი არსებობს:

1. მაუწყებლების თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ნორმატიული აქტის საფუძველზეა შექმნილი, ეხება მხოლოდ სამაუწყებლო მედიას და ეთიკური პრინციპების დაცვის თვალსაზრისით გარკვეულ ვალდებულებებს უწესებს მაუწყებლებს.
2. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, რომელიც ჟურნალისტთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა და მისი პრინციპები ეხება ყველა სახის მედიის, მათ შორის მაუწყებლების, წარმომადგენლებს.

საინტერესოა ორი თვითრეგულირების მექანიზმის ურთიერთმიმართება, როდესაც ერთი მათგანი (მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმი) კანონმდებლობის საფუძველზე - „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“, ხოლო მეორე (ჟურნალისტური ეთიკის ქარტია) წევრთა მიერ დაწესებული წესების მიხედვით ფუნქციონირებს.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისგან განსხვავებით მაუწყებლების თვითრეგულირების მექანიზმი არ არის აქტიური და ამას დაინტერესებული პირის ცნებაც განაპირობებს. მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმისთვის მიმართვა მხოლოდ „დაინტერესებულ პირს“ შეუძლია. საქართველოს კანონმდებლობა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ ამ ცნებაში მხოლოდ იმ ადამიანებს, ან ადამიანთა ჯგუფს მოიაზრებს, რომლებზეც კონკრეტულმა ქმედებამ პირდაპირი, ან ირიბი გავლენა იქონია,[20] რაც ცალსახად პრობლემაა, ვინაიდან საჩივრის ავტორს უწევს მტკიცება, რომ უშუალოდ მისი ინტერესი შეილახა, ანუ უწევთ მტკიცება, რომ მაგალითად, არის უმცირესობების წარმომადგენელი. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ დაინტერესებულ პირზე არსებული ჩანაწერის თანახმად, კონკრეტული ჯგუფის უფლებების დაცვაზე მომუშავე ორგანიზაციებსაც არ აქვთ შესაძლებლობა მიმართონ თვითრეგულირების მექანიზმს. აღნიშნული მიდგომა ეწინააღმდეგება თვითრეგულირების პრინციპს. იმ შემთხვევაში, თუ მედიის მიზანია ხარისხის გაუმჯობესება, ეთიკური პრინციპების დაცვა, მაშინ მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს თუ ვინ მიმართავს და მიუთითებს ნორმების დარღვევაზე. მით უფრო, რომ შუღლის გაღვივების მოწოდების, დისკრიმინაციის თუ სხვა შემთხვევაში შესაძლებელია ძნელად მოიძებნოს პირი ან პირთა ჯგუფი, რომელზეც პირდაპირი და უშუალო გავლენა მყისიერად მოახდინა გადაცემამ ან ასეთი პირისთვის არ იყოს ცნობილი მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმებით სარგებლობის შესაძლებლობაზე.

---

[18] ლანგი ი., „მედია და არჩევნები“, (2003). თბილისი, გამომცემლობა „რეგთაიმი“. გვ. 7

[19] ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ. „მედიასამართალი” (2014).თბილისი, გამომცემლობა „ქოლორი“. გვ. 28-45

[20] ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, „მაუწყებლობის თვითრეგულირება: კანონმდებლობა და პრაქტიკა“, (2014), ელ. ვერსია: http://mdfgeorgia.ge/uploads/mautskeblis-tvitregulireba-kanini-praqtika.pdf, მასალაზე წვდომა: 29.10.2020

სტატისტიკას თუ გავითვალისწინებთ, მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის შექმნის დღიდან, 2009 წლიდან 2015 წლამდე ქვეყანაში არსებულ ყველა მაუწყებელში ჯამში 90 განცხადება არის შესული, ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ საჩივრების რაოდენობა კლებადია, თუ 2011 წელს 23 განცხადება შევიდა, 2015 წელს მხოლოდ 5 საჩივარი იყო განხილული. 2019 წელს კომისიიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია ადასტურებს, რომ ყველაზე დიდი მაუწყებლებიც კი წლის განმავლობაში ერთეულ საჩივრებს განიხილავენ.

ამის პარალელურად ქარტიამ თუკი 2011 წელს მხოლოდ 3 საქმე განიხილა, 2018 წელს ამ რიცხვმა 62-ს მიაღწია. 2019 წელს კი უკვე 21 განცხადება მიიღო. ქარტიაში საქმეების რაოდენობის ზრდა განპირობებული იყო იმით, რომ თავდაპირველად საქმეებს მხოლოდ წევრი ჟურნალისტების მიმართ განიხილავდნენ, 2013 წლიდან კი ყველა ჟურნალისტის წინააღმდეგ დაიწყო განცხადებების მიღება, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა, როგორც საჩივრების რაოდენობა, ასევე, განმცხადებელთა პირთა წრე. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ დაინტერესებული პირის ცნების გაფართოება მნიშვნელოვნად შეცვლის სტატისტიკას მაუწყებლებში.

პრობლემურია მოქალაქეებთან მიდგომის საკითხიც. თუ ქარტიაში საჩივრის შეტანასთან დაკავშირებით მის საიტზე დეტალური ინფორმაციის მოძიებაა შესაძლებელი, მაუწყებლებში ამ ინფორმაციის მოპოვება ფაქტობრივად შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ ქარტიის გადაწყვეტილებები ქვეყნდება ვებგვერდზე და სოციალურ გვერდებზე, მაუწყებლებზე კი მსგავსი პრაქტიკა არ გვხვდება, გამონაკლისების გარდა (თვითრეგულირების მექანიზმის სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილებები ქვეყნდება სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელისა და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ, გადაწყვეტილებებს აქვეყნებენ რეგიონული მაუწყებლებიც). „მაუწყებელთა ქცევის“ კოდექსი მაუწყებლებს შესწორებას და ეთერში გადაწყვეტილების გამოცხადებას ავალდებულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არაზუსტი ინფორმაცია გავრცელდა. შესაძლებელია მაუწყებლებს დაევალოთ, რომ ეთერში გამოაცხადონ თვითრეგულირების ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. რაც, რა თქმა უნდა, უფრო ეფექტიანი იქნება, რადგან როგორც უკვე აღინიშნა საკუთარი პროფესიის წარმომადგენელთა მიერ მითითება არაეთიკურობაზე უფრო მტკივნეულია, ვიდრე სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

<u>სიძულვილის ენა მაუწყებლებში - რეგულირებიდან თვითრეგულირებამდე</u>

სიძულვილის ენას ხშირ შემთხვევაში აიგივებენ ყველა ტიპის ნეგატიურ გამონათქვამთან. შეურაცხმყოფელი, ცილისმწამებლური თუ დისკრედიტაციისთვის მომზადებული მასალები უმეტესად სიძულვილის ენად აღიქმება. რეალურად, მათ შორის დიდი განსხვავებაა. იმის გამო, რომ ყველა ქვეყანას სხვადასხვა უნიკალური კონტექსტი აქვს, რთულია განსაზღვრო, რა არის სიძულვილის ენა, რომელი ტერმინები, ფრაზები და გამონათქვამები გააძლიერებს ნეგატიურ დამოკიდებულებას რომელიმე პირის მიმართ. მიუხედავად ამისა, არსებობს შეთანხმება თუ რას ეფუძნება სიძულვილის ენა. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებული რეკომენდაციით, „სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს,

ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით".[21]

მაუწყებლებში სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებული ჩანაწერი „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56-ე მუხლში გვხვდება: „იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის; იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას."[22]

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში 56-ე მუხლი კანონის მიღების დღიდან -2004 წლიდან არსებობს. თავდაპირველად ის კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგულირების სფეროში შედიოდა. თუმცა, 2006 წელს აღნიშნული მუხლი რეგულირებიდან თვითრეგულირებაში გადავიდა და კომისიას დაევალა 2007 წლის 01 აპრილამდე მიეღო მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, ეს ვადა 2007 წლის 18 აპრილს ამავე წლის 01 ივლისამდე გადაიწია, შემდგომ კი 2008 წლის 27 ივნისს შევიდა ცვლილება და ქცევის კოდექსის მიღების ვადად 2009 წლის 01 იანვარი განისაზღვრა. ადმინისტრაციულ ორგანოს 2009 წლის მარტამდე მისი ვალდებულება არ შეუსრულებია.

მიუხედავად საკანონმდებლო ჩანაწერისა, რომელიც ითვალისწინებდა სიძულვილის ენის რეგულირებიდან თვითრეგულირებაში გადატანას, სწორედ 56-ე მუხლი დაედო საფუძვლად 2007 წლის 07 და 08 ნოემბერს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ტელეკომპანია იმედის წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებებს. შპს „ტელეიმედს" კომისიამ ჯერ 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარიანი ჯარიმა, ხოლო შემდგომ დროებით - 3 თვის ვადით ლიცენზიის მოქმედების შეჩერება განუსაზღვრა. აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ ორივე გადაწყვეტილება დაუყოვნებლი აღსასრულებლად იქნა მიქცეული და ტელევიზიას მაუწყებლობის ლიცენზია დაუყოვნებლივ (მიუხედავად იმისა გასაჩივრებდა თუ არა კომისიის გადაწყვეტილებას სასამართლოში) შეუჩერდა, რამაც მისი ეთერიდან გათიშვა გამოიწვია.[23]

2009 წელს, რომდესაც მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმი ამოქმედდა, საკონსტიტუციო სასამართლომ დაინტერესებული პირების მიმართვის საფუძველზე 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებაში იმსჯელა ნორმის კონსტიტუციურობაზე და ის თვითრეგულირებას მიეკუთვნა. გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია:

„ადამიანებს უფლება აქვთ, მიიღონ და გაავრცელონ იდეები და თავად გადაწყვიტონ, რა არის მათთვის მისაღები ან მიუღებელი. აღნიშნული რაციონალის საფუძველზე დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის აუცილებელი გარკვეული აკრძალვების გარდა, პირები,

[21] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია სიძულვილის ენაზე No. R(97) 20., 1997

[22] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 56.3

[23]საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 07 ნოემბრის 672/18 გადაწყვეტილება. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 08 ნოემბრის 673/18 გადაწყვეტილება.

მათ შორის მაუწყებლებიც, უფლებამოსილი არიან, გადასცენ ნებისმიერი ინფორმაცია და ითვლება, რომ ადამიანებს ამ იდეებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა აქვთ."[24]

ამავე გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველი ნორმები უნდა იყოს გათვალისწინებული ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით."[25] სასამართლო, ასევე, ადგენს:

,,მხოლოდ მაუწყებლის პოზიციის, ფასეულობების, იდეების მიუღებლობა არ შეიძლება გახდეს მისი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ობიექტურად იდენტიფიცირებადი ინტერესები, მაგრამ არა სუბიექტური გრძნობები.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველი ნორმები უნდა იყოს გათვალისწინებული ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება გარანტირებული უნდა იყოს, როდესაც უფლების დარღვევას მაუწყებლის ბრალეული ქმედება იწვევს, ამასთან, გამოკვეთილი უნდა იყოს ის უფლება, რომლის დასაცავადაც გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს.

ზნეობრიობის საკითხების სასამართლო წესით განსჯადობა უარყოფით ეფექტს იქონიებს მაუწყებლის თავისუფლებაზე იმდენად, რამდენადაც, უმეტეს შემთხვევაში, ძნელია ობიექტურად იმის განსაზღვრა, რა შეესაბამება ზნეობრივ ნორმებს და რა არა. ასეთი საკითხების სასამართლო წესით განსჯადობა გამყინავ ეფექტს იქონოებს მაუწყებლის თავისუფლებაზე და შედეგად დააზარალებს მთლიანად საზოგადოებას." [26]

ცალსახაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო 56-ე მუხლით დადგენილ სტანდარტებს ტოვებს (გარდა უხამსობისა) მედიის თვითრეგულირების სივრცეში, რადგან მიიჩნევს, რომ მედიის შეზღუვა შესაძლებელი მხოლოდ უფლების დარღვევის შემთხვევაშია (ანუ როცა დარღვევის ინტენსივობა ასეთ მაღალ ხარისხს აღწევს), სხვა შემთხვევაში ხელისუფლების ნებისმიერი ჩარევა მიიჩნევა გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვად.

დღეს შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, კომისიას შეეძლება თავად შეაფასოს და გადაწყვიტოს, თუ რომელი გადაცემა, რესპონდენტის გამონათქვამი ახდენს ადამიანის უფლების შელახვას, ვინაიდან აღნიშნული ცვლილებები შესაძლებლობას იძლევა თვითრეგულირების მექანიზმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრდეს კომისიასა ან/და სასამართლოში. მაგალითად, კომისიას შეეძლება შეაფასოს დისკრიმინაცია რომელიმე ნიშნით, ანდა ეთერში გაჟღერებული გამონათქვამი აუცილებელი იყო პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე თუ არა. ცალსახაა, რომ აღნიშნული ცვლილებით ვერ მოხდება ობიექტურად იდენტიფიცირებადი ინტერესების დაცვა. უფრო მეტიც, კომისია საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეძლებს იმსჯელოს სხვა პირთა სუბიექტურ გრძნობებზე, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დაუშვებელია.

რადგან 56-ე მუხლში არსებული ჩანაწერი ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, შემოთავაზებული ცვლილებებით კომისიას ენიჭება უფლებამოსილება თავად განსაზღვროს

[24]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილება.
[25] იქვე
[26] იქვე.

ეთერში გასული რომელი გამონათქვამი ეწინააღმდეგებოდა კანონს. ეს კი პირდაპირ რეგულაციაა.

<u>არსებული საკანონმდებლო რეგულაციების „აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ“ 2010/13/EU ევროპული დირექტივაასთან შესაბამისობა</u>

კანონმდებლობაში ცვლილების განხორციელების საჭიროებას - თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლობლობას ადმინისტრაციულ ორგანოსა და სასამართლოში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ევროპული დირექტივით ხსნის და უთითებს „აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევროპული დირექტივის მე-6 მუხლზე, რომლის თანახმადაც:

„წევრი სახელმწიფოები შესაბამისი საშუალებებით უნდა უზრუნველყონ, რომ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი მედია მომსახურების მიმწოდებლების მიერ მიწოდებული აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურება არ შეიცავდეს რასობრივი, სქესობრივი, რელიგიური ან ეროვნული ნიშნით სიძულვილის გაღვივებას.“[27]

თუმცა, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ევროპულ დირექტივაში საუბარი არ არის იმაზე, რომ აღნიშნული ვალდებულება აუცილებლად მარეგულირებელი ორგანოსთვის მიმართვის უფლების მინიჭებით უნდა შესრულდეს. ევროპული დირექტივა ხაზს უსვამს იმას, რომ არ უნდა მოხდეს შუღლის გაღვივება აუდიო ვიზუალური მედიასაშუალებებით, როგორ უზრუნველყოფს ამას სახელმწიფო, ეს თავად უნდა გადაწყვიტოს ადგილობრივი კონტექსტისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ თავად დირექტივის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოებმა თავად უნდა გადაწყვიტონ სად არის უმჯობესი რეგულირების გამოყენება, სად თვითრეგულირების და რა შემთხვევაშია თანარეგულირება (co-regulation) მართებული, რაც ისევ და ისევ დამოკიდებული იმაზე, თუ რა გამოცდილება აქვს ქვეყანას. აქვე ხაზგასმულია თვითრეგულირების როლი და მნიშვნელობა და ნათქვამია, რომ დირექტივა არ სთხოვს სახელმწიფოებს რომ შექმნან ან საფრთხე შეუქმნან უკვე არსებულ თვითრეგულირების სისტემებს.

ამავე დირექტივის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნულია: „ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა დირექტივის მოქმედების სფეროში ეროვნულ დონეზე არსებული თანარეგულირება და თვითრეგულირება უნდა წაახალისონ იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა მათი სამართლებრივი სისტემები.”[28]

მართალია „აუდიო-ვიზუალურ მედია მომსახურების“ ევროპულ დირექტივაში არსებული ყველა მოთხოვნა ვერ იქნება თვითრეგულირების ნაწილი და კომისიას აკისრია ვალდებულება, რომ კანონმდებლობის დონეზე მოაწესრიგოს არსებული ხარვეზები, მაგრამ დირექტივის მე-6 მუხლში არსებული დისკრიმინაციული გამონათქვამები და მით უფრო „მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 56-ე მუხლში არსებული ჩანაწერის რეგულირებაში გადატანის მოთხოვნა არსად არ არის მითითებული და არ შეიძლება

[27] აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევროპული დირექტივა, მუხლი 6.
[28] აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევროპული დირექტივა, მუხლი 4.7

განხილულ იქნას ერთადერთ გზად შუღლის გაღვივების, დისკრიმინაციის თუ ძალადობრივი მოწოდების შესამცირებლად. ამიტომ, შემოთავაზებული ცვლილებების დირექტივით გამართლება უსაფუძვლოა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ შემოთავაზებული ცვლილებები არც თანარეგულირებას წარმოადგენს. ადმინისტრაციულ ორგანოში თვითრეგულირების მექანიზმის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ ნიშნავს კლასიკური გაგებით თანარეგულირებას.

თანარეგულირება რეგულირების და თვითრეგულირების ერთობლიობაა. მას მოიხსენიებენ აგრეთვე, როგორც სოციალურად განაწილებული რეგულირება ან რეგულირებადი თვითრეგულირება. ის ითვალისწინებს თანამშრომლობას ინდუსტრიასა და მარეგულირებელს შორის. ადელინ ჰულინი უთითებს (Hulin, 2014) სამართლებრივი ჩარჩოს თანახმად, რეგულაცია ენდობა ინდუსტრიას, მაგრამ მარეგულირებელი აკეთებს პრევენციას, რომ სისტემამ იფუნქციონიროს. თანარეგულირების ფარგლებში დასაშვებია საკითხის ბორდის პირობებში განხილვა, თუმცა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ბალანსი ადმინისტრაციული ორგანოსა (მარეგულირებლის) და ინდუსტრიის წარმომადგენლებს შორის.[29]

აღსანიშნავია, რომ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56-ე მუხლში არსებული ჩანაწერი, რომელიც ეხება ომის პროპაგანდას თუ შუღლის გაღვივებას, გარკვეულწილად ასახულია საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებში და იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პირი, მათ შორის მაუწყებელი დაარღვევს ამ ნორმებს, დაეკისრება პასუხისმგებლობა.

მაგალითად, სისხლის სამართლით დასჯადი ქმედებაა „რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს."[30]

ასევე, ისჯება „საქვეყნოდ მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ, ანდა ასეთი მოწოდების შემცველი მასალის გავრცელება, აგრეთვე ამავე მიზნით შეიარაღებისაკენ მოწოდება."[31]

შესაბამისად, თუკი ნამდვილად იარსებებს რეალური საფრთხე შუღლის გაღვივების, ომის პროპაგანდის თუ ხელისუფლების დამხობის, დღესაც არსებობს სამართლებრივი მექანიზმები, მათ შორის მაუწყებლების წინააღმდეგ. ასეთი ფაქტების გამოძიება კი სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე სხვა სტრუქტურების კომპეტენციაა და აფრა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, ამასთან პირდაპირი ჩარევა.

საკითხის ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებული რეგულაცია არ მოდის

---

[29] Hulin A. "Statutory media self-regulation: beneficial or detrimental for media freedom?", 2014,https://cadmus.eui.eu/bitstream/handle/1814/34047/RSCAS_WP_2014_127.pdf?sequence=1 მასალაზე წვდომა: 29.10.2020.

[30] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 239.1

[31] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 317

წინააღმდეგობაში ევროპულ დირექტივასთან და სრულად არის შესაძლებელი პირთა ინტერესის დაცვა ისე, რომ არ შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება და არ მოხდეს სიძულვილის ენის საკითხების რეგულირებიდან თვითრეგულირებაში გადატანა.

დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

- ჟურნლისტური ეთიკის ქარტია მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმისგან განსხვავებით პრაქტიკაში უფრო მოქნილი და აქტიურია და დგას მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმების გაძლიერებაზე მუშაობის დაწყების საჭიროება.
- სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებით კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლი თავდაპირველად საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგულირების სფეროში იყო, შემდგომ თვითრეგულირების სფეროში გადავიდა და დღეს საქართველოს პარლამენტი მსჯელობს გახდეს თუ არა საკითხი ისევ რეგულირებადი. თვითრეგულირებიდან რეგულირებაში გადასვლის აუცილებლობის არგუმენტად კი მოყვანილია „აუდიოვიზუალური მედია მომსახურების შესახებ“ 2010/13/EU ევროპული დირექტივა, რომელთან შესაბამისობაშიც უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობა.
- დღეს არსებული რეგულაცია არ მოდის წინააღმდეგობაში ევროპულ დირექტივასთან და სრულად არის შესაძლებელი პირთა ინტერესის დაცვა ისე, რომ არ შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება და არ მოხდეს სიძულვილის ენის საკითხების რეგულირებიდან თვითრეგულირებაში გადატანა. ცხადია დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ცდილობს შემცირდეს სიძულვილის ენის, შუღლის გაღვივების თუ არასრულწლოვანებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი პროდუქციის სამაუწყებლო ეთერში გაშვება, თუმცა პრობლემის მოგვარების არასწორი გზა არის შერჩეული. მიუღებელია კომუნიკაციის ეროვნული კომისიისთვის პროგრამაში ჩარევის შესაძლებლობა და ამის საფუძველზე მაუწყებლების სანქცირება, ვინაიდან შესაძლოა ის გამოყენებული იყოს სწორედ პასუხისმგებლიანი და კეთილსინდისიერი მაუწყებლების წინააღმდეგ.

საქართველოს მსგავს ქვეყანაში, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები არ არის მყარი, კომისიის შემოსვლა მედიის შინაარსში, ვერ ჩაითვლება პროგრესულ ნაბიჯად. ამასთან, თუკი დადგება რეალური საფრთხე ან შუღლის გაღვივების ანდა სახელმწიფოებრივი წყობილების შეცვლისკენ მოწოდების, არსებული საკანონმდებლო აქტები იძლევა რეაგირების უფრო მეტად ეფექტიან საშუალებას, ვიდრე ეს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის ამ უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში იქნებოდა.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ რეგულირების ნაცვლად გამოვიყენოთ ის მექანიზმები, რომელიც დღეს გაგვაჩნია თვითრეგულირების მხრივ, გავზარდოთ მისი ეფექტიანობა და ამგვარად შევასრულოთ ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ბიბლიოგრაფია:

Christian, W. Haerpfer, Patrick Bernhagen, Ronald F. Inglehart, and Christian Welzel. (2009). "Democratization", Oxford University Press.

Hulin, A. "Statutory media self-regulation: beneficial or detrimental for media freedom?" (2014). https://cadmus.eui.eu/bitstream/handle/1814/34047/RSCAS_WP_2014_127.pdf?sequence=1 მასალაზე წვდომა 29.10.2020

ზოიძე ბ., ბურდული ი., გოცირიძე ე. და სხვები, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი (2013). თბილისი, გამომცემლობა „პეტიტი"

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, „მაუწყებლობის თვითრეგულირება: კანონმდებლობა და პრაქტიკა", (2014). http://mdfgeorgia.ge/uploads/mautskeblis-tvitregulireba-kanini-praqtika.pdf, მასალაზე წვდომა 29.10.2020

ლანგი, ი. (2003). „მედია და არჩევნები". თბილისი, გამომცემლობა „რეგთაიმი"

ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ., „მედიასამართალი" (2014). თბილისი, გამომცემლობა „ქოლორი"

საქართველოს კონსტიტუცია, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36 მასალაზე წვდომა 09.11.2020

„აუდიოვიზუალური მედია მომსახურების შესახებ" 2010/13/EU ევროპული დირექტივა, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32010L0013 მასალაზე წვდომა: 09.11.2020

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია სიძულვილის ენაზე No. R(97) 20., 1997,https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680505d5b მასალაზე წვდომა 09.11.2020

სისხლის სამართლის კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426 მასალაზე წვდომა 09.11.2020

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=59 მასალაზე წვდომა 09.11.2020

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6 მასალაზე წვდომა 09.11.2020

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსი" https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0 მასალაზე წვდომა 09.11.2020

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 07 ნოემბრის 672/18 გადაწყვეტილება,https://www.comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2007-672-18.page მასალაზე წვდომა 09.11.2020

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 08 ნოემბრის 673/18 გადაწყვეტილება,https://www.comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2007-673-18.pageმასალაზე წვდომა 09.11.2020

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1640006?publication=0 მასალაზე წვდომა 09.11.2020

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილება, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1129248?publication=0 მასალაზე წვდომა 09.11.2020

Lingens v Austria, the European Court of Human Rights (1986), https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-57523%22]} მასალაზე წვდომა 09.11.2020

Oberschlick v Austria, the European Court of Human Rights (1991), https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-57716%22]} მასალაზე წვდომა 09.11.2020

ელენე ნაპირელი
ენათმეცნიერების მაგისტრი, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, მეცნიერი თანამშრომელი

დიანა ანფიმიადი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

მაია ბარიხაშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

ლექსიკოგრაფიული წყაროები ქდკ-ს სალექსიკონო პლატფორმისათვის

Abstract

The best illustration of "reading" in a novel way and the principle of processing is the lexical platform of the Georgian Dialectal Corpus.In the process of working on the dictionary, lexicographic data undergo a number of systematic changes. This is a sort of postmodern, rereading rule where the author is not changed but, at the same time, presented information is filled and, by combining several sources, a new lexicographic text, actually, a lexical hypertext is created.

In the paper, we discuss the lexicographic sources of the dictionaries of the GDC and demonstrate an interesting process through the visual material where several lexicographic sources create a single lexical hypertext, and the Georgian lexicographic heritage turns into a new, perfect scientific platform.

საკვანძო სიტყვები: *ლექსიკოლოგია, კორპუსლინგვისტიკა, დიალექტოლოგია*

შესავალი

მდიდარი ქართული ლექსიკოგრაფიული გამოცდილება გვაძლევს საშუალებას ტექნოლოგიების, კორპუსული და ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენებით ახალი ლექსიკოგრაფიული სინამდვილე შევქმნათ, რომელიც მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული ტექსტების სრულიად ახლებური კითხვისა და გამოყენების შესაძლებლობას მოგვცემს.

ახალ, ინოვაციურ ლექსიკოგრაფიულ სინამდვილეში ლექსიკოგრაფიული წყარო უფრო მასშტაბურ, მრავალმხრივ რესურსად გარდაიქმნება, ითავსებს სხვა წყაროებს, მკვლევართა გამოცდილებას, თანამედროვე საველე სამუშაოების შედეგებს, დიაქრონიულ და სინქრონიულ ცვლილებებს, ტექნოლოგიების განუზომელ შესაძლებლობებს და კვლევის ფართო პერსპექტივას წარმოაჩენს. ეს, ერთი მხრივ, გასული საუკუნის დიალექტოლოგიური და ლექსიკოგრაფიული მასალის თანამედროვე სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას, ინფორმაციულ გარემოში „დაბინავებას“ და, მეორე მხრივ, ამ ბაზაზე ახალი კვლევების განვითარებას შეუწყობს ხელს.

ახალი „წაკითხვისა“ და დამუშავების პრინციპის საუკეთესო ილუსტრაციაა ქართული დიალექტური კორპუსის სალექსიკონო პლატფორმა. ლექსიკოგრაფიული რედაქტორი (მ.ბერიძე, დ. ნადარაია) იძლევა იმის საშუალებას, რომ ნებისმიერ დროს დაემატოს ახალი ლექსიკოგრაფიული წყაროს მასალა ყველა საჭირო საავტორო მითითებით, ერთი წყაროს ან რამდენიმე წყაროს ბაზაზე, ინფორმაციის შერწყმის საშუალებით სრულყოფილი სალექსიკონო სტატია შეიქმნას. დღეისათვის დიალექტური კორპუსის წიაღში ინტეგრირებულია მ. თოდუას, დ. ჩხუბიანიშვილის, თ. უთურგაიძის, ჯ. გიუნაშვილის, მ. ბერიძისა და ლ. ბაკურაძის მიერ სხვადასხვა დროს ფერეიდანში ჩაწერილი „ფერეიდნული სალექსიკონო მასალა“, სტეფანე მენთეშაშვილის „ქიზიყური ლექსიკონი“ (მენთეშაშვილი, 1943) კახური დიალექტის ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის არქივი (1949–1988); შინამრეწველობის მასალები ((პირველ–ასლები) (შეკრებილი ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით) (ჯავახიშვილი, 1936), როგნედა ღამბაშიძისა და ნათელა როსტიაშვილის ინგილოური ლექსიკონები, გ. ცოცანიძის „თუშური ლექსიკონი“, ალ. ჭინჭარაულის „ხევსურული ლექსიკონი“, პ. გაჩეჩილაძის, ბ. წერეთლის, ქ. ძოწენიძის, ივ. ქავთარაძის „იმერული ლექსიკონი“ და იმერული სალექსიკონო მასალა და სხვა.

კვლევის მეთოდოლოგია

აღსანიშნავია, რომ ამ ერთგვარ სალექსიკონო შემოქმედებით პროცესში ყველა ელემენტი, ყველა შემადგენელი იცვლის თავის პირველად სახეს თუ ფუნქციას და ახალ, მეტატექსტად ერთიანდება. ამ ქმნადობის ერთ-ერთი მთავარი რესურსი სალექსიკონო წყაროა, რომელიც სხვადასხვაგვარია და შესაბამისად, სხვადასხვაგვარ დამუშავებას საჭიროებს. ელექტრონული ლექსიკონის მზადებისას ბეჭდური ლექსიკონების გარდა სხვა მასალებიც გამოიყენება, როგორიცაა, ტექსტური ჩანაწერები, ზეპირი ისტორიები, ნედლი სალექსიკონო მასალა და სხვა. მთელი ეს ენობრივი მასალა, ტექსტური მასივი ერთ უნივერსალურ სალექსიკონო სტატიად ერთიანდება.

ლექსიკონზე მუშაობისას ლექსიკოგრაფიული წყარო განიცდის მრავალ სისტემურ ცვლილებას. სწორდება, ზუსტდება ან ემატება მნიშვნელობა ან განმარტება (ბეჭდურ წყაროში მოცემული ილუსტრაციის, სხვა ლექსიკონის (მაგ. განმარტებითი) მიხედვით.

წყაროების ინტეგრირებისას მთავარი, ერთგვარი საფუძველი, ძირითადი რესურსი ბეჭდური ლექსიკონია. ქართული ლექსიკოგრაფია დიდი ისტორიის მქონე მეცნიერებაა, პირველი ქართული ლექსიკონიდან დაწყებული თანამედროვე ლექსიკონებამდე ლექსიკონის აგების სტრუქტურა, სპეციფიკა, ლექსიკოგრაფიული გემოვნება, სტილი, ერთგვარი სამეცნიერო კონიუნქტურა თუ მიზნობრივი აქცენტი სულ იცვლებოდა, იხვეწებოდა, ზუსტდებოდა, ეს,

ერთი მხრივ, ქართული ლექსიკოგრაფიული ლიტერატურის განვითარების საინტერესო პროცესს ასახავს, მეორე მხრივ, კი თითქოს სირთულის წინაშე გვაყენებს, თუ ელექტრონული ლექსიკონი მკაცრად გატარებული პრინციპების ერთობლიობაა, შევძლებთ კი სხვადასხვაგვარად შედგენილი, თუნდაც ერთი ტიპის ლექსიკონები ისე მოვათავსოთ ელექტრონული ლექსიკონის სივრცეში, რომ ერთი ხაზი, ზუსტი და ერთგვაროვანი წაკითხვის წესი შევინარჩუნოთ?

ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სწორედ ესაა, ყველა ტიპის ლექსიკოგრაფიული წყარო ისე ინტეგრირდეს ელექტრონულ ლექსიკონში, რომ სტრუქტურული სიზუსტე არ დაირღვეს. ამისთვის მრავალ მნიშვნელოვან ამოცანას ვასრულებთ, მიზანი ერთია, კითხვის ამ ახალი წესის საშუალებით ყველა ტიპის წყარო ერთგვაროვნად, სტრუქტურულად აღმოჩნდეს „ახალ სხეულში“, შეივსოს დანაკლისი, გასწორდეს ხარვეზები, ახალი ფუნქციები შეიძინოს.

ამისთვის მრავალი დეტალის გათვალისწინება გვიწევს:

- როდესაც ლექსიკოგრაფიულ წყაროში არ არის გატარებული ლექსიკური ერთეულის წარმოდგენის ერთი პრინციპი, ონლაინლექსიკონში ამ ხარვეზს ვასწორებთ.

- ერთი სისტემური მიდგომით სწორდება ლემის, ილუსტრაციისა და გრამატიკული ვარიაციების ველები. ავტორისეულ სიტყვა-სტატიაში გამოტანილი ყველა მიმღეობა (თუ ის გასუბსტანტივებული არაა) და ზმნიზედა (ზმნიზედად კვალიფიცირებული ვითარებითი ბრუნვის ფორმა) ერთიანდება მასდარის ბუდეში, როგორც გრამატიკული ვარიაციები, ხოლო დიფერენცირებული მნიშვნელობები ილუსტრაციის ველში თავსდება.

- ერთი პრინციპით ლაგდება გრამატიკული ვარიაციები. ზმნის საწყისი ფორმა გაგვაქვს სალექსიკონო სტატიის მთავარ ლემად, ბეჭდურ ლექსიკონში ცალკე გატანილ ზმნის ყველა პირიან ფორმას ვაერთიანებთ მის მასდართან, მესამე პირის ფორმები კი ამ სალექსიკონო სტატიის გრამატიკული ვარიაციის შესაბამის გრაფაში თავსდება.

- როდესაც ავტორისეულ სიტყვა-სტატიაში ზმნისწინს არ აქვს სიტყვაწარმოებითი ფუნქცია, მთავარ ლემად უზმნისწინო ფორმა გაგვაქვს, ხოლო ზმნისწინიან ვარიანტებს ამ ლემის გრამატიკული ვარიაციის ველში განვათავსებთ.

- ზუსტდება ორაზროვანი განმარტებები, ასევე, იმ შემთხვევაში, როდესაც სიტყვა მოცემულია განმარტებისა და შესატყვისის გარეშე, ჩვენ სრულვყოფთ სალექსიკონო სტატიას და ვამატებთ ნაკლულ ინფორმაციას. სიტყვის მნიშვნელობას ვაზუსტებთ ილუსტრაციის, მყარი შესიტყვებების, იმავე სემანტიკური ველის სიტყვების, ფრაზეოლოგიზმების, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის და დიალექტის მატარებელთა გამოცდილების მიხედვით.

- ქდკ-ს ლექსიკონის სტრუქტურა საშუალებას გვაძლევს, რომ ყველა ასეთ შემთხვევაში წყაროში მოცემული ინფორმაცია გადანაწილდეს შესაბამისი სიტყვა-სტატიის სტრუქტურულ ველებში ან ახალ სალექსიკონო სტატიებში ისე, რომ ლემის ველში დარჩეს მხოლოდ ერთი ჩანაწერი.

- ასევე გვაქვს შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ლემა ბეჭდურ ლექსიკონში ორი სხვადასხვა სალექსიკონო სტატიის სახითაა წარმოდგენილი, ხოლო ზოგჯერ ბეჭდური ლექსიკონი ნახეთი ან შეადარე მითითებით გვაგზავნის არარსებულ ლემასთან.

- რაც შეეხება, ფონეტიკურ ვარიანტებს, ბეჭდურ ლექსიკონში ცალ-ცალკე ლემად გატანილი ფონეტიკური ვარიანტები ელექტრონულ ვერსიაში ერთ სტატიად გავაერთიანეთ, ხოლო ფონეტიკური ვარიაცია შესაბამის გრაფაში განთავსდა.

- ბეჭდური ლექსიკონის ხარვეზად შეგვიძლია მოვიხსენიოთ ის შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე სინტაქსური წყვილის პრეპოზიციული და პოსტპოზიციური წყობის მსაზღვრელ-საზღრვული წარმოდგენილია ცალ-ცალკე სალექსიკონო სტატიად.

კვლევის შედეგები

საინტერესო ლექსიკოგრაფიული პროცესია ერთი და იმავე დიალექტის სხვადასხვა ავტორის ლექსიკონის ერთ კორპუსულ ლექსიკონად ინტეგრირება, შერწყმა, ისე, რომ არც ავტორი დაიკარგოს, არც რომელიმე მნიშვნელოვანი დეტალი და ლექსიკონიც ტექნოლოგიური წესების მიხედვით გაიმართოს. ამ კუთხით, კორპუსული ლექსიკონი ნამდვილად წარმოადგენს ლექსიკოგრაფიული პოსტდმოდერნის პროდუქტს, სადაც ბმები და კავშირები, ინტერტექსტები, ძველი ტექსტების ახლებული წაკითხვა განაპირობებს ლექსიკოგრაფიულ პროცესსა და მსოფლმხედველობას.

ორი ლექსიკონის ერთ სალექსიკონო რესურსად შერწყმისას ვასრულებთ შემდეგ ამოცანებს:

- იდენტურ ლემებს, რომელთაც იდენტური განმარტება აქვთ, ემატება შესაბამისი წყარო, სადაც დადასტურებულია მსგავსი ფორმები

- იდენტურ ლემებს, რომელთაც იდენტური განმარტება აქვს, მაგრამ განსხვავებულია ილუსტრაციები, ასეთ დროს სალექსიკონო სტატიას ემატება განსხვავებული ილუსტრაციები შესაბამისი წყაროს მითითებით

- იდენტურ ლემებს, რომელთაც აქვთ განსხვავებული განმარტება, ემატება ახალი მნიშვნელობა ცალკე სალექსიკონო სტატიად შესაბამისი წყაროს მითითებით

- და სხვა.

ონლაინლექსიკონი სხვადასხვა სტრუქტურულ ველს მოიცავს: ლემა, შესატყვისი, განმარტება, გრამატიკული და ფონეტიკური ვარიაციები, ილუსტრაცია, შიდა ბმულები, ზუსტდება, იცვლება, განმარტება, ფართოვდება სიტყვის მნიშვნელობა, ემატება ლინგვისტური ინფორმაცია. სიტყვის მნიშვნელობას ვაზუსტებთ ილუსტრაციის, მყარი შესიტყვებების, იმავე სემანტიკური ველის სიტყვების, ფრაზეოლოგიზმების, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის და დიალექტის მატარებელთა გამოცდილების მიხედვით.

დასკვნები და რეკომენდაციები

ბეჭდური წყაროს გარკვეული ინფორმაცია გამოტოვებულია ქდკ-ს ელექტრონულ ლექსიკონში - ეს არის ბმულები, რომლებიც სხვა ლექსიკონების ამა თუ იმ ფორმასთან გვაგზავნის, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ინახება სალექსიკონო სტატიის სამუშაო ველში და მომავალში, როცა ბაზას დაემატება ყველა სხვა ლექსიკონი, ივარაუდება შიდა ბმულებით ამ ინფორმაციის გააქტიურება.

ნაბეჭდი წყაროს ყველა მითითება ქდკ-ში შეძლებისდაგვარად შენარჩუნებულია. ქდკ-ს ლექსიკონში არ აისახება ის ბმულები, რომლებიც ილუსტრაციასა და განმარტებაში გამოყენებულ მასალასთან გვაგზავნის. ბმულით „იხილე“ ჩვენს ლექსიკონში აღნიშნულია სალექსიკონო ერთეულთან დაკავშირებული ფორმები.

სხვადასხვაგვარი წყაროს ერთ ელექტრონულ ლექსიკონად ინტეგრირებისას, ჩვენ სრული სახით ვინარჩუნებთ წყაროს ყველა ენობრივ მონაცემს, მეტაინფორმაციას, ვაზუსტებთ, ვასტრუქტურირებთ, ერთიანი წესით ვალაგებთ ყველა სახის ლინგვისტურ ინფორმაციას, ვასწორებთ ხარვეზებს, ვამატებთ დანაკლისს და ვიღებთ ახალ სალექსიკონო ტექსტს, რომელიც წყარო მოცემულებაზე დაშენებული ახალი უნივერსალური სალექსიკონო პროდუქტია.

ელექტრონული ლექსიკონი ლინგვისტური და ინტერდისციპლინური კვლევებისთვის ახალ პერსპექტივებს წარმოაჩენს, განსაკუთრებით საინტერესოა დიალექტზე დაკვირვება სინქრონიულ და დიაქრონიულ ჭრილში, გამომდინარე იქიდან, რომ ლექსიკონი სხვადასხვა პერიოდში ჩაწერილი ტექსტების, სხვადასხვა ბეჭდური ლექსიკონის ინტეგრირების საშუალებით შეიქმნა; უნდა აღინიშნოს რომ ქდკ-ს ლექსიკონების საბოლოოდ დამუშავებისა და სამეცნიერო სივრცეში მიმოქცევის შემდეგ ქართული ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობა ახალი ტიპის სრულყოფილ სამეცნიერო პლატფორმად იქცევა.

ბიბლიოგრაფია:

იმნაიშვილი, გ., მარტიროსოვი, ა., (1956). ქართული ენის კახური დიალექტი. თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“

მენთეშაშვილი, ს. (1943). ქიზიყური ლექსიკონი. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

ქდკ-ის ლექსიკოგრაფიული ბაზა http://corpora.co/#/dictionaries მასალაზე წვდომა 15.11.20

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php მასალაზე წვდომა 15.11.20

შინამრეწველობის მასალები (1936). (პირველ_ასლები) შეკრებილი ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“

ჩიქობავა, არნ. (1949_1988). სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის არქივი. ხელნაწერი ასლები, გაციფრებული ქართულ დიალექტურ კორპუსში http://corpora.co/#/corpus

ჯორბენაძე, ბ. (1989). ქართული დიალექტოლოგია I. თბილისი, გამომცემლობა ,,მეცნიერება“

ელენე ნაპირელი

თსუ ენათმეცნიერების მაგისტრი, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

კახური დიალექტური ლექსიკისთვის (ქდკ[32]-ის ტექსტების მიხედვით)

Abstract

We have studied the dialect texts published in the Georgian Dialect Corpus that were recorded at different times in different regions of Kakheti. Kakhetian vocabulary is currently being clarified and the dictionary is being compiled. This is especially important because there is no Kakhetian vocabulary presented as a separate dictionary. We have compared some of the materials of Kakhetian vocabulary with the existing dialect dictionaries, as well as with the Georgian Explanatory Dictionary. A number of the Kakhetian lexical units have been attested in the vocabularies of other dialects as well but with different meanings. We present the results of the research.

საკვანძო სიტყვები: *ენათმეცნიერება, კორპუსლინგვისტიკა, ლექსიკოლოგია, დიალექტოლოგია*

შესავალი

დიალექტური ლექსიკა სალიტერატურო ქართული ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების წყაროა. ქართულ დიალექტებში, ლექსიკის ისტორიის თვალსაზრისით, უდიდესი განძია წარმოდგენილი.

ენა და მისი დიალექტები იცვლება და ვითარდება ისტორიის ყველა ეტაპზე. ქართული სალიტერატურო ენა გავლენას ახდენს დიალექტებზე და იწვევს სპეციფიკური ლექსიკის ნიველირებას. ეს გავლენა ყველაზე ადრე ლექსიკაში იჩენს თავს. გარკვეული დროის შემდეგ ამ ლექსიკის აღდგენა შეუძლებელიც კი იქნება, მაგრამ ჯერჯერობით მათი თავმოყრა და შენახვა, როგორც ენის ისტორიის არტეფაქტებისა, შესაძლებელი და აუცილებელია.

კვლევის მეთოდოლოგია

კახურ მასალაზე მუშაობისას გამოიკვეთა მთელი რიგი ლექსიკური ერთეულებისა, რომლებიც ასახული არ არის სხვა ლექსიკოგრაფიულ წყაროებში.

[32] ქართული დიალექტური კორპუსი

საკვლევად ავიღეთ ქართულ დიალექტურ კორპუსში გამოქვეყნებული დიალექტური ტექსტები. კორპუსში ინტეგრირებულია სხვადასხვა დროს კახეთის სხვადასხვა რაიონში ჩაწერილი მასალა, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის არქივი (1949–1988); შინამრეწველობის მასალები ((პირველ–ასლები) (შეკრებილი ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით), კახური დიალექტი (გრიგოლ იმნაიშვილი, არამ მარტიროსოვი, 1952) და სხვა.

დღეისათვის ქდკ-ის კახურ ლექსიკონში დამატებულია სტეფანე მენთეშაშვილის „ქიზიყური ლექსიკონიც“. ლექსიკოგრაფიული რედაქტორი იძლევა იმის საშუალებას, რომ ლექსიკოგრაფიულ წყაროს ნებისმიერ დროს დაემატოს ახალი მასალა ყველა საჭირო საავტორო მითითებით. ამჟამად მიმდინარეობს კახური ლექსიკის დაზუსტება, შეკრება და ლექსიკონის შევსება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან დღემდე არ გვაქვს კახური ლექსიკა ერთ ლექსიკონად წარმოდგენილი.

კახური ლექსიკონის მასალების ნაწილი შევუდარეთ არსებულ დიალექტურ ლექსიკონებს, ასევე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს. არაერთი მათგანი აღმოჩნდა სხვა დიალექტების ლექსიკაშიც, მაგრამ განსხვავებული შინაარსით. აქ დასტურდება, როგორც სახელები, ისე მასდარები და ზმნური ფორმები. პირველ ეტაპზე კორპუსის მასალაზე დაყრდნობით შემუშავდა პირველადი სიტყვანი. დღეისათვის სულ გვაქვს 3 000 ახალი ლექსიკური ერთეულის სია, რომელიც მოწმდება სხვადასხვა თვალსაზრისით დადასტურების არეალის მიხედვით და ამ სიიდან ამოირჩევა ის ერთეულები, რომლებზეც უნდა შეიქმნას სალექსიკონო სტატია და შეივსოს სიტყვანი. დამუშავების შედეგად ეს რიცხვი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს.

კორპუსში ინტეგრირებულ ლექსიკონებში გატარებულია ერთი პრინციპი: ზმნის საწყისი ფორმა გატანილია სალექსიკონო სტატიის მთავარ ლემად, ხოლო ზმნის ყველა პირიანი ფორმა გაერთიანებულია მის მასდართან, მესამე პირის ფორმები კი ამ სალექსიკონო სტატიის გრამატიკული ვარიაციის შესაბამის გრაფაში თავსდება. ყველა მიმღეობა (თუ ის გასუბსტანტივებული არაა) და ზმნიზედა (ზმნიზედად კვალიფიცირებული ვითარებითი ბრუნვის ფორმა) ერთიანდება მასდარის ბუდეში, როგორც გრამატიკული ვარიაციები, ხოლო დიფერენცირებული მნიშვნელობები ილუსტრაციის ველში თავსდება. თუ ზმნის მასდარი არ დადასტურდება კორპუსის ტექსტებსა და დიალექტის მატარებლებთან, მაშინ ცალკე სალექსიკონო ერთეულად გატანილია ზმნის პირინი ფორმა ან მიმღეობა. ამრიგად, ლექსიკონში შედის მხოლოდ გადამოწმებული და დადასტურებული სიტყვები და არა ხელოვნურად ნაწარმოები ფორმები.

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად წარმოვადგენთ ლექსიკური ერთეულების მცირე ნაწილს, რომელიც გამოქვეყნებულ ლექსიკონებში არ დასტურდება ან განსხვავებული შინაარსით გვხვდება.

- **ლექსიკონებში არ დადასტურდა**:

დატოშვა, დაგვტოშეს = *ცემა, გამათრახება. ილუსტრ.: <u>მოსამართლე ჩამოიდა და უთხრა ჩაფარს: სამივენი დატოშე და შეყარეო და სასამართლო თითონ გაარჩევსო. მემრე დაგვტოშეს. ჩემ</u>*

ძმეფსა ძალიანა-ეცემეს მათრახი, მე ორი-სამი დამარტყა და წავიქეცი (ჩაწერის ადგილი: ახმეტა); (ალ. ჭინჭარაულის „ხევსურულ ლექსიკონში“ გვაქვს სიტყვა *ტოში, ტოშოლი* - რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობა არის *2. მათრახის ბოლოში მიბმული ბრტყელი ტყავი,* ასევე ფიგურალურად ნიშნავს *3. ფიგურ. სილა, ალიყური*[33]*, გასტოშავს - მიბეგვავს, გაასილაქებს);* ამ სიტყვის ძირი შენარჩუნებულია **ტოშ** გაკვირვების შორისდებულში, ასევე დიალექტებში გვაქვს **ტოშება, ეტოშა** სიტყვა „ემცხეთა“ მნიშვნელობით. შევადაროთ: **იტკიცა, იტკეცს** (ქეგლი[34]) – 1. უცებ შემოიკრავს სახეში ხელს, 2. გაიკვირვებს, იწყენს ვინმეს ნათქვამს. **ტკეცა** (ქეგლი) - ერთ-ერთი მნიშვნელობაა „გარტყმა, შემორტყმა“ **სტკეცს** (ქეგლი) - „გაარტყამს, შემოჰკრავს, გააწნავს“; ამიტომ **ტოშ-** ძირი შეიძლება დავაკავშიროთ **ტკეც-** ძირთან (**ტოშ-//ტკეც-**).

გეეყუფება, ფეხი გეეყუფება = *ფეხი გაებმება. ილუსტრ.: ფრინველი რომ მოფრინდება, სასხლეტ რიკზე უნდა დაჯდეს. რიკი ჩასძვრება და ფეხი გეეყუფება ირენჭიკაზე (*ჩაწერის ადგილი: ჩაილური / საგარეჯო), (**ყუფულ** ლემა ინგილოურ დიალექტში *„ბოქლომის“* მნიშვნელობით გამოიყენება; ყულფი, ყულფიანი იხ. განმარტებით ლექსიკონში);

ღირება = *ღირებულება. ილუსტრ.: გამოდის ქაშანაური. იმას მეტი ღირება აქ. (ჩაწერის ადგილი: ოჟიო / ახმეტა).*

ზოგჯერ ლექსიკური ერთეულები განსხვავებული გრამატიკული ფორმითაა წარმოდგენილი:

ხდომულობს = ***იტანს, ეგუება; იფერებს, იხდენს. ილუსტრ. ქვევით ადგილებში სჯობია ცხვრის დაყენება. როცა ცივი ჰაერია, ზევით ვერა გვარობს, ქვევით და ქვევით თბილა და იქა ხდომულობს*** *(ჩაწერის ადგილი: **იყალთო / თელავი);*** **ეს ლექსიკური ერთეული** არ დასტურდება სხვა ლექსიკოგრაფიულ წყაროებში.

დაჲჭვითებს, დაჲჭვითებენ = *დაატირებს, დაატირებენ. ილუსტრ.: იქ დაუმარხამთ ნელათა ბუხრების ველის თავსაო. შამოჲხვევიან ფშავლები, დაჲჭვითებენ თავზედა: ფშავლები სანაქებო ხარ ამ ილტოს ხეობაზედა. შენ ნუ იტირებ, აფრამო, გულში ნუ იდემ დარდსაო, ძუნწი არ უყვარ სიკვდილსა, მუდამ დაეძებს კარგსაო (ჩაწერის ადგილი: მატანი / ახმეტა)***;** ეს ლექსიკური ერთეული არ არის შეტანილი არცერთ ლექსიკოგრაფიულ წყაროში. ახმეტის რაიონში პირველადი მოკვლევით აღნიშნული სიტყვა არ დადასტურდა.

დაჲშოთამს = *კარგ შოთის ჰურებს (და)აცხობს. ილუსტრ.: კაი მცხობელი დედაკაცი* ***დაჲშოთამდის*** *ხოლმე ალხეინათ, თუ კი ჰური კარგი იყო (ჩაწერის ადგილი: ანაგა / სიღნაღი);*

გვაობს = *ხარობს, ეგუება. ილუსტრ.: ჩვენ თუშური ცხვარი გვყავს. ისა* ***გვაობს*** *აქ კარგათ. მირინოსის ცხვარი მაიყვანეს, მაგრამ ვერ იგვარა, იმათ ბევრი ხარჯი უნდოდათ. ლეკური ცხვარიც კარგათა* ***გვაობს*** *აქ (ჩაწერის ადგილი: იყალთო / თელავი);* რადგან მხოლოდ ორი ილუსტრაცია იყო კორპუსში, კორექტურის გამორიცხვის მიზნით, ვნახეთ ამ მასალების დედანი (შინამრეწველობის მასალები, შიგნიკხური ტექსტები). ასევე, გადავამოწმეთ დიალექტის მატარებლებთან. გადამოწმებამ აჩვენა, რომ კახეთში ძალიან ბუნებრივია **გვაობს** ფორმა და მას აქტიურად იყენებენ (*ეს მცენარე კარგად გვაობს აქ, საქონელი კარგად გვაობს...).* შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ლემა მიღებულია **გვაროობს** ფორმიდან რ თანხმოვნის დაკარგვის შედეგად.

ანგელოზისფერი = თეთრი. *ილუსტრ.: ისვრიმის წვენში გარეცხილში კი ალისფერი მოდის. ისვრიმის წვენში მეორეთ თუ გაირეცხა პარკი, პირისფერი მოვა, მესამეთ გარეცხილში ანგელოზისფერი (ჩაწერის ადგილი: ზემო ხოდაშენი / თელავი);*

---

[33] ჭინჭარაული, ა. (2005). ხევსურული დიალექტის ლექსიკონი

[34] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php მასალაზე წვდომა 15.11.20

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ მთქმელი თავადვე გვაძლევს ამა თუ იმ სიტყვის განმარტებას:
გახარდალავება = *ცხვარ-ბატკნის შერევა და ძუძუს მოწოვებინება. ილუსტრ.: ბატკანს რომ დედას დაურევენ მოსაწუებლად, მიჰყვებიან, ჯერ ერთ მხარეს აპოვნინებენ და დააწუებინებენ. ცხვარ-ბატკნის ასე დარევას და დაწუებინებას გახარდალავებას ეძახიან (ჩაწერის ადგილი: ქიზიყი / ზემო მაჩხაანი).;* ეს სალექსიკონო ერთეული არცერთ ლექსიკონში არ დადასტურდა. ვერც დიალექტის მატარებლებთან დავადასტურეთ აღნიშნული სიტყვა.
ჯინურა = *წკეპლისაგან დაწნული, დაბალი, ერთყურიანი კალათა. ილუსტრ.: ჯინურა კალათა წკეპლისაგან დაწნილი, დაბალი, ერთყურიანი კალათა არის (ჩაწერის ადგილი: ოჟიო / ახმეტა); ამას იმისთვის ვეძახით ჯინურას, რომ გაუთლელი წნელისაა (ჩაწერის ადგილი: კისისხევი / თელავი.);* ეს ლექსიკური ერთეული არ დადასტურდა ლექსიკონებში, მაგრამ ძირის მიხედვით ძიებისას შეგვხვდა ჯინი/ჯინა სიტყვა, რომელიც წნელისაგან დაწნულ ჭურჭელს, გოდორს, სათავსოს ნიშნავს (ქეგლი, ქართლ.[35], ფშაური[36], ხევს.[37], იმერ.[38]).
აჩუაბაბა = ქერის ჯიში. ილუსტრ.: *ქერის ჯიშებია: შამადგომი ქერი, ანუ ძველი ქერი, გაზაფხულის ანუ პოშოლა ქერი, ორივეს აჩუაბაბასაც ეძახიან (<u>ჩაწერის ადგილი: ოჟიო / ახმეტა);</u>*

- **ლექსიკონებში დასტურდება, მაგრამ განსხვავებული შინაარსით:**

აქოხება - *აშენება (გაჭირვებით), აკოწიწება.* <u>ილუსტრც.: ძლივ **ავაქოხეთ** ე სახლი; ი ბიჭი თურმე უდარიელებს (კისისხევი / თელავი)</u>. გარეკახური დიალექტის ლექსიკონში[39] ეს ლემა ასეა განმარტებული: **აქოხება** - *ქოხის გაკეთება.* ქდკ-ის ტექსტებში ამ მნიშვნელობითაც დადასტურდა აღნიშნული ლემა (შიგნიკხურში, სოფ. კისისხევში); ხევსურულ დიალექტში **დაქოხება** - დაფარება, დახურვა; შესაძლებელია, გადააზრიანება მოხდეს და აქოხება ძლივს, გაჭირვებით აშენებასთან დავაკავშიროთ.
გაფაღარათდება = *აბრეშუმის ჭიის ერთგვარი ავადმყოფობა. <u>ილუსტრ.: ჭიას პარკის დროს თუ დასცხა, გაუჩნდება სიცხის ავადმყოფობა და გაფაღარათდება, ე.ი. წყალი ჩამოსდის (ჩაწერის ადგილი: კაკაბეთი / საგარეჯო).</u>* ეს სიტყვა შესულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, მაგრამ სხვა მნიშვნელობით: გაფაღარათდებ-ა (გაფაღარათდა, გაფაღარათებულა) - კუჭი აეშლება, ფაღარათი დაემართება (ქეგლი). ამ შინაარსითაც გვაქვს აღნიშნული ლემა კახურ მასალაში დადასტურებული. ქდკ-ის მასალაზე დაყრდნობით ამ სალექსიკონო ერთეულს დაემატა ახალი მნიშვნელობა.
გაღირჯნილი = *ნაყვავილარი, დასახიჩრებული. <u>ილუსტრ.: მაგაჲ კიდე ყვავილი ეყროდა და სახე სუ გასახიჩრებული ექონდა, **გაღირჯნილი** (ჩაწერის ადგილი: ქვემო ბოდბე / სიღნაღი),</u>* იგივე ძირის სიტყვა იმერულ ლექსიკონშიც დადასტურდა (იხ.: მოღირჯვნა *„უსწორმასწოროდ მოკბეჩა ხილისა“);* იმერული დიალექტის მატარებლებთან გაღირჯნილი ფორმაც

---

[35] ბერიოზაშვილი, თ... (1981). ქართლური დიალექტის ლექსიკონი. https://www.ice.ge/liv/liv/kartlur1.php# მასალაზე წვდომა 15.11.20
[36] ხორნაული, გ. (2000). ფშაური დიალექტის ლექსიკონი. https://www.ice.ge/liv/liv/fshauri.php# მასალაზე წვდომა 15.11.20
[37] ჭინჭარაული, ა. (2005). ხევსურული დიალექტის ლექსიკონი. თბილისი, გამომცემლობა „ქართული ენა“
[38] წერეთელი, ბ. (1938). ზემოიმერული ლექსიკონი. https://www.ice.ge/liv/liv/zemoimer.php# მასალაზე წვდომა 15.11.20
[39] სახლთუხუცეშვილი, უ. გარეკახური დიალექტის ლექსიკონი https://www.ice.ge/liv/liv/garekaxuri.php# მასალაზე წვდომა 15.11.20

დადასტურდა, მაგრამ სხვა მნიშვნელობით, იმერულში გაღირჯნილი - უშნოდ, უსწორმასწოროს შეჭრილ თმას ნიშნავს.

გაჯანდრული = *გაჭიმული, გასწორებული. <u>ილუსტრ.: როდესაც ქარგიდან ამოვჭრიდი, ნაქარგზე დავაფარებდი ქაღალდს და ღორის ეშვს უსომდი. დაუთოვებულივით გაჯანდრული გამოდიოდა (ჩაწერის ადგილი: ზემო ხოდაშენი / თელავი).</u>* ეს სიტყვა ამ ფორმითა და ამ მნიშვნელობით არ დადასტურდა არცერთ დიალექტურ ლექსიკონში. ძირის მიხედვით ძიებისას კი ეს სურათი მივიღეთ: **გამოჯანდრავს** (იმერ.[40]) - *ქონიან ქვაბს გაახურებს და ისე გამორეცხავს ქონის გასაცლელად.* **გამოჯანდრვა** (ჩვენებ. ქართ.[41])- *სპილენძის ჭურჭლის გახეხვა-გასუფთავება.* **ჯანდრიჴე** (ქიზიყ.) - *წინდის გასაჭიმი ყალიბი.* შდრ. ჯანდრავ-ს 1. *([და]ჯანდრა, [და]უჯანდრავს) 1. ჯანდრის ხეზე (კალაპოტზე) ჩამოცმით ასწორებს ახლად მოქსოვილ წინდას. 2. საჯანდრავით ტკეცს გარეცხილ ქსოვილს. 2. ([გამო]ჯანდრა, [გამო]უჯანდრავს) კუთხ. (იმერ.) შემთბარ ქონიან ჭურჭელს წმენდს ქატოთი (ნაცრით) და ჩვრით* (ქეგლი).

ნიშნოულობა - კორპუსული კონტექსტის გათვალისწინებით მას დაემატა ახალი მნიშვნელობა: *დანიშნულება, <u>ილუსტრ: კაცო, აგეთი სათამაშო თბილისში არ გამიგია და აქ ნეტა რა **ნიშნოულობა** აქო (ჩაწერის ადგილი: ზემო ხოდაშენი / ახმეტა).</u>* ეს ფორმა ჩვენ გადავამოწმეთ დიალექტის მატარებლებთან. მათ დაგვიდასტურეს ამ სიტყვის ორი მნიშვნელობა: **მნიშვნელობა და დანიშნულება.** ეს ლემა იმერულ და ფერეიდნულ დიალექტებშიც გვხვდება, ოღონდ სხვა შინაარსით (მაგ.: ნიშნოულობა (იმერ.), ნიშნულობა (ფერეიდ.) *„მნიშვნელობა“*);

- **ბარბარიზმები**

რადგან სხვა ლექსიკონებში ბარბარიზმები შეტანილია, ჩვენც შეგვაქვს ასეთი ლექსიკა და შესაბამის ველში ამას ვუთითებთ.

დაპლანვა (план რუს.) = *ადგილებად დაყოფა. <u>არ გაუშვით თავადები თავიანთ მოწვეული ყაზახებით, რო დეეყორღნათ ტყეები. იმათი შუამავალი იყო ბოქაული, გვეუბნებოდა: გაუშვით, **დაპლანონო**. რო არ გაუშვით (ჩაწერის ადგილი: გრემი / ყვარელი).</u>* ეს ლექსიკური ერთეული იმერულ დიალექტშიც დადასტურდა, მაგრამ ცოტა განსხვავებული შინაარსით (იხ.: დაპლანავს *.„დაგეგმავს; მიწას დაყოფს რიგებად ნამყენი ვაზის დასარგავად“*), აღსანიშნავია, რომ კახურ დიალექტში (მიწის დაყოფა რიგებად ვაზის, პამიდვრის, კიტრის და ა.შ. დასარგავად) ამ მნიშვნელობითაც გვხვდება ეს სიტყვა.

ვაენობა, ვაენიანობა (война რუს.) – ომი, ომიანობა. *<u>ილუსტრ. ცხრაას თოთხმეტში **ვაენობა** რო დაიწყო ნიკოლოზისა, მაშინ ვიცოდი ხელობა ნახევრათ (ჩაწერის ადგილი: ბოდბისხევი / სიღნაღი); თუთაზე გავატარეთ ჩვენი წუთისოფელი. ამ **ვაენიანობას**. მოკლედ გახსენებაც არ მინდა, რო ვთქვა ხოლმე. მეზარება ეგეთი ლაპარაკები, ძალიან მძიმე ამბავია ჩემ თავზე (ჩაწერის ადგილი: კუჭატანი / ყვარელი).</u>* აღნიშნული ლემა ლექსიკონებში არ დადასტურდა. ქდკ-ის ჯავახურ და ზემოიმერულ ტექსტებში კი ვნახეთ ვაენში, ვაენჩი ფორმები ომის მნიშვნელობით. ეს არის ბარბარიზმი, აბსტრაქტულობის **-ობა** მაწარმოებელდართული და ამგვარად გაქართულებული.

---

[40] გაჩეჩილაძე, პ. (1976). იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა. http://corpora.co/#/dictionaries მასალაზე წვდომა 15.11.20

[41] ფუტკარაძე, შ. (1993). ჩვენებურების ქართული. http://corpora.co/#/dictionaries მასალაზე წვდომა 15.11.20

დაბრაკება, დაბრაკდა/გაბრაკდა, გაბრაკებული (Брак რუს.) = *გაფუჭება, გაფუჭდა. ილუსტრ.: დაბრაკდა საქართველოში, მიწას ვერა ეხნამს ჩვენშია (ჩაწერის ადგილი: მატანი); ჰო, ჩემთვინ გაბრაკებული იქნება და არც გადჭრის (ჩაწერის ადგილი: კუჭატანი / ყვარელი).* ქართული ენის ყალიბშია მოქცეული და ამგვარად გაქართულებული; უნდა აღინიშნოს, რომ სასაუბრო მეტყველებაში ეს სიტყვა აქტიურად გამოიყენება.
და მრავალი სხვა.

დასკვნები და რეკომენდაციები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე ქდკ-ის კახურ ლექსიკონში სრულად არის განთავსებული სტეფანე მენთეშაშვილის „ქიზიყური ლექსიკონის“ სალექსიკონო მასალა, აგრეთვე ქდკ-ის ტექსტური კოლექციის მონაცემების გარკვეული ნაწილი. ახალ ეტაპზე იგეგმება ლექსიკონის შევსება, კონკრეტულად:

1. დიალექტურ კორპუსში განთავსებული ტექსტების, მათ შორის, კახური მასალების (ბეჭდური ლექსიკონები, სამეცნიერო შრომებსა და ტექსტებში დადასტურებული ინფორმაცია, დიალექტოლოგიური ექსპედიციების არქივებიდან ამოკრებილი ლექსიკა - არნ. ჩიქობავას, გ. იმნაიშვილი, ა. მარტიროსოვისა და სხვათა ავტორობით) ლემატიზაცის კვალდაკვალ შეივსება სალექსიკონო ბაზაც, სიტყვაფორმა, რომელიც არ დასტურდება არცერთ ბეჭდურ სალექსიკონო წყაროში, დაემატება კახურ ელექტრონულ ლექსიკონს ცალკე სალექსიკონო სტატიის სახით, რომელშიც სალექსიკონო ფორმას ექნება სათანადო განმარტება, ილუსტრაციები, ფონეტიკური და გრამატიკული ვარიაციები შესაბამისი წყაროს მითითებით;
2. კორპუსს ემატება ახალი ტექსტები, შესაბამისად, ლექსიკონი შეივსება ახალი ლექსიკური ერთეულებით, დაზუსტდება, დაკონკრეტდება მნიშვნელობები;
3. კახური ელექტრონული ლექსიკონი ლინგვისტური და ინტერდისციპლინური კვლევებისთვის ახალ პერსპექტივებს წარმოაჩენს, განსაკუთრებით საინტერესოა დიალექტზე დაკვირვება სინქრონიულ და დიაქრონიულ ჭრილში, რადგან ლექსიკონი სხვადასხვა პერიოდში ჩაწერილი ტექსტების, სხვადასხვა ბეჭდური ლექსიკონის ინტეგრირების საშუალებით შეიქმნა;
4. იგეგმება მივლინება კახეთში, შედეგადაც დაზუსტება მნიშვნელობები, შეიკრიბება ლექსიკა და ლექსიკონი შეივსება ახალი სალექსიკონო ერთეულებით.

ბიბლიოგრაფია:

ბერიოზაშვილი, თ. მესხიშვილი, მ. ნოზაძე, ლ. (1981). ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბილისი, გამომცემლობა ,,მეცნიერება“. https://www.ice.ge/liv/liv/kartlur1.php# მასალაზე წვდომა 15.11.20

გაჩეჩილაძე პ. (1976). იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი. http://corpora.co/#/dictionaries მასალაზე წვდომა 15.11.20

იმნაიშვილი, გ, მარტიროსოვი, ა. (1956). ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“

მენთეშაშვილი, ს. (1943). ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა
სახლთუხუციშვილი, უ. გარეკახური დიალექტის ლექსიკონი. https://www.ice.ge/liv/liv/garekaxuri.php# მასალაზე წვდომა 15.11.20

ფუტკარაძე, შ. (1993). ჩვენებურების ქართული. http://corpora.co/#/dictionaries მასალაზე წვდომა 15.11.20

ქართული დიალექტური კორპუსი http://corpora.co/#/corpus მასალაზე წვდომა 15.11.20

ქდკ-ის ლექსიკოგრაფიული ბაზა http://corpora.co/#/dictionaries მასალაზე წვდომა 15.11.20

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php მასალაზე წვდომა 15.11.20

შინამრეწველობის მასალები (1936). (პირველ_ასლები) შეკრებილი ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“

ჩიქობავა, არნ. (1949_1988) სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის არქივი. ხელნაწერი ასლები, გაციფრებული ქართულ დიალექტურ კორპუსში http://corpora.co/#/corpus

წერეთელი, ბ. (1938). ზემოიმერული ლექსიკონი. https://www.ice.ge/liv/liv/zemoimer.php# მასალაზე წვდომა 15.11.20

ჭინჭარაული, ა. (2005). ხევსურული დიალექტის ლექსიკონი. თბილისი, გამომცემლობა „ქართული ენა“

ხორნაული, გ. (2000). ფშაური დიალექტის ლექსიკონი. https://www.ice.ge/liv/liv/fshauri.php# მასალაზე წვდომა 15.11.20

ჯორბენაძე, ბ. (1989). ქართული დიალექტოლოგია I. თბილისი, გამომცემლობა ,,მეცნიერება“

დიანა ანფიმიადი

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწოფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

ზმნა - სამეცნიერო მეტაენის მეტაფორა (კორპუსზე დამყარებული კვლევა)

Abstract

The aim of the research is to observe the meta language of the language web of the science language of Georgian, to investigate its explicit and non explicit meanings and its cognitive or expressive functions. Observing the different types of referents is extremely crucial alongside with the rapid development of contemporary technologies, artificial languages, machine translation and digital corpora opportunities. The article will also discuss the verb metaphors of the science language and how the verbs itself form the science metaphors while also becoming the objects of metaphoric expression.

საკვანძო სიტყვები: *მეტაფორა, მეტაენა, კორპუსი, ზმნა*

შესავალი

რა არის სამეცნიერო მეტაენა? სამეცნიერო ან სოციალური დიალექტი თუ ნიშანთა სპეციფიკური სისტემა, თავისებური ენობრივი მოვლენა თუ ენის პრაგმატიკის ფორმა?

რა განასხვავებს მას სამეტყველო ენის, მხატვრული ტექსტების ენის, ინტერნეტნარატივის ენის და ენობრივი არსებობის სხვა ფორმებისგან?

სამეცნიერო იდეების გადმოსაცემად სამეტყველო ენის გამოყენება ცვლის თუ არა ენობრივი ერთეულის გამოყენების კონოტაციას? შეიძლება თუ არა, გამოვყოთ სამეცნიერო მეტაენისთვის დამახასიათებელი მორფოსინტაქსური ნიშნები და სემანტიკური ფუნქცია?

რით გამოირჩევა სამეცნიერო მეტაენა ბუნებრივი ენისაგან ტერმინების, სპეციფიკური აფიქსების, ბერძნული და ლათინური სიტყვებისა თუ ძირების, ფორმულებისა და რიცხვების გამოყენების გარდა? რა არის ნიშანი სამეცნიერო დისკურსის ენისათვის?

როგორ გადადის სამეცნიერო მეტაენის ნიშანი თარგმანისას სხვა ენობრივ არეალში, როგორია ის უნივერსალური ნიშნები, რაც სამეცნიერო მეტაენას ახასიათებს და რა კონკრეტული ნიშნებით გამოირჩევა ქართული სამეცნიერო მეტაენა.

სამეცნიერო დისკურსი ენობრივი გამომსახველობის ყველა ფორმასა და საშუალებას უხვად იყენებს. თუ სამეცნიერო ენის განვითარებას დავაკვირდებით, ჩვენამდე მოღწეული პირველი სამეცნიერო ტექსტებიდან დღემდე, უახლესი კვლევების ტექსტობრივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამეცნიერო მეტაენა ისეთივე მეტაფორულია, როგორც მხატვრული ლიტერატურის ენა, მეტიც, ხშირად უფრო კონცეპტუალური და ხატოვანიც კი.

თავისი არსით, მეცნიერების ყველა მნიშვნელოვანი აღმოჩენა სამყაროს მეტაფორაში წვდომის ცდაა, მეორე მხრივ კი, აბსტრაქტული სამეცნიერო იდეებისა და საკითხების თვალსაჩინოების, ხედვისა და გაგების საუკეთესო საშუალება მისი მეტაფორიზაცია, ანუ, ფართო გაგებით ლოგიკური ანალოგების მოძებნაა. ეს ეხება ლინგვისტიკასაც, მიუხედავად იმისა, რომ ენათმეცნიერების საკვლევი ობიექტი - ენა, კონკრეტული მოცემულობაა, განზოგადებისა და თეორიული წანამძღვრების გარეშე ნებისმიერი ენობრივი მოვლენისა თუ კატეგორიის კვლევა რთულია. აქციო სიტყვა - ლინგვისტური კვლევის ელემენტად, მასალად თუ საშუალებად, წარმოიდგინო იგი მორფოლოგის, სინტაქსის, სემანტიკის თუ სემიოტიკის საკვლევ ფოკუსად, გაიტანო კონტექსტის გარეთ ან პირიქით, მოაქციო კონკრეტულ საკვლევ კონტექსტში - ეს მეტაფორული, განზოგადებითი ანალიზის სფეროა.

კვლევის მეთოდოლოგია

სამეცნიერო მეტაენის ენობრივ ქსოვილზე დაკვირვება, მისი ექსპლიციტური თუ არაექსპლიციტური მნიშვნელობების კვლევა, კოგნიტიური თუ ექსპრესიული ფუნქციის გამოყოფა, სხვადასხვა ტიპის რეფერენციაზე დაკვირვება განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, თანამედროვე ტექნოლოგიების კვალდაკვალ, ხელოვნური ენების, მანქანური თარგმანის თუ კორპუსული ინსტრუმენტების და კვლევების განვითარების პროცესში. სწორედ კორპუსული მეთოდოლოგიით კვლევის შედეგს წარმოადგენს წინამდებარე ოპუსი.

საკვლევ მასალად გამოვიყენეთ ქართული სამეცნიერო მეტაენის მონაცემები, სამეცნიერო ტექსტები, რომლებიც ამ კორპუსის ენობრივ ბაზას შეადგენს. სამეცნიერო მეტაენის კორპუსი 2016 წელს გამოქვეყნდა და ქართული სამეცნიერო აზროვნების ილუსტრაციის საუკეთესო ნიმუშია. დღეს კორპუსში განთავსებულია ქართველოლოგიური მეცნიერების არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, მათ შორის, სრული სახითაა წარმოდგენილი გამოჩენილი ენათმეცნიერის, ბესარიონ ჯორბენაძის სამეცნიერო კვლევები (ჯორბენაძე, 1989), (ჯორბენაძე, 1995), (ჯორბენაძე, 1997).

ქართული სამეცნიერო მეტაენა, ისევე, როგორც სალიტერატურო ენა, საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდა და ვითარდებოდა. იცვლებოდა მისი მეტაფორული გამომსახველობის სტრუქტურა, ერთგვარად, სამეცნიერო ნარატივის ესთეტიკა, თავისებურება. ისევე, როგორც მხატვრულ ქსოვილს, სამეცნიერო ტექსტსაც აქვს თავისი პოპულარული, ხშირად განმეორებადი, ერთგვარად კლიშედ ქცეული მეტაფორები, ის, რაც კონკრეტული პერიოდის სამეცნიერო ტექსტის დამახასიათებელი ნიშანი, ერთგვარი ესთეტიკური აუცილებლობაა.

სამეცნიერო ტექსტის სისტემური ქსოვილი ერთგვარი სოციოლინგვისტური მოვლენაა, რომელიც დროსა და სივრცეში იცვლება. გემოვნება, იდეოლოგია, კონიუნქტურა, ცენზურა, მიმდინარეობები, აზროვნების ფორმა, ფილოსოფიური თუ სხვა სახის იდეოლოგია - ეს და არამხოლოდ ეს ფაქტორები განაპირობებენ სამეცნიერო ტექსტის სტილისტიკას.

ტექნოლოგიების განვითარების, კვლევის მეთოდების ცვლის, სტატისტიკური ანალიზის მეთოდოლოგიის კვალდაკვალ იცვლება ტექსტის აგებისა და სტრუქტურირების ფორმები და, რასაკვირველია, სამეცნიერო მეტაფორა, მისი აგებულება, დანიშნულება, სემანტიკური და პრაგმატიკული ნიუანსები.

კვლევის შედეგები

სხვადასხვა ეპოქის სამეცნიერო ტექსტების შედარებისას ძალიან საინტერესო დასკვნების გაკეთება შეიძლება, სამეცნიერო მეტაფორის სტრუქტურა თანდათან იცვლება, ისევე, როგორც ენობრივი რეალობის სხვა გამოვლინებები, როგორიცაა ზეპირი მეტყველება, მხატვრული ლიტერატურა და სხვა.

სამეცნიერო მეტაენის განვითარებაზე დაკვირევბისათვის რამდენიმე ილუსტრაცია იქნება საკმარისი მეცხრამეტე საუკუნის ქართული მეცნიერების ისტორიიდან. მაგალითისთვის, დიმიტრი ბაქრაძე მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გამოცემულ თავის ნაშრომში „საქართველო“ - ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევა“ წერს: „ზემო აზიიდამ გაიბნა ადამის თესლი სხვადასხვა მხარეს, რა უნდა ყოფილიყო მიზეზი?“ (ბაქრაძე, 1871:4) ასეთი მხატვრული, ერთგვარად, ლიტერატურული პათოსით აღსავსე ტექსტები ამ პერიოდის სამეცნიერო მეტაენის ტენდენციას წარმოადგენს.

რასაკვირველია, მოგვიანებით, ასეთ ფორმებს თანდათან კარგავს სამეცნიერო ნარატივი, თუმცა, მეტაფორულობას დღემდე ინარჩუნებს და სულ სხვადასხვაგვარი ფორმით გამოსახავს.

ამ თვალსაზრისით ქართული სამეცნიერო მეტაენის კვლევა ძალიან ბევრ სოციოლინგვისტურ დეტალს თუ მოვლენას გამოაშკარავებს, თუმცა, ამჯერად, ჩვენი კვლევის ფოკუსი სხვა საკითხზე შეჩერდება. სტატიაში ვისაუბრებთ ზმნასთან დაკავშირებულ სამეცნიერო მეტაფორებზე, იმ პროცესზე, თუ როგორ ქმნის ზმნა სამეცნიერო მეტაფორას ან თავად იქცევა მეტაფორის, გამოხატვის ობიექტად, ზმნაზე, როგორც სემიოტიკურ ნიშანზე.

სტატიის ობიექტი სამეცნიერო მეტაენაში ზმნის, როგორც მეტაფორის, კვლევაა. ეს ერთგვარად სიმბოლურიცაა, რადგან ნებისმიერი ტექსტის ცენტრი, ფოკუსი, ზმნაა, მითუმეტეს, ქართულ ენაში, სადაც ზმნას უამრავი შესაძლებლობა აქვს. განვიხილავთ სიტყვა „ზმნას“, როგორც ცნებას, გრამატიკული ერთეულის დასახელებას და, ასევე, პირიანი, უღლებადი ზმნის ფუნქციას სამეცნიერო ნარატივში.

მოხსენებაში წარმოვადგენთ ზმნის, როგორც მეტაფორის გააზრებას რამდენიმე მიმართულებით:

1. ზმნა, როგორც ასიმეტრიული სემიოტიკური ნიშანი

ზმნის, როგორც სემიოტიკური ნიშნის დახასიათებისას საჭიროა გამოვიყენოთ რამდენიმეგვარი მიმართება:

1) ზმნის ერთგვარი აბსტრაქტული მოდელი, აბსტრაქტული კატეგორია, ანუ პლატონის ენით რომ ვთქვათ, ზმნა, როგორც ზოგადი იდეა, ზოგადი ფორმულა.

ამ ფორმულაში ჩასმული ყოველი ცალკეული მნიშვნელობა წარმოადგენს ცალკეულ ნიშანს, ანუ ზმნის ყოველი ცალკეული ფორმა – იქნება დამოუკიდებელი ნიშანი, რომელიც გამომდინარეობს ზმნის აბსტრაქტული ნიშნისგან და სხვა ნიშნებს დაუკავშირდება, როგორც ვერტიკალური, აგრეთვე ჰორიზონტალური მიმართებებით.

2) თითოეული ზმნის ყოველი ცალკეული კატეგორია შეიძლება აგრეთვე ქვენიშნის ფორმით წარმოვადგინოთ, რადგან მას ექნება თავისი საკუთარი აღსანიშნი და აღმნიშვნელი.

ზმნის, როგორც ზოგადი ნიშნის დახასიათებისას, საჭიროა შევქმნათ ერთგვარი ფორმულა, ზოგადი განმარტება, რომელშიც ჩაჯდება ყველა ენის ყველა ზმნის ყველა ფორმა, ანუ ეს იქნება გვარეობრივი დახასიათება ზმნისა, როგორც უნივერსალური ნიშნისა. გამომდინარე იქიდან, რომ ზმნამ, ნებისმიერ ენაში შეიძლება გამოხატოს უამრავი კონტექსტური მნიშვნელობა, მოქმედება, მდგომარეობა, გრძნობა, აღქმა, სიტუაცია, და ა.შ., ჩვენს ზოგად დეფინიციაში, (იმისათვის, რომ ჩაჯდეს აბსოლუტურად ყველა ცალკეული შემადგენელი), ზმნას გამოვხატავთ, როგორც დროსა და სივრცეში ფიქსირებად მოვლენას, რომლის განხორციელებაში მონაწილეობენ აქტანტები. ზმნის მიერ გამოხატული ნებისმიერი შინაარსი აუცილებლად წარმოადგენს მოვლენას, ხოლო ზმნის სპეციფიკურობას, რომელიც პირთა მონაწილეობით განისაზღვრება, აქტანტთა როლით წარმოვადგენთ.

ე.ი. ზმნის აბსტრაქტული მნიშვნელობა, წარმოადგენს ნიშანს, სადაც აღსანიშნი არის მოვლენა, ხოლო აღმნიშვნელი - პირთა მონაწილეობით გამოხატული ზმნური ფორმა.

რადგანაც ზემოხსენებულ დეფინიაციაში მხოლოდ სინტაქტიკური წესებია მოცემული, ნიშნის ამგვარი ინტერპრეტაცია ფორმალურ სახეს მიიღებს.

3) ზმნის დასახელებულ ფორმულაში კონკრეტული მნიშვნელობების ჩასმითა და დაკონკრეტებით მივიღებთ ცალკეულ ზმნურ ნიშნებს. სადაც, აღსანიშნი – მოვლენა დანაწილდება და განისაზღვრება უფრო ვიწრო და კონკრეტული მნიშვნელობებით და აგრეთვე უფრო კონკრეტულ ფორმას მიიღებს აღმნიშვნელიც, კონკრეტულ ზმნურ ფორმას შეისხამს.

ეს ქვენიშანი ჩაჯდება ზმნის ზოგადი დეფინიციის ქვეშ მოაზრებულ პარადიგმაში და ჰორიზონტალური მნიშვნელობით დაუკავშირდება იმავე ძირის სხვა ზმნურ ფორმებს.

ამდენად გამოვიდა, რომ არსებობს ზოგადი ზმნური ფორმულა, და ქვეზმნურ ნიშანთა სისტემები, სადაც ვერტიკალურ კოორდინატთა სიბრტყეზე განთავსდება ყოველი ცალკეული ნიშნისათვის უნიკალური სემანტიკური მნიშვნელობა, ხოლო ჰორიზონტალურზე – ზმნის ისეთი კატეგორიები, რომელიც შეიძლება საერთო იყოს სისტემის სხვადასხვა წევრისათვის.

2. ზმნა - სემანტიკური მეტაფორა

„ზმნა“, როგორც სახელი, როგორც მორფოლოგიური ერთეული, თუ კატეგორია სამეცნიერო ნარატივში უხვად გამოიყენება, საინტერესოა, რომ მისი მეტაფორულობა შეიძლება გამოიხატოს, როგორც სემანტიკური, ასევე, სინტაქსური მიმართებით.

სემანტიკური მეტაფორა, გულისხმობს, ზმნის, როგორც წინადადების ცენტრის გააზრებას, ამ თვალსაზრისით, ქართულ სამეცნიერო ნარატივში მის აღმნიშვნელად მრავალი საინტერესო მეტაფორა გვევლინება, როგორიცაა, ბირთვი, ხერხემალი (ქართული წინადადების ხერხემალი ზმნაა), მმართველი და ა.შ.

3. მეტაფორული შესიტყვებები, ფრაზეოლოგიები;

განსაკუთრებით საინტერესოა ზმნის მეტაფორულობა ისეთ შესიტყვებებში, როგორიცაა:

ზმნის როლი, ზმნის ძალა, ზმნის დანიშნულება, ზმნის ყოვლისშემძლეობა, ზმნის შესაძლებლობები, ზმნის სიმდიდრე და სხვა. თუ მეოცე საუკუნის ქართველოლოგიურ კვლევებს, გრამატიკის წიგნებს, ლინგვისტურ ნაშრომებსა და მონოგრაფიებს გადავხედავთ, ასეთი გააზრების ნიმუში მრავლად შეგვხვდება ქართველური ენათმეცნიერების კორიფეთა ნაშრომებში (შანიძე, 1957), (ჩიქობავა, 1980). ასეთივე ფუნქციით გამოიყენება იგი ბესარიონ ჯორბენაძის სამეცნიერო მეტაენის კორპუსის ტექსტურ მასივში (ჯორბენაძე, 1989), (ჯორბენაძე, 1997).

4. მორფო-სინტაქსური მეტაფორა

მორფოსინტაქსური კავშირი ხშირად მოიაზრებს მეტაფორულობას, მაგალითად, თუ გრამატიკული წესების მიხედვით, სიტყვა „ზმნას“, როგორც კონკრეტულ, უსულო არსებით სახელს, მრავლობით რიცხვში შემასმენელი მხოლობითში უნდა ეწყობოდეს, გვაქვს განსხვავებული სიტუაცია, „ზმნა“ სულიერად აღიქმება, ერთგვარ მთავარ აქტანტად, შესაბამისად, სინტაქსურ კავშირებში მონაწილეობს, როგორც სულიერი არსებითი სახელი. ამასთანავე, ის ხშირად გამოიყენება როგორც მოთხრობითი თუ სახელობითი ბრუნვის ფორმით მოცემული მოქმედი სუბიექტი.

გ. კონცეპტი ზმნა გრძნობა-აღქმისა და ეგზისტენციალურ ზმნებთან

განსაკუთრებით საინტერესო კონოტაციას იძენს ჩვენთვის საინტერესო კონცეპტი გრძნობა-აღქმის (ხასიათდება, განიცდის და სხვა); და ეგზისტენციალური შინაარსის ზმნებთან, როგორიცაა: არსებობს, გვევლინება, წარმოადგენს, ჩნდება, არის, ყოფილა, მოიპოვება, არსებობს, ხდება;

მეტაფორულ შინაარსს გამოხატავს სიტყვა „ზმნა“ ასევე შემდეგი შინაარსის ზმნებთან:

ზმნა ხასიათდება	ზმნა ამოუდგა (გვერდით)
ზმნა დგას	გულისხმობს
ზმნა იყენებს	ჩანს
ზმნა ჩნდება	ზმნამ შეინარჩუნა
ზმნა მართავს	ზმნამ შეიცვალა
ზმნა იძლევა	ზმნამ მოითხოვა
ზმნა განიცდის	ზმნამ შეითავსა
ზმნა გამოდის	ზმნამ დაადასტურა
ზმნა შეიძლება ყოფილიყო	ზმნამ შეინარჩუნა
ზმნა განარჩევს	ზმნამ შეითავსა
უპირისპირდება	ზმნა იქცევა
ზმნა იზიარებს	ზმნა მიჰყვება

დ. ზმნის კატეგორიები, როგორც მეტაფორა

სამეცნიერო ნარატივში მეტაფორულ შინაარს იძენს ზმნა, როგორც კატეგორია და ნებისმიერი სემანტიკის ზმნის გრამატიკული ფორმები. მაგალითად:

ა. კონცეპტ „ზმნის“ მონაწილეობა ისეთ შესიტყვებებში, სადაც მასთან დაკავშირებული პირიანი ზმნა იცვლება დროში, რიცხვში, სერიებსა და მწკრივებში, განარჩევს ქცევისა და გვარის ფორმებს, კონტაქტს, კილოსა და ასპექტს.

ბ. ზმნური კატეგორიები, ნებისმიერი პირსა და რიცხვში მონაცვლე ზმნა, როგორც სამეცნიერო მეტაენის მეტაფორა; გვარი, ქცევა, კონტაქტი, კილო, ასპექტი და დრო.

დასკვნები და რეკომენდაციები

სამეცნიერო მეტაფორა, მისი კონტექსტი, კონოტაცია და პრაგმატიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თარგმანისას, სადაც მცირეოდენმა ცვლილებამ, უზუსტობამ თუ, მნიშვნელობის დაკონკრეტებამ, მცირეოდენმა აცდენამ შეიძლება აზრის ცვლილება გამოიწვიოს, ამიტომ ზმნასთან დაკავშირებული სემანტიკური წყვილების თარგმანს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ქართულ-ინგლისურ პარალელურ კორპუსში გადამოწმებისას, აღმოჩნდა, რომ ეგზიასტენციალური შინაარსის ზმნების თარგმანისას ზმნათა ურთიერთმიმართება არეულია, ხშირად, არსებობს, გვევლინება, დგას, გამოდის ერთი ინგლისური ეკვივალენტით ითარგმნება, კერძოდ, to be-ს პირიანი ფორმებით, აქედან გამომდინარე, უნდა დავსვათ საკითხი ქართული სამეცნიერო მეტაენის უფრო ზუსტი და შესაბამისი თარგმანის არსებობის აუცილებლობის შესახებ.

ბიბლიოგრაფია:

ბაქრაძე, დ. (1871). საქართველო - ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევა, თბილისი

შანიძე, ა. (1976). ძველი ქართული ენის გრამატიკა. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

შანიძე, ა. (1957). ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები I. თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ჯორბენაძე, ბ. (1999). პოეზიის ენა, თბილისი, გამომცემლობა ,,თბილისი“

ჯორბენაძე, ბ. (1997). ენა და კულტურა, თბილისი, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება

ჯორბენაძე, ბ. (1995). ქართველური ენების დიალექტები, თბილისი, ,,თსუ გამომცემლობა“

ჯორბენაძე, ბ. (1995). ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი, გამომცემლობა ,,მეცნიერება“

ჯორბენაძე, ბ. (1998). ონომასტიკური გულანი, გამომცემლობა, თბილისი, გამომცემლობა ,,მეცნიერება“

ჯორბენაძე, ბ. (1989). ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“

ჯორბენაძე, ბ. (1987). ბალავარი მწერლობისა, თბილისი, გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“

ჩიქობავა ა. (1980). აღწერითი ენათმეცნიერება და ჰომოგენურობის პრინციპი, თბილისი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 36-ე სამეცნიერო სესია

ჩიქობავა ა. (1932). ენათმეცნიერების პროპედევტიკა და ზოგადი ფონეტიკა. განაკვ. I-II. თფ., საქ. შსრ პედ. ინ-ტის ლითოგრაფია, თბილისი

ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსი, Sml/corpora.co მასალაზე წვდომა 15.11.20

Tinatin Tvaltchrelidze

PhD student in Comparative Literature Studies the Faculty of Humanities
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Jemal Karchkhadze's novel "The Lodger" and Markers of Modernism

Abstract

"The Lodger" is a modernist text. We will use every tool and means, for example, verbal thinking, symbols, author's comments and viewpoints in relation to the text, creative language, aesthetic-ideological and ontological structure, in order to determine the primary essence of the text, to define "the whole" and in addition the constant interrelation of the whole and the part. Its primary mission is to represent the human existential search, hopelessness, doubtfulness in the modernism epoch. The destruction of the worldview landmarks existing in the parable language, permanent estrangement with oneself by irrational and anthropological essence and at the same time the realization of own absolute will, certain personal disorientation and spiritual catharsis.

Key words: *Hermeneutic, Jemal Karchkhadze, "The Lodger", Modernist prose*

Introduction

Jemal Karchkhadze's creative work is studied mostly fragmentally There is done a research of his texts in line with Biblical concepts and historicism principle. Search for fiction transformation of a parable, as of a micro-scheme in Karchkhadze's works is also interesting. When discussing the writer's philosophical-aesthetic vision, the critics mostly refer to Biblical aspects. The goal of our research is to identify those modernist markers and by means of hermeneutic interpretative model to search for internal and external logos of the texts and philosophical-existential reading of the creative/fiction text. At the given stage the empiric material is the novel "The Lodger".

Methodology

Studying texts by hermeneutical method is very interesting. Hermeneutics is recognized as the theory of understanding differently. The key to correct interpretation of a text is expressed in the knowledge of the "codes".

Actuality and Research results

One of the main characteristic features of modernist literature is the erased boundary between the reality and imagination. The connection with the outside world is mostly imaginary, but impressive. The given momentary "understanding" of, "closing" with, creates aesthetic illusion of certain

understanding, as opposed to existential fear. This is the existential inevitability and absurdity of a person who is estranged by the technological progress process. “A human only partially understands life only in one dimension by monitoring, experimenting, sensual perception and analytical discussion” (Bregadze, 2018: 8).

In the novel „The Lodger“ we see the features of the **triple crisis** of the modernist prose: the crisis of cognition, subjectivity and language. The Lodger has a problem to coexist with existing reality. The very first Chapter of the novel is Metamorphosis. The unconscious psyche dominates the anthropological essence of the main character **(Multiplicity, Nietzsche).** The main character transfers to the other world sometimes in a dream or his imagination, for example, to the banks of the Nile. Finally, **language,** which is never given as the self-sufficient; the character’s organic description is characterized with inner monologue and experienced speech. “A word is a dangerous weapon; it can harm us a lot. A word is a translation of a thought; and a thought is a slowly said original” (Karchkhadze, 1986: 284).

The novel consists of 5 Chapters:

1. Metamorphosis;
2. Maka;
3. The Plasticine;
4. Patriarch;
5. The Search

The lead epigraph of the novel comes from Matthew’s Testament: "All this I will give you," he said, "if you will bow down and worship me” (Matthew, 4,9 1991: 6). The whole text is the struggle with oneself, inner split, metamorphosis, continued with the sin, downfall; after with return and again with the search for the new.

Parable, the parabolic essence, is the key feature of modernism. The discourse of science fiction and unrealism intrudes into traditional daily life environment in Karchkhadze’s novel; as the expression of existential estrangement. Historical-aesthetic structure is interesting, the historical background of the text creation defines allegorical narration, parable used in it. The writer’s prose expresses protest in the totalitarian epoch right by means of Testament parable contexts. Such parable - type of thinking was to a certain extent supported by the totalitarian regime; Jemal Karchkhadze applied the Testament parables to the 20th century Georgian life reality. Parable often speaks in metamorphic language, which allows a human to more easily analyze complex ideas. He is capable to express specific narrative through abstract argument, which is simpler and easily understandable (Durglishvili, 2018: 55).

In the beginning of the novel the main character moves from one house to another forcefully, which allegorically points to the new, stage condition of the Lodger. In Mariam’s (owner of the new house) house starts the Lodger’s contemplation about the worldly pleasures and unstable “serving” of the old ideals (Nefertiti’s reproduction); his spiritual collision. In the very beginning of the novel is apparent the attempt to represent worldly pleasures as temptation and nothing. Epigraph of the very first chapter: “No one can serve two masters; for a slave will either hate the one and love the other, or be devoted to the one and despise the other” (Matthew, 6,24, 1991: 11). Mystical visions start the moment the Lodger moves to Aunt Mariam’s house; namely, the black Volga, its owner’s extraordinary and inadequate outfit, sudden vanishing of the car. The paradox in the plot is the marker of modernism too. The given vision results in the split of the Lodger. It is also noteworthy that the Lodger does not have a name. His

name is “a human”; in him is gathered, integrated, generalized the whole humankind with its sins and good. In the novel Jemal Karchkhadze extends the boundaries of Biblical text and at the example of the Lodger’s life retrospectively represents events from “the Birth” (from Adam) to the New Testament. It must also be considered, in what kind of epoch the writer and his main character have to live and work. Human soul inner striving towards the highest ideal, maybe even completely unconscious, is initially coded in human essence, although epochal background and totalitarian regimes have often become barriers for it. This is how we see the 20th century dreamer, superstitious romantic human, who immediately hides inside his shell like a snail the moment he hears a single harsh word or notices a single slow gesture.

Since antique times, “The Road” symbolic is complex and transforms along the changes in thinking tendencies of epochs. “The Road” becomes the plot axis of the novel. “The Road” defines the composition, structure and impact of the novel and influences the principles of constructing a creative, fictional image. Novel’s “Road” has horizontal (physical) and vertical (spiritual) forms. Only mythological characters or servants of cult having special features are capable to execute vertical journey up and down; meaning to cross the world vertically; while travelling the world horizontally, from edge to edge is usually related to “superman”, heroes or special condition. The difference is apparent: an ordinary mortal is capable to really take the horizontal road and finish it with special efforts, while they can only cross vertical road only imaginably – spiritually (Toporov, 1983: 127).

As it appears in relation to “superman”, he plays an important role in modernist Georgian story too. At the beginning of the novel, the Lodger’s road goes from down to up (Maka’s house is on the ascent). Vertical trajectory of the road reveals the essence of his love. Relationships with Maka are directed towards his spiritual perfection, elevation; towards the Lord. Meanwhile, his road passed with Irine is linear or “bumpy”. Being with Irine takes the Lodger to certain lethargy condition. The Lodger’s road transforms from reality to mystical-symbolic dimension, in order for his split “Me” to reunite and separate from destructive, lost sin; the road gone by the Lodger is spiritual transformation, the restorer of his distorted integrity; although, he is also, bearer of the first sin, exiled from the Lord’s love, left without Eden, as Adam; transition in time – from past to present and vice versa – covers the psycho-moral portrait of the Lodger with the shade of enigmaticity and mystic. This is “the road on a big circle” (Karchkhadze, 2008: 220).

According to Schopenhauer, the basis for life is not absolute consciousness, but absolute will, which means that the world and processes underway in it, initially lack essence and target, as will is the “blind”, senseless original source of life, which has no beginning and no end. Meanwhile, under condition of such senselessness, a subject has imaginary view, illusive conclusions about the firmness of his existence; but, subject’s existence and his imaginary views are a complete illusion, “ghost”; while the person is in the captivity of his personal imaginary views, which eternally cause appearance of desires, which he cannot satisfy and due to such dissatisfaction, eventually, his own existence turns into torture (Bregadze, 2018: 24).

Let us look closer at the text we are discussing. The main character, who wants to escape from daily life, has since childhood had the desire to see ancient Egypt. During studying in the institute he met Egypt for the second time and the unconscious joy again intruded his mind and the double life started. This dream, the unquenchable desire to realize it must sanctify the main character; it must change his world, routine and obscure daily life. The Lodger realizes the so called Freud’s reduction method. His consciousness rejects all the existing contents and the reality. He joyfully studies the history of Egypt

and Mesopotamia, the epos of the Gilgamesh, ancient myths about Gods and humans. He does not like his profession. He reveals the desires of the subconscious. At the end he got Nefertiti's portrait too. The Lodger sells the painting for the price of the coveted car; although, the dream that has already come true is worthless for him; he burns the money. The Lodger transfers from one life reality to another like from one house to another. First the search for the woman like Nefertiti; finding her; after the desire to buy a car and finding money; but permanent doubts, permanent defeats. He loses Maka and money loses value too.

Schopenhauer says that it is necessary to free oneself from those desires and to gain certain spiritual calmness and a type of "catharsis" or to free oneself from imaginative events; to be "purified" and to escape the influence of daily life (Schopenhauer, 1901: 177).

The so called monolithic subjectivity, personhood, accordingly subject came to an end during the epoch of modern; subject, which "once upon a time" had firm values and ethical principles. Instead of that, in the given epoch a subject became the personhood-destroyed, identity-less given. As result, it is not a subject who impacts the outer world, who controls and manages it, but a subject is completely disoriented in his existence and fully obeys the outer world; the unpredictable essence of life, historic process. For the Lodger, who has successfully graduated from the institute, became an engineer, studied geometry and was a good drawer, life became boring all of the sudden. The Lodger's inner frustration is well expressed in his dream. He is in an obscure reality; and is slit: "The dark was taken out of all the abysses and all the obscurities have been replaced by clear thought. The lightness came as wings for me. And I was bodiless. And in my bodiless existence with rich and excerpt flow streamed the pleasure of secret knowledge, comprehensive and unprecedented" (Karchkhadze, 2012: 26). The Lodger's life is chaotic; eternally oriented at nothing and learning; disoriented and at the same time amazingly purposeful: "I was in the middle of the sea and people floated around me as drifting icebergs… I was not floating. I was swimming to one specific direction, as I knew there was the lantern at the end of the road. I did know what I needed the lantern for, but I knew that I needed it" (Karchkhadze, 2012: 26) (The Lodger's Dream).

The unconscious permanently shows itself in the Lodger's consciousness and opposes the routine of the conscious. "Me" and "Higher me" conscious constantly try to control the "him"; but the Lodger's dream expresses his real desires. "Dream was life, which turned over in sleep and revealed its main secret. I cannot tell you how this life looked visually, as I have not seen it" (Karchkhadze, 2012: 26). The given dream was realized in some way later. The Lodger opened the blocked door of the subconscious, understood the unknown; revealed the strings of the libido. He obeys his own desires; shows the infantile-sexual passions of a mortal. Based on Nietzsche and Freud, a person is fragmented; he is controlled by the irrational, the subconscious. By the given inertia the Lodger follows Irine in this "nothing; after he routinely executes the daily duties strange to him: finding food, caring for house… Conscious and unconscious depths replace each other during narration. First we see the conscious behavior of the Lodger, which is later replaced by unconscious – in the form of a dream. Later, whole chapter is dedicated to the meeting with Maka; declaration of love; but the character again opens his unconscious, by imaginary life with Irine. Sometimes it becomes complicated to separate real events from the dreams realized in the subconscious. Multiplicity of a subject (Nietzsche) is also a marker of modernism.

"The Lodger" starts and ends with the same epigraph; quote from Matthew: "No one can serve two masters; for a slave will either hate the one and love the other, or be devoted to the one and despise the other" (Matthew, 6,24, 1991: 11). The Lodger returns to the initial point; he himself says that there is

no point in leaving, if it is again to return back. This is how Nietzsche's concept of eternal return characterizing modernism, is realized in the novel. It seems that the story has been told and the plot ended with the principle of spiraling. However, the Lodger returned with completely different consciousness, essence, worldview and belief. He is aware he has lost a lot, but he understands the importance of the gift he has gained as belief and faith. The given unconscious has been satisfied and metamorphosis has been gone through. The Lodger who has gone up the next step of consciousness is ready for the new challenge and development. The novel has an epigraph from the Gospel of Matthew: "All this I will give you," he said, "if you will bow down and worship me"(Matthew 4,9, 1991: 6). The Lodger or the prodigal son exiled from Heaven bows down eternally in eschatological fear by search for his way and remains as eternal lodger of the universe in the process of development.

Another marker of modernism is also interesting. The End, the topic of complete and inevitable death characterizing the modernist era literature appears in the novel The Lodger too. The Lodger accidentally appears at a cemetery together with Maka. Notable is the philosophical understanding of life and death, which reveals the existential consciousness of the character. "The twilight does not interfere with this beauty; it even adds mystery to it; while the mystery harmonically blends with the essence of cemetery itself and burns up the fading out feeling of religiousness. The extreme contrast of black and white marble symbolically emphasizes the irreconcilability of life and death" (Karchkhadze, 2012: 26). The behavioral and impulsive character – the Lodger is mainly driven by irrational impulses. When evaluating the good and the evil, the Lodger collects them in one spot; he also perceives life and death as one spot also and at the end he considers as one spot himself, Maka and Irine, for the complete harmony. This is how the Lodger reevaluates traditional vision of the good and the evil. The vision seen at Vardan's and his new wife's grave shows the eternal circling of life and death to the Lodger from a different perspective. The unequivocal evaluation (betrayal and loyalty to the deceased) is no more a satisfactory argument for the Lodger to proving Vardan is wrong; that is why he allows for the new value evaluation.

The novel narrative and plot development line is very interesting; as if the episodes are structured by the montage principle. The main character comes from a nameless village; the character himself does have a name – he is a Lodger. Following times and spaces are kind of fragmental. The main character often appears at a crossroad and his story develops there. Visit to one of the characters Nineli is interesting. From her house the main character appears in a mystical space. Each of the episodes is related, but the lineal line is not essential. Movement of the returned Lodger in the city is also to certain extent in fragments; important are people who he meets on the way. Such fragmented style creates mysticism and fiction in the text and represents the deep existential search in a true modernist style. Organic description of the character controlled by the subconscious is characterized by inner monologue and experienced speech. The narration of the Lodger appeared in a strange reality is presented in first-person. The main character seems to be telling a dream, his own story; as if he is dreaming about it and tells the story by continuous biographical narrative in the past tense.

The beginning and logical conclusion, end is open in view of plot structure. Inner monologue, experienced speech used for realization of the unconscious of the main character is the means of found verbalization. Still, important is not the traditional structure of the plot, but the whole idea – the person is a lodger; he travels and settles in different spaces; he searches, finds, rejects and falls, is sanctified and regains the existential belief. The Lodger develops the given line of human thinking and existence. The modernist author's character rejects the already established life principles, reevaluates values and by

understanding the unconscious itself creates the new ontological sense; his own, started by means of direct subjective nihilism and completed with certain finding.

Conclusion

In our opinion the Lodger (term) is understood as follows. A human, in this case the Lodger, is temporarily hosted by the specific space, as a creature sheltered in one or another apartment at different times. He leaves the one, as rejected and searches for the new. It is the phenomenon of thinking; destruction, deconstruction of the old; temporary existence; after great doubt and inevitable exit; the phase of certain liminality, discovering the new and remaining there until the flow of the new consciousness does not intrude and destroy the old. If you are a Lodger, it means you are in the search of the existential. Being in the ethical phase, the condition of existential inevitability must result in the phase of belief; while all the aforementioned is realized in the subconscious of the character.

The perspectives open in the Lodger's life; in the phase of belief in existence it is a certain jump forward (Kierkegaard); it is the shining. Completely unexpectedly he meets a girl at the ascent and he describes her as follows: "Maka was a daughter of the Sun. She was the threat keeping the universe together; the Pillar of Harmony". Maka's reflection appears at the end of the novel and it is seen by the Lodger imaginatively: "She was smiling and lighting up the night" (Karchkhadze, 2012: 303). The given vision creates existential belief in the Lodger's consciousness.

References:

Bregadze, K. Georgian Modernism. (2013). Tbilisi, Publishing House Meridiani

Bregadze, L. Secrets of Dimension. (2016). *Jemal Karchkhadze's Forum, Literary Almanac.* Issue 1. p. Tbilisi, Karchkhadze Publishing House.6

Bregadze, K. (2009). Literary and Lingual Philosophic Essays (Novalis, Goethe, V. von Humboldt…).Tbilisi. Publishing House Meridiani

Bregadze, K. Modern and Modernism. (2018). Tbilisi. Shota Rustaveli Georgian Literature Institute

Durglishvili, B. (2018). Fictional Transformation of the Parable in Jemal Karchkhadze's Work. Kutaisi. Akaki Tsereteli State University

https://atsu.edu.ge/images/pdf/disertaciebi/B.DurglishvilisDisertacia.pdf (Retrieved 31.10.2020)

Kvachantiradze, M. For Semiological Research Methodology of Language. Literary Theory. (2008). Tbilisi. Shota Rustaveli Georgian Literature Institute

Kvachantiradze, M. (2008). For Semiological Research Methodology of Language. Literary Theory. Tbilisi. Shota Rustaveli Georgian Literature Institute

Karchkhadze, J. (2008). The Lodger. Tbilisi. Karchkhadze Publishing House

Karchkhadze, J. (2012). The Law of Creation. Tbilisi. Karchkhadze Publishing House

Matthew the Apostle, The New Testament. (1991). Stockholm, Bible Translation Institute

Schopenhauer A. (1901). *Complete Works*. Moscow, Publishing House Isskustvo, Vol. 2. p.177. Toporov V. N. (1983). Dimension and Text. *Text, Semantics and Structure.* https://inslav.ru/images/stories/pdf/1983_tekst_semantika-i-struktura.pdf (Retrieved 31.10.2020

მარიამ გურგენიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

ვიკინგების ეპოქის ქრისტიანული და წარმართული სამარხების ანალიზი (VIII-XI საუკუნეები)

Abstract

Although the English, German and French sources give us information about the political and ethnic units of the medieval Normans, they are still flawed and one-sided, so it would be impossible to discuss their historical past without identifying and studying the archeological sites.

საკვანძო სიტყვები: *ვიკინგები, სამარხები, სკანდინავია.*

შესავალი

ვიკინგების ეპოქის მრავალმხრივი და საფუძვლიანი შესწავლა ინტერდისციპლინური კვლევების საშუალებით ხდება. აღნიშნული ეპოქის შესახებ ცნობები: წერილობითი წყაროების, რუნული წარწერების, გეოგრაფიული სახელწოდებების, არქეოლოგიური მონაცემების საერთო ანალიზის შედეგს წარმოადგენს. ვიკინგთა ხომალდების, უძველესი ქალაქების, ციხე-სიმაგრეების მიწის საფარისგან გათავისუფლებამ, ნათელი მოჰფინა სკანდინავიის ტერიტორიაზე შუა საუკუნეებში მცხოვრები საზოგადოების მიღწევებს. ესენია: გემთმშენებლობა, ვაჭრობა, წარმოება, მატერიალური კულტურა.

რეგიონის კომპლექსურმა შესწავლამ ცხადყო, რომ სკანდინავიის ვრცელი მხარე ბევრი საერთო მახასიათებლის მიუხედავად, მოიცავს განსხვავებულ გეოგრაფიულ ტერიტორიებს, რაც განაპირობებდა გარკვეულ შიდა განსხვავებებს. მაგალითად, IX-X საუკუნის ნორვეგიის რომელიმე ლოკალური ტერიტორიის შესწავლა ნათელ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის ამავე საუკუნის ვთქვათ, ქალაქ ბირკას (შვედეთი, მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი ვიკინგების ეპოქაში) მოსახლეობის ცხოვრების წესის და განვითარების შესახებ.

სკანდინავიური წყაროები, მეტწილად XII-XIII საუკუნეებით დათარიღებული საგები, შინაარსობრივად უფრო ისტორიულ ნოველებს წარმოადგენს, ვიდრე მოვლენების ზუსტ და უტყუარ აღწერას. მათი დიდი ნაწილი შეიქმნა მომხდარი მოვლენებიდან დიდი ხნის შემდეგ, შესაძლოა კონკრეტული გმირის, ოჯახის, დინასტიის ლეგიტიმაციის, მიწაზე საკუთრების ან სამეფო ძალაუფლებაზე კანონიერი უფლებამოსილების ხაზგასასმელად. აღნიშნული წყაროები, მოგვითხრობს საუკუნეებით ადრე განვითარებულ მოვლენებს და ეყრდნობა მეტწილად მითებსა და თქმულებებს.

საგებისათვის დამახასიათებელია გაზვიადებული და დრამატიზებული თხრობა, ხშირად ისტორიული სტრუქტურა, ჩარჩო და ქრონოლოგია დარღვეულია. ამის მიუხედავად, საგების მნიშვნელობა და მათში გადმოცემული ამბების ანალიზი, უდავოა შუა საუკუნეების სკანდინავიის ისტორიის შესწავლის საქმეში. თუმცა, არქეოლოგიური შესწავლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოების სოციალური და კულტურული განვითარების და მიღწევების შესახებ რეალური სურათის აღდგენა.ამიტომ ერთ-ერთ ძირითად წყაროთმცოდნეობით ბაზას სწორედ არქეოლოგიური მონაცემები წარმოადგენს.

შუა საუკუნეების სკანდინავიის ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური ერთეულების შინაგანი განვითარების ეტაპები.მჭიდროდ არის დაკავშირებული საგარეო პოლიტიკურ ფაქტორებთან.ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით, პოლიტიკური სიტუაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარეგან გამოხატულებას წარმოადგენს, ქრისტიანობის გავრცელება, როგორც უმნიშვნელოვანესი კულტურული მოვლენა.

სკანდინავიური სამეფოების, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური კონტაქტების, ასევე შინაგანი განვითარების, მისი სოციალური ბუნების შესწავლის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიურ მონაცემებს. რეგიონის განვითარების კულტურული, პოლიტიკური, სოციალური სურათის წარმოჩენა წარმოუდგენელია სამარხეული ძეგლების გამოვლენის და შესწავლის გარეშე.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია წარმართული და ქრისტიანული სამარხების ანალიზი, რაც უკავშირდება რწმენის ახალ სისტემასთან, ახალ ტრადიციებთან, კულტურასთან და ფასეულობებთან ზიარებას. სამარხების შესწავლის შედეგები,წარმოდგენას იძლევა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა სკანდინავიური სამეფოების ქრისტიანულ სამყაროსთან ურთიერთობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგარეო ურთიერთობების და ქრისტიანობის გავრცელების საკითხი, სკანდინავიურ და უცხოურ წყაროებში შედარებით ბუნდოვნად არის წარმოადგენილი და საჭიროებს არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებას. საყურადღებოა, თანამედროვე მეცნიერის ენდერს ვინროსის განმარტება ნაშრომში- „სკანდინავიის მოქცევა“-, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ „ისტორიული წყაროები ძირითად ფოკუსირებულია სამეფოებში ინსტიტუციის შექმნაზე, მაშინ როცა, არქეოლოგიური კვლევები წარმოადგენას გვიქმნის საზოგადოების სხვადასხვა ფენებში ქრისტიანიზაციის პროცესზე“ (Winroth,2011:134).

ინსტიტუციის შექმნაში იგულისხმება: საეპისკოპოსოების დაარსება,მისიონერთა მოღვაწეობა, მმართველი ფენის გაქრისტიანება და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკურ პროცესები. ეს ძირითად საყრდენს წარმოადგენს ეპოქის შესწავლის პროცესში, თუმცა რეგიონის საკითხის სიღრმისეული კვლევა, რაც გულისხმობს საზოგადოების ტრადიციების, ცხოვრების წესის, ფასეულობების ტრანსფორმაციას და მის უნიკალურობას, რაც მნიშვნელოვნად განაპირობა აღნიშნულმა ცვლილებებმა, წარმოუდგენელია არქეოლოგიური შესწავლის გარეშე.საკითხის კვლევისას, მისი სწორი გააზრებისათვის, გამოყენებულია

ინფორმაციის სინთეზური გადამუშავება, მასალის ანალიზი,სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემების გამოყენებით.

აღნიშნული პროცესი უნდა განვიხილოთ კონკრეტული სამარხების ანალიზით. სკანდინავიის ტერიტორიაზე უამრავი შუა საუკუნეების წარმართული და ქრისტიანული სამარხია მიკვლეული. ცხადია, მასალის ერთ ნაშრომში განხილვა შეუძლებელია და აღნიშნულ საკითხს შეიძლება ცალკე სამეცნიერო კვლევა მიეძღვნას. ამდენად, ვეცადეთ გვეჩვენებინა, ვიკინგთა საზოგადოებაში არსებული დაკრძალვის ტრადიციები და ქრისტიანიზაციის გავლენით მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები, სამარხების შესწავლის და თანამედროვე მეცნიერთა კვლევების საფუძველზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ ვიკინგების ეპოქის შესახებ არსებობს უზარმაზარი უცხოენოვანი ლიტერატურა,სადაც აღნიშნული ეპოქა მრავალმხრივ საკმაოდ დეტალურადა არის შესწავლილი. ამიტომ წინამდებარე მიმოხილვას ხსენებული საკითხის სრულყოფილად, ამომწურავად, წარმოჩენის პრეტენზია არ გააჩნია. ჩვენ მიზანს წარმოადგენს,მკითხველს საერთო წარმოდგენა შევუქმნათ აღნიშნული ეპოქის შესწავლის პროცესში არქეოლოგიური მონაცემების მნიშვნელობის შესახებ.ამ რთულ საკითხზე სიტყვის თქმას, უმთავრესად ის გარემოება გვაბედინებს, რომ აღნიშნულ თემის შესახებ, ქართულ ენაზე, დღემდე თითქმის არაფერი დაწერილა.

ნაშრომში მსჯელობისას ძირითადად დავეყრდნობით ფართომასშტაბიანი და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე არქეოლოგიური სამარხების ანალიზს.

სამარხების ანალიზი

ძველი ნორდიკული წარმართული ხედვით, ცხოვრების მთავარ მიზანს სახელოვანი სიცოცხლე, გმირული სიკვდილი წარმოადგენდა. მოკვდავი ადამიანისთვის მიწიერი, მატერიალური სიამოვნება და კეთილდღეობა სრულიად მისაღები იყო, განსხვავებით, გვიანდელი ქრისტიანული იდეოლოგიისგან, სადაც მატერიალური კეთილდღეობა, სულიერებამ ჩაანაცვლა.
მიცვალებულზე ზრუნვის, დაკრძალვის ტრადიცია პირდაპირ არის დაკავშირებული სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ საზოგადოების რწმენა-წარმოდგენათა სისტემასთან.შესაბამისად, ვეცდებით განვიხილოთ სკანდინავიის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი გათხრების შედეგად გამოვლენილი რამდენიმე სამარხი, რომელიც მეტ-ნაკლებად ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ზემოთხსენებული საკითხის შესახებ.

როგორც წესი,სკანდინავიური სამარხები, მდიდარია ინვენტარით, მიცვალებულის კუთვნილი ნივთებით, ავეჯით და შინაური პირუტყვით. მამაკაცები იკრძალებოდნენ იარაღით. ქალები კი,პირადი ნივთებით: სამკაულით, ჭურჭელით და ა.შ(Roesdahl1998).

საინტერესოა სამხრეთ ნორვეგიაში,ოსბერგში გამოვლენილიმდიდარი ქალბატონის სამარხი, რომელიც დაკრძალულია მოახლესთან ერთად. მიცვალებული მოთავსებულია დაახლოებით 21 მ. სიგრძის საგანგებოდ გაფორმებულ გემში პირადი ნივთებით, შინაური პირუტყვით, მათ შორის: ცხენები, ძაღლები, ხარები. სამარხში მეცნიერთა მოსაზრებით, უნდა ყოფილიყო ძვირფასი ნივთებიც. აშკარაა, რომ ვიკინგები, მათი წარმოდგენით მიცვალებულს გზავნიდნენ მოგზაურობაში და ატანდნენ ყველაფერს, რაც დასჭირდებოდა.

ვიკინგთა სამარხებზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაცია ადასტურებს X საუკუნის არაბი ელჩის და მოგზაურის, აჰმად იბნ ფადლანის დეტალურ აღწერას მათი დაკრძალვის რიტუალის შესახებ, რომელსაც ის ესწრებოდა ვოლგის ნაპირთან:,,როდესაც მეთაური კვდება, მსახურებს ეკითხებიან, ვინ მოკვდება მასთან ერთად. მოხალისეს გადაწყვეტილების შეცვლა არ შუძლია. ამ შემთხვევაში შეირჩა მსახური ქალი, რომელსაც პატივით ეპყრობოდნენ ცერემონიის დაწყებამდე. დაკრძალვის დღეს, მეთაურის გემი ამოიყვანეს ხმელეთზე, ხალხი დადიოდა მის გარშემო და სიტყვებს ამბობდა.მიცვალებულის ცხედარი მოათავსეს გემზე. დაკრძალვის რიტუალს უძღვებოდა ასაკოვანი ქალი, რომელსაც „სიკვდილის ანგელოზს“ უწოდებდნენ. მიცვალებულის გარშემო მოათავსეს ტანსაცმელი, იარაღი, ძვირფასი ნითები,ასევე დახოცილი ცხოველები და ფრინველები, სასმელი და საკვები.მსახურმა ქალმა წარმოთქვა სიტყვა: „მე ვხედავ ჩემს ბატონს ვალჰალაში. ის მიხმობს. გამიშვით მასთან“. შემდეგ დაკლა ფრინველი და ავიდა გემზე, მოიხსნა სამკაული, იმღერა, შესვა სასმისი.„სიკვდილის ანგელოზმა“ქალი შეიყვანა გემზე მოთავსებულ მიცვალებულის კარავში. შემდეგ, მსახური ქალი მოკლეს. გარდაცვლილის ახლო ნათესავები გემის ქვეშ ათავსებდნენ ხის ტოტებს. გემზე ისროდნენ ადვილად აალებად მცენარეებს. დაახლოებითერთ საათში ყველაფერი დაიწვა.დამწვარი გემის ადგილას გააკეთეს ბორცვი და აღმართეს სვეტი, რომელზეც ეწერა მიცვალებულის სახელი(Roesdahl, 1998:157).

როგორც ჩანს, ტრადიციულად საზოგადოების მაღალი წოდების ნავით და გემით დაკრძალვა, ეს იყო ვალჰალაში მოგზაურობის სამზადისი. მიცვალებულს ძვირფას ნივთებთან, იარაღთან და ცხოველებთან ერთად საკვებსა და სასმელსაც ატანდნენ. მას ასევე სჭირდებოდა თანამგზავრი, მონა, რომელიც კვდებოდა ბატონის დაკრძალვის დღეს საკუთარი სურვილით(Roesdahl,1998).

სკანდინავიაში ფართოდ იყო გავრცელებული მიცვალებულის ნავით, ან გემით დაკრძალვის ტრადიცია. მსგავსი ტიპის სამარხი გამოვლენილია ქალაქ ბირკაში (შვედეთი), რომელიც სავარაუდოდ მდიდარმამაკაცს ეკუთვნოდა (Xს.).მიცვალებული დაკრძალულია დაახლოებით 2მ სიგრძის ფიცრული ნავით. მისი სამარხის აღმოსავლეთით,მიკვლეულია ცხენების სამარხი. მიცვალებულის სამარხში, ასევე აღმოჩნდა:იარაღი, მდიდრული სამოსი, უჟანგავი რკინის ნაკეთობები, სათამაშო კამათლები, ვერცხლის მონეტები, აღმოსავლური აბრეშუმი, ვერცხლის გულსაკიდები, ბრინჯაოს თასები, რკინის სამაჯურები, ბეჭდები, ბალთები და სხვა(Sorensen,2001:216).

ნორვეგიაში, კაუპანგის მიდამოებში გამოვლენილია IX საუკუნით დათარიღებული მამაკაცის სამარხი. დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგმისი სამარხის ზემოთ დაიკრძალა გემით: ორი ქალი, მამაკაცი და ბავშვი, პირუტყვით და პირადი ნივთებით.მეცნიერი ნეილ ფრაისის განმარტებით, სკანდინავიის ტერიტორიაზე არსებობს სამარხები, რომლებიც წარმოადგენს ერთგვარ ნარატივს კონკრეტული ოჯახის ან საგვარეულოს შესახებ და არსებობს სამარხები, სადაც ერთი მემორიალური სვეტის ქვეშ მდებარეობს რამდენიმე ფენა სამარხებისა.

შვედეთში, გოთალანდის ტერიტორიაზე მიკვეულია ვიკინგების ეპოქის ახალგაზრდა და მოხუცი მამაკაცების მოკრძალებული სამარხი. საყურადღებოა, მიცვალებულთა ფეხებზე დალაგებული ლოდები, რაც შესაძლოა მიგვანიშნებდეს კონკრეტულ ტრადიციაზე ან მოჩვენებათა უკანმობრუნების პრევენციის მცდელობასთან ჰქონდეს კავშირი (Neil Price).

სამარხები ერთმანეთისგან განსხვავდება დაკრძალვის მეთოდით და ინვენტარით. მიცვალებულთა ნაწილი დაკრძალულია პირდაპირ სუდარით, ხის ყუთით, რომელიც ხშირ შემთხვევაში არყის ხისგან არის დამზადებული. ზოგჯერ მსგავს ჩასასვენებლებს ქვებისგანაც ამზადებდნენ. მიკვლეულია ასევე მიწისქვეშა ხის კამერები, მიცვალებულები იკრძალებოდა სხვადასხვა პოზიციაში, მათ შორის მჯდომარეც.

XX საუკუნეში ნორვეგიის ტერიტორიაზე, ოსბერგში გამოვლენილიგემი სამარხი, ოსლო ფიორდის დასავლეთ ნაწილში, დენდროქრონოლოგიის მეთოდით,დათარიღებულია IX საუკუნით. საერთო სიგრძე 22 მ-ია, საერთო სიგანე 5 მ. გემი, რომელიც წარმოადგენდა ორი ქალბატონის სამარხს, შედარებით მცირე ზომისაა.ის მდიდარია მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარით და დათარიღებულია IX საუკუნით(Sorensen,2001:187).

895-900 წლებით თარიღდება ოსბერგიდან დაახლოებით 20 კილომეტრში მიკვლეული გოკსტადის გემი სამარხი, რომელიც მეცნიერთა მოსაზრებით ბევრად გაუმჯობესებული ვარიანტს წარმოადგენს, უფრო დახვეწილს. რომელიც დიდგვაროვან ქალს ეკუთვნოდა.გოკსტადის გემი აღმოაჩინეს მე-19 საუკუნეში. 23 მ.სიგრძე და 5 მ.სიგანე - კონსტრუქცია, მასალა მუხა, დაცულია ოსლოში ნორვეგიაში ვიკინგთა ხომალდების მუზეუმში(Winroth, 2014).

იმდენად დიდი სამზადი სჭირდებოდა მიცვალებულის მომზადებას და დაკრძალვის რიტუალის შესრულებას, რომ ძირითადი სმარხების გვერდით ასევე გვხვდება,დროებითი სამარხი,მაგალითად ჩრდილოეთ ისლანდიაში, ლითლუ ნუფარის ტერიტორიაზე, სადაც იბნ ფადლანის მიერ აღწერილი მონაცემებიდან სამი მთავარი ელემენტია: ალკოჰოლი, საჭმელი და მუსიკალური ინეტრუმენტი (Neil Price).

რაც შეეხება მიცვალებულის სამოსს,მის შესახებ ნათელ წარმოადგენას გვიქმნის მიცვალებულის ტანისამოსის რეკონტრუქცია მამენიის და ვენდელის სამარხებიდან.იბნ ფადლანის გადმოცემით დაკრძალვის რიტუალი ათი დღის განმავლობაში გრძელდებდა. მიცვალებულის ფული იხარჯებოდა დაკრძალვისთვის განკუთვნილ სასმელსა და მის ტანისამოსზე.

როგორც იბნ ფადლანი აღნიშნავს, მიცვალებულს სპეციალურ ოთახის მაგვარ კონსტრუქციაში ათავსებდნენ გემის შუა ნაწილში, რისი მაგალითიც გვხვდება გოკსტადის გემზე. გემი ყოველთვის არ იწვებოდა, მაგრამ იბნ ფადლანის აღწერა ემთხვევა გემის დაწვის კრემაციის რიტუალს, რისი მაგალითიც გვხვდებანორვეგიაში მიკლებოსტშ -ში. აღნიშნული სამარხი IX საუკუნით თარიღდება და ზომით უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ოსბერგისა და გოკსტადის ხომალდი, მაგრამ ცერემონიის დროს ხომალდი დამწვარია, შესაბამისად მისი ზომების შესახებ მხოლოდ მეცნიერთა ვარაუდი არსებობს. დაახლოებით ეს უნდა ყოფილიყო 30 მეტრი სიგრძის და 4 მეტრი სიგანის ხომალდი. სამარხეული ინვენტარის მიხედვით დაკრძალული უნდა ყოფილიყო მდიდარი მამაკაცი, შესაძლოა მეფეც კი.

სკანდინავიის ტერიტორიაზე მიკვლეულია სამარხები, სადაც გამოვლენილია როგორც კრემაციის, ასევე ინჰუმაციის მეთოდი. მაგალითად, დანიის ქალაქ ოლბორგის მახლობლად მიკვლეული გრანდიოზული ლინჰოლმ ჰოიეს სამარხი, რომლის სამხრეთ ნაწილი XI საუკუნით, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილი უფრო V საუკუნით თარიღდება (Neil Price).

გრანდიოზულ სამარხებს შორის აღსანიშნავია დანიის სამეფო დინასტიის კუთვნილი ორი დიდი ზომის სამარხი. ჩრდილოეთით დაკრძალული უნდა ყოფილიყო მეფე გორმი, რომელიც 958 წელს გარდაიცვალა, თუმცა, მეცნიერთა მოსაზრებით, ეს თარიღი ჰარალდის მეფობის დასაწყისად ცალსახად ვერ ჩაითვლება. ვიკინგების ეპოქის მკლევარი ნილს ლუნდი აღნიშნავს, რომ გვიანდელი საისტორიო წყაროების მიხედვით, ჰარალდმა ორმოცდაათი წელი იმეფა დანიაში, გარდაიცვალა არაუგვიანეს 987 წლისა, თუკი ის ორმოცდაათი წელი მეფობდა, უნდა ყოფილიყო მამის მეფე გორმის თანამმართველი. ცარიელი აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ ნაწილი, რომელიც უფრო გვიანდელია, სავარაუდოდ ის მეფე ჰარალდისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, მაგრამ არ გამოუყენებია, რადგან გაქრისტიანდა. არსებობს მოსაზრება, რომ სამხრეთ სამარხი განკუთვნილი იყო დედოფალ თირესთვის. სამარხებთან ერთად აღმართული რუნული ქვის მონაცემებით დედოფალი მეფე გორმზე ადრე გარდაიცვალა. მისი ცხედარი მიკვლეული არ არის.ქრისტიანობის მიღების შემდეგ 965 წელს, მეფე ჰარალდმა მამის ნეშტი იქვე აგებულ ქრისტიანულ ტაძარში გადაასვენა.

არქეოლოგიური შესწავლა ცხადყოფს, რომ ჰარალდის მმართველობისას აიგო არაერთი თავდაცვითი ნაგებობა, ციხესიმაგრეები, მტკიცე კედლებით ჰედების, რიბესა და ორჰუსის ტერიტორიაზე. ასევე დანევირკეში სანაპირო საყრდენებით, თხრილებით, რომელსაც საზღვარი უნდა დაეცვა გერმანელებისაგან. მიკვლეულია წრიული ციხის ნაშთები: ტრელებორგსა და აღმოსავლეთ იუტლანდიის ტერიტორიაზე, აგერსბორგში ჩრდილოეთ იუტლანდიაში,ოდენსესა და სკონეში. მიკვლეული სამარხები დენდროქრონოლოგიურმა კვლევის მეთოდმა დაადასტურა, რომ აგებული უნდა ყოფილიყო ჰარალდის მეფობის პერიოდში(Sorensen, 2001:159-160).

საყურადღებოა, სკანდინავიურ წყაროებში დაცული ცნობები XI საუკუნეში წარმართული სამარხებიდან მიცვალებულთა ქრისტიანულ სამარხებში გადასვენების შესახებ, რაც ვფიქრობ,რელიგიის ცვლილებით გამოწვეული დამოკიდებულების შესახებ გვიქმნის წარმოდგენას. მაგალითად,"Landnámabók"იგივე „წიგნი ისლანდიის დასახლების შესახებ" გვხვდება ცნობა ვინმე ასმუნდის შესახებ, რომელიც დაიკრძალა გემის სამარხში მონასთან ერთად.

ისლანდიურ წყაროებში არაერთი ცნობა გვახვდება ადრეული სამარხების გახსნის და ძვლების ტაძრის ეზოებში გადასვენების შესახებ, რაც არქეოლოგიური შესწავლითაც დასტურდება(Ulff-Moller)

წარმართობიდან ქრისტიანობაზე გადასვლის პროცესის კვლევისას, სამარხების შესწავლის და მისი მნიშვნელობის შესახებ საინტერესო და ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის მეცნიერი ანდერს ვინროსი, ნაშრომში „სკანდინავიის მოქცევა". იგი აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთ ევროპაში მიკვლეული სამარხების ზუსტი დახარისხება ქრისტიანული და წარმართული ნიშნით საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს, რადგან მეტწილად ასახავს წარმართულიდან ქრისტიანულ პრაქტიკაში ასიმილაციის სხვადასხვა საფეხურს; განიხილავს იმ კრიტერიუმებს, რომლის მიხევდითაც მეცნიერები ადგენენ სამარხი წარმართულია თუ ქრისტიანული.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს წარმოადგენს, კრემაციის საკითხი.როგორც ცნობილია, კრემაცია არის მიუღებელი ტრადიციაქრისტიანული პრაქტიკისთვის. ამ თვალსაზრისით, საყურდღებოა 780 წელს კარლოს დიდის მიერ სიკვილით დასჯის დაკანონება გვამის კრემაციის შემთხვევაში. კრემაცია, უძველესი დროიდან ცალსახად

ასოცირდებოდა წარმართობასთან. ვიკინგთა სამარხების შესწავლის ანალიზი არ გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ყველა სამარხი ქრისტიანულია, სადაც გვამი არ არის დამწვარი. როგორც ჩანს ორივე შემთხვევა დაშვებული იყო წარმართულ ხანაში. მაგალითად, შვედეთის ერთ-ერთ პროვინციაში ვენდელში, (უპლანდის პროვინცია) და ვალსგერდეში, გამლა უპსალას მახლობლად მიკვლეულია სამარხები, სადაც მიცვალებულთა მხოლოდ გარკვეული ნაწილი კრემაციული წესითაა დაკრძალული, სხვა მახასიათებლების მიხედვით სამარხები აშკარად წარმართულია(Winroth, 2011).

მეორე უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი, რომლის შესახებაც ანდერს ვინროსი საუბრობს, არის სამარხში მიცვალებულის მდებარეობის განსაზღვრის საკითხი. ქრისტიანული ხანის სამარხებში მიცვალებული მოთავსებულია თავით დასავლეთისკენ, რაც ახასიათებს წარმართული სამარხების ნაწილსაც. შესაბამისად ,მხოლოდ ამ კრიტერიუმის მიხედვითაც რთულია მიცვალებულის რელიგიური ორიენტაციის განსაზღვრა.

მესამე უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს წარმოადგენს მიცვალებულის პირადი ნივთები და დაკრძალვის ტრადიციის კვალი. როგორც წესი, წარმართული სამარხის ინვენტარი საკმაოდ მრავალფეროვანია, დაწყებული პირადი ნივთებით დამთავრებული შინაური პირუტყვით. ქრისტიანებისათვის კი, აუცილებლობას წარმოადგენდა მხოლოდ ტანისამოსი დაქრიტიანული სიმბოლიკა, რაც გულისხმობს, რომ ქრისტიანები უნდა დაკრძალულიყვნენ მხოლოდ ყელსაბამით ან ქრისტიანული სიმბოლოებით(Winroth,2011).

კვლევის შედეგები

არქეოლოგიური მონაცემები მკაფიოდ მიუთითებს შუა საუკუნეების სკანდინავიის ტერიტორიაზე მიცვალებულის ძლიერი კულტის არსებობას. სამარხეული ინვენტარი მეტწილად მრავალფეროვანია და ნათლად ასახავს პოლიტიკურად ჯერ კიდევ გაუერთიანებელი საზოგადოების, კულტურულ ერთიანობას წარმართული სიმბოლიკას დაკრძალვის ტრადიციების სახით.

რელიგიური ცვლილებები სკანდინავიის ტერიტორიაზე ერთი მმართველის დროს არ დაწყებულა და დამთავრებულა. ეს საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი საუკუნეების განმავლობაში გაგრძელდა და ეტაპობრივად აისახა დაკრძალვის ტრადიციებსა და მრავალფეროვან სამარხეულ ინვენტარში. ქრისტიანულ სამყაროსთან პოლიტიკური კავშირის პარალელურად, X საუკუნით დათარიღებულ სამარხებში თანდათან აქტიურად ჩნდება ქრისტიანული სიმბოლოები, რომელიც მომდევნო საუკუნეებშც გვხვდება წარმართულთან ერთად. მათ შორის, ტაძრის ეზოებში დაკრძალული ქრისტიანი მორწმუნეების სამარხებშიც.

ნორვეგიაში შედარებით ადრე დაიწყო წარმართული ელემენტების ქრისტიანულით ჩანაცვლება, ვიდრე დანიასა და შვედეთში, რაც ქრისტიანი მისიონერების წარმატებულ მოღვაწეობასა და მათ მიმართ ადგილობრივი მმართველობის მხარდაჭერზე მიუთითებს.

დასკვნა

საკითხის ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამარხების მახასიათებლების მიხედვით რელიგიური ორიენტაციის დადგენა საკმაოდ რთულია. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს,

რომ დაკრძალვის ტრადიცია პირველ ეტაპზე არ განიცდიდა მკაცრ რელიგიურ გავლენას. რომ მეცნირებს უჭირთ მკვეთრი ზღვარის გავლება ვიკინთა ეპოქის სამარხების შესწავლისას.

კომბინირებული სიმბოლიკის გამოყენება, ვფიქრობთ მიუთითებს იმ გარემოებას, რომ ქრისტიანობის მიღება განსაკუთრებით თავდაპირველ ეტაპზე ასოცირდებოდა არა რწმენის სისტემასთან, არამედ სიახლის, ცივილიზებულ დასავლურ სამყაროსთან ღია კავშირის სიმბოლოსთან. შესაძლოა, სწორედ ამიტომ არ მოდის წინააღმდეგობაში ჯვრის(ქრისტე) და ურის(თორი) ერთდროული გამოყენება და წარმართულ-ქრისტიანული დაკრძალვის ტრადიციის თანაარსებობა ერთმანეთთან.

სამარხების შესწვლის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ რთულია მკვეთრი ზღვარის გავლება ქრისტიანულ და წარმართულ სამარხებს შორის, მკაფიო ქრონოლოგიური ჩარჩოს დადგენით. IX-X საუკუნიდანსკანდინავიური სამარხებში, მასიურად გამოვლენილი კომბინირებული სიმბოლოები,მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის, ერთი მხრივ სკანდინავიური წარმართული დაკრძალვის ტრადიციების დამეორე მხრივ, სკანდინავიის ტერიტორიაზე ახალი სარწმუნოების გავრცელების პროცესში გარკვეული ქრონოლოგიური და გეოგრაფიული თანმიმდევრობის შესახებ.

ბიბლიოგრაფია

Roesdahl,E. The Vikings. (1998). Penguin Books, London.

Sorensen,P.M,*The Oxford Illustrated History of the Vikings.*(2001).*Oxford University Press:*3th,England.

Winroth,A.The Conversion of Scandinavia.(2011).Yalle University Press,United States of America

Winroth,A.The Age of the Vikings.(2014).Princeton University Press,United States of America

Neil Price.Burial Customs of the Viking Age: https://bit.ly/39eBB56მასალაზე წვდომა 20.05.2020

Ulff-Moller, J.(2016). *The Origin of the book of the settlement and Celtic Christianity in Iceland, Essays, SMSR 82, 2,* pp.887-915https://bit.ly/2HJaoM მასალაზე წვდომა 17.06.2020

იოსებ შენგელია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის მიმართულების დოქტორანტი

ქეთევან ციმინტია
ივანე ჯავახიშვილის სახელეობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ანთროპოლოგიის მიმართულების დოქტორანტი

აგრარულ კულტურასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები სამეგრელოში

Abstract

Belief about agrarian culture have existed all over the word since ancient times. People pray to deity for abundant crops. They asked god or goddesses for suitable weather for good harvest and welfare. Agricultural deities existed in Georgia as well. In a Christian era Georgian people prayed to the Christian Saints instead of the deity. One of the historical-ethnographic region named Samegrelo people performed rituals around the earthenware vessel named Kvevri, in cellar or open air as well. The topic is about agrarian culture and worship in Samegrelo. The rituals in which agrarian cult had mane place is discussed.

საკვანძო სიტყვები: *სამეგრელო, აგრარული კულტურა, თაყვანისცემა, რიტუალები.*

შესავალი

აგრარულ კულტურასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები უძველესი დროიდან არსებობდა. ადამიანები მოსავლიანობას, ნაყოფიერებას, სიუხვეს სხვადასხვა ღვთაებას შესთხოვდნენ და ამისთვის რიტუალებს ატარებდენ. ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთში, მესოპოტამიაში არსებობდა მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებები, რომლებიც სეზონთა ცვლას და მოსავლიანობას უკავშირდებოდა. მიწათმოქმედი ხალხისთვის აგრარული კულტურა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო და ამიტომაც, ყველა ცივილიზაცია მოსავლის სიუხვეს და მის მიღებას დიდ ყურადღებას აქცევდა. ამ მხრივ საქართველოც გამონაკლისი არ ყოფილა.

საქართველოში უძველესი დროიდან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრარულ კულტურას. ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფილ მხარეში ღვთაებებს შესთხოვდნენ მოსავლის გამრავლებას, ამინდის ცვალებადობას; ჰქონდათ სხვადასხვა მეთოდი იმის დასადგენად, თუ როგორი იქნებოდა კონკრეტული წელი ამა თუ იმ პროდუქტის მისაღებად, შემწეობას გამოითხოვდნენ ღვთაებისგან. აგრარული კულტურები (ხორბალი, ღომი, ფეტვი) ნაყოფიერებისა და გამრავლების სიმბოლოდაც მიიჩნეოდა. ამიტომ, მათი გამოყენება სარიტუალო პრაქტიკაში ხშირი იყო. ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ვაზს. ვაზთან დაკავშირებული

რწმენა-წარმოდგენები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეშიც – აგრარულ კულტურასთან დაკავშირებული სარიტუალო პრაქტიკა ფართოდ გამოიყენებოდა. აქ, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, აგრარულ კულტურასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს დიდი ადგილი ეჭირა. ისინი უმრავლეს შემთხვევაში, ნაყოფიერებასთან და უხვი მოსავლის მიღებასთან იყო კავშირში.

კვლევის მეთოდოლოგია

აგრარულ კულტურასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების შესწავლა მოხდა საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის, სამეგრელოს მაგალითზე. კვლევისას გამოყენებულია გამოკითხვის მეთოდი. ვერბალური ინფორმაცია მიღებულია უშუალოდ ინტერვიუს პროცესში. ინტერვიუ იყო რიგ შემთხვევებში ფორმალიზებული, ზოგ შემთხვევაში არაფორმალიზებულიც. ინტერვიუირების მეთოდი იყო ნახევრადფოკუსირებული. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მდგომარეობით, აგრარულ კულტურასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რწმენა-წარმოდგენა დაკარგულია და შესაბამისად, რიტუალებიც აღარ ტარდება, საზედაშე ქვევრთან ჩატარებულ რიტუალებზე დაკვირვების მიზნით, გამოყენებულია დაკვირვების მეთოდი და ვიზუალური მეთოდი. საკითხი დამუშავებულია მეორეული ანალიზის მეთოდით. თემის წერისას ძირითადად გამოყენებულია თ. სახოკიას, ივ. ჯავახიშვილის, ს. მაკალათიას, ნ. რეხვიაშვილისა და სხვა მკვლევართა ნაშრომები.

სარიტუალო პრაქტიკა სამეგრელოში

სამეგრელოში აგრარულ კულტურასთან დაკავშირებულ რიტუალებს და რწმენა-წარმოდგენებს სხვადასხვა სიმბოლური დატვირთვა ჰქონდათ. ადამიანები ასრულებდნენ სხვადასხვა სახის რიტუალს, რათა ღვთაების კეთილგანწყობა მოპოვებინათ და მისი შემწეობით, უხვი მოსავალი მიეღოთ.

სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეჭირა მევენახეობასთან დაკავშირებულ რიტუალებს, რომელთა მიზანი ყურძნის სიუხვე და მაღალი ღირსების ღვინის მიღება იყო. რიტუალების დიდი ნაწილი ახალ წელს სრულდებოდა: „ახალ წელს სადილის შემდეგ დიასახლისი ამზადებდა „კირუკარუს“. ეს იყო პური-კვერი, რომელზედაც გამოსახული იყო ყურძნის მტევნები, ხელის წისქვილი, ბარი, ბაგა, ჩამური, ღორი და კრუხი. ამრიგად გარკვეული სახის რიტუალური პურები ვაზის მოსავლიანობასთან იყო დაკავშირებული. ამ კვერებით ოჯახის უფროსი ვენახს ახალ წელს ულოცავდა და მსხვერპლის სახით მას სწირავდა“ (თოფურია, 1984: 41). საახალწლო კვერებზე წერს თედო სახოკიაც. მკვლევრის ცნობით, „ახალ წელს სამეგრელოში აცხობდნენ პატარა პურებს, ყურძნის მტევნების სახისას, რომელიც ყურძნის პატივსაცემად ლოცვის დროს გამოაქვს კალანდის მეორე დღეს საგანგებო ადამიანს“ (სახოკია, 1956:42).

საახალწლო რიტუალის პრაქტიკის ნაწილი იყო მარანში ლოცვა: „ახალი წლის საღამოს, ოჯახები სახლიდან გადიოდნენ. ოჯახის წევრებს თან მიჰქონდათ პური, სიმინდი, მიჰყავდათ ბავშვები. მსვლელობაში მონაწილეებს თან ჰქონდათ ჯოხებიც. შედიოდნენ მარანში,

საწნახელის წინ დადგებოდნენ, საწნახელს ჯოხს ურტყამდნენ და მღეროდნენ: „ჯუჯელია ჯუჯელია! ჩქიმ მამულს ყურძენი დო შხვაშ მამულს ფურცელია! ჩანა, ჩანა... ჩქიმ მამულს ყურძენი დო შხვაშ მამულს ფურცელი“ (ქობალია, 1905:94-96). სარიტუალო ლოცვა ბარაქიანობისაკენ იყო მიმართული. ი. ქობალიას ცნობით, სარიტუალო მსვლელობისას ბავშვები, ისევე როგორც ჭირნახული ზურგზე მოკიდებული მიჰყავდათ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამგვარი ფორმით მონაწილეობა რიტუალში ღვთაებისადმი გამრავლების თხოვნით იყო განპირობებული.

ტერმინ „ჯუჯელიას“ მნიშვნელობა გაურკვეველია ისევე, როგორც აგუნასი და ბადაგონისა (ჯავახიშვილი, 1951: 111).

ზოგადად, სამეგრელოში მარანი წმინდა ადგილად იყო მიჩნეული. კათოლიკე მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის ცნობით, ჯვრისწერა და ნათლობა ხდებოდა მარანშიც. მეგრელები „თუ კარის ეკლესია არა აქვთ, მიდიან მარანში რომელსაც ისეთივე პატივსა სცემენ, როგორც ეკლესიას. იქ ქორწინება ხდება შემდეგი წესით: მეფე-დედოფალი ამოირჩევს ერთ ნათესავს, რომლის მოვალეობაა მეფე-დედოფლის შეყვანა მარანში. შემყვანთ ხელში უჭირავთ ანთებული სანთლები. ჯვრისწერის რიტუალზე, წინ მიდის მეფე-დედოფალი და მათ მისდევთ სამღვდელო პირი, რომელსაც ხელებში უჭირავს ორი გვირგვინი მეფე-დედოფლის თავზე დასადგმელად. რაკი ყველანი შემოვლენ შიგნით, სამღვდელო პირი თავის წიგნიდან უკითხავს მეფე-დედოფალს მრავალ ლოცვას“ (ლამბერტი, 1938:91-92).

ჟან შადენის ცნობით, მარანში აღასრულებდნენ ნათლობის საიდუმლოსაც (შარდენი, 1975:41).

სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში, ელიაობას ჭირნახულის ბოროტი თვალისაგან დასაცავად, ტყემლის ან ასკილის ტოტისაგან გაკეთებულ ჯვარს ყანაში, ვენახში და ბოსტანში დაასობდნენ. ხალხის რწმენით, ჯვარი წარმოადგენდა უმძლავრეს საშუალებას ავი ძალებისაგან თავდასაცავად (თოფურია, 1984:50).

მევენახეობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს შორის, გამორჩეული ადგილი ეჭირა ,,ოხვამერ ლაგვანეფს“ (საზედაშე ქვევრებს - ავტ.). საზედაშე ქვევრები და მასთან დაკავშირებული რიტუალები საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისთვის იყო დამახასიათებელი. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით კი სამეგრელო გამოირჩეოდა.

მეგრელებს ჰქონდათ შემდეგი სალოცავები: ,,ოდუდია“, ,,სამგარიო“, ,,შქვითული“, ,,საღვთო“, ,,საღორონთო“, ,,მიქამგარიო“,,ხეხუნჯობა//სახეხუნჯო“, ,,ოთუთაშხური“ და სხვა. თითოეულ ქვევრში პირველ ნაწურ ღვინოს ასხამდნენ და წლის სხვადასხვა დროს სხვადასხვა რიტუალი სრულდებოდა, რომელიც ოჯახის, გვარის თუ ცალკეული პირის დალოცვისა და კეთილდღეობისკენ იყო მიმართული.

აგრარული კულტურის წამომადგენლებს სამეგრელოში საქორწილო რიტუალებშიც დიდი ადგილი ეთმობოდა: „ეკლესიიდან გამოსულ ჯვარდაწერილებს მაყარი თოფების სროლითა და სიმღერით მიაცილებდა მექორწილე ოჯახისკენ, რომლის ეზოშიც მხოლოდ მახარობლის გაგზავნის შემდეგ შედიოდნენ. ეზოში შემოსულ ნეფე-დედოფალს დამხვდურნი ჟრიამულითა და დამბაჩების სროლით ხვდებოდნენ. მათ მიუახლოვდებოდა სიძის დედა, თითო კოვზ თაფლს შეაჭმევდა და სახლისაკენ გაუძღვებოდა. სახლის ზღურბლზე იდო გადმოტრიალებული თეფში, ხოლო მის გვერდით ღვინით სავსე ჭიქა. ნეფეს თეფში ფეხის დარტყმით უნდა დაემტვრია. პატარძალს კი ფეხის წაკვრით ჭიქა უნდა წაექცია და ღვინო

დაეღვარა. სახლში შესულ ნეფე-დედოფალს წინ მეჯვარე მიუძღვევებოდა და იწყებდნენ კერიის გარშემო შემოვლას. პატარძალს ამ დროს ხელში ღომის ან სიმინდის მარცვლით სავსე თეფში ეჭირა და მარცვლებს ოთხივ კუთხით აბნევდა“ (ანთელავა, 2005:187).

პატარძალი სახლის კუთხეებს მოივლიდა, მოაბნევდა ღომის მარცვლებს, რომელიც, სიმბოლურად გამრავლებასთან იყო დაკავშირებული. შემდეგ, დოქით წყალს მოასხამდა მიწაზე დაბნეულ მარცვლებს. ამით გამოთქვამდა ნატვრას, ოჯახში კარგი ჭირნახული ჰქონოდათ ყანაში და გვალვას არ შეეწუხებინათ. ამ რიტუალის საფუძველია ქმრის ჭერქვეშ მოყვანილი ცოლის სადიასახლისო მოვალეობის არსებობა (სახოკია, 1956:100).

საქორწილო სუფრაზე ხუთი რიტუალური პური უნდა ყოფილიყო: *1.* „სინჯა დო მოჭყუდიშ ქობალი (სიძე-პატარძლის პური), 2. „მორდიაშ ქობალი“ (მეჯვარის პური) 3. „დადეში ქობალი“ (მდადის პური), 4. „დუდ ქობალი“ (თავი პური) და 5. „დუდი ჭვიშტარი“ (თავი ჭვიშტარი) (ანთელავა, 2005: 164).

გამრავლების და ნაყოფიერების სიმბოლო – ხორბალი – სამეგრელოში ბავშვის დაბადების დროს შესრულებულ რიტუალშიც გამოიყენებოდა. ბავშვი რომ დაიბადებოდა, იმ დღეს, ბავშვის ბებია იქ მყოფ ქალებს ხელში პურის მარცვლებს ჩაუყრიდა. რიტუალს ერქვა „ხეშ კაკალიშ გითორღვაფა“. ქალები სამჯერ მუჭებში გაატარებდნენ ამ მარცვლებს და დაილოცებოდნენ მშობიარეზე. ბავშვის ბებიაც დაილოცებოდა გამომცხვარი კვერებით (მაკალათია, 1941:272).

გვალვა-დელგმის საწინააღმდეგოდ და მიწის მოსავლიანობის გამრავლებისათვის არაერთი რიტუალი არსებობდა სამეგრელოში. მაგალითად, „ელიობას ორი კაცი ყანაში წავიდოდა, წაიღებდა ერთ ქოთან რძეს, ოთხ კვერს და ლეკუხას (ხეჭრელას) ჯოხს. ამ ჯოხზე, ყანის ავი თვალისაგან დაცვის მიზნით, ჯვარს ამოჭრიდნენ და თვალსაჩინო ადგილას გააკეთებდნენ. ყანაში ცეცხლს დაანთებდნენ და ზედ რძით სავსე ქოთანს დაადგამდნენ. ერთი, რომელსაც ხელში მამალი ეჭირა, დანის გარშემო დარბოდა, მიწას ჯოხს არტყამდა და გაიძახოდა: წმ. ელია მაჩუქე ყანაო; შემდეგ ცეცხლთან მივიდოდა და მეორე კაცს ეკითხებოდა – ადუღდა თუ არა რძეო. ის უპასუხებდა – ადუღდა და გადმოვიდაო. ეს კითხვა-პასუხი რამდენჯერმე მეორდებოდა. თუ რძე გადმოვიდოდა და ცეცხლი ჩაქრებოდა, ეს კარგი მოსავლის უტყუარ ნიშნად ითვლებოდა. ამის შემდეგ კლავდნენ მამალს, ატყავებდნენ, გაკეთებულ ფიტულს თავფეხებიანად ხეზე ჰკიდებდნენ, ხორცს იქვე ჭამდნენ და მიწის მოსავლის გადიდებაზე დაილოცებოდნენ“ (რუხაძე, 1976: 159).

მსგავსი რიტუალი აღწერილი აქვს მ. ჩართოლანს: „ზემო სამეგრელოში გიმათუთას (ოქტომბერს) ადგილის ღმერთის სახელზე ლოცულობდნენ. მამაკაცი ადგილის//საადგილო ქათამს დაკლავდა და ქალი უხვ მოსავალსა და მიწის ბარაქაზე დაილოცებოდა; ლოცვას გარეშე კაცი ვერ დაესწრებოდა“ (ჩართოლანი, 1961:197).

გვალვა-დელგმასთან დაკავშირებულ რიტუალში იცოდნენ თხის შეწირვა: „მეგრელები, როცა სურთ წვიმა მოისპოს, მაშინ მიმართავენ წმინდა ელიას და არა სხვა რომელსა შესწირავენ ხოლმე თხას. ამ თხის ხორცს შესჭამს მღვდელი და ტყავს გასტენენ და იქვე სადმე ჩამოჰკიდებენ ხეზე“ (ლამბერტი, 1938:154).

სამეგრელოს ძველი ყოფისა და წეს-ჩვეულების ერთ-ერთ საყურადღებო მხარეს წარმოადგენდა „ჯარობა“/„ჯარალუა“. „იგი საზოგადოებრივი ურთიერთობის თავისებური სახე იყო და უკავშირდებოდა რომელიმე დიდ დღეობას – გორისჯვრობა, კოხინჯრობა, კალაკრობა,

გიორგობა, ელიობა, მარიობა, (მეგრ. მარაშნა), გოლგოთობა (გორგონთობა), ბარბალობა, აღდგომა, ახალკვირე და სხვა. ასეთ დღეობას (დღახუს), ერთ განსაზღვრულ ადგილას, უფრო რომელიმე ხატის (სალოცავის) კარზე იმართებოდა ჯარობა, სადაც თავს იყრიდნენ აღნიშნულ სალოცავთან ტრადიციით, წეს-ჩვეულებითა და რწმენა-შეხედულებით დაკავშირებული ერთი, ან რამოდენიმე გვარის კაცები, მათი მიმდგამი ნათესავები, მოკეთენი, სტუმრები და ყველა მოსურნენი“ (რეხვიაშვილი, 1969:116).

„ჯარალუა“ დღეს ცდილობდნენ გამოეცნოთ იქნებოდა თუ არა მოსავლიანი წელი. მაგალითად, მეხატულე, ანუ მნათე „გუმოჭყუდურს“ (გათხოვილ ქალს) ხატის წინ დააჩოქებდა და დაამწყალობებდა. შემდეგ საწირავ საგნებს გამოართმევდა და თავ-თავის ადგილას მოათავსებდა. მათ შორის სელს („შულოს“) თითოეულად ათავსებდა იქვე მდებარე ერთ დიდ ქვაბში. როდესაც ყველა მომლოცველი მოვიდოდა, შესაწირ სელის ბულულებს ცეცხლს წაუკიდებდა და ქვის ხვრელში მისგან ავარდნილი ცეცხლის ალის, „ენის“ გადახრა-გადმოხრის მიხედვით იცოდნენ მისნობა („მენცარუა“) იმის შესახებ, თუ როგორი მოსავალი მოვიდოდა იმ წელიწადს, ან კაცის და საქონლის „გავალი“ (ზარალი) და სიმრთელე იქნებოდა თუ არა, მოარული ავადმყოფობა და სახადი ხომ არ შეაწუხებდა ხალხს და სხვა (სახოკია, 1969:117).

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად დგინდება, რომ აგრარულ კულტურასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა მევენახეობასთან დაკავშირებული რიტუალები. საველე-ეთნოგრაფიულმა კვლევამ აჩვენა, რომ თანამედროვე ყოფაში აგრარულ კულტთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და შესაბამისად რიტუალებიც გაქრა ყოფიდან. გამონაკლისს წარმოადგენს საზედაშე ქვევრები. რიტუალების გაქრობის მიზეზი უპირველესად გლობალიზაცია, მიგრაციები და საქართველოს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომბაში ყოფნაა.

დასკვნა და რეკომენდაციები

თანამედროვე ყოფამ შემოინახა მხოლოდ ქვევრთან ლოცვის პრაქტიკა. მართალია იშვიათად, მაგრამ თითქმის ყველა სოფელში ხდება ცალკეული ოჯახებისა თუ გვარის ლოცვა საზედაშე ქვევრთან (ოხვამერ ლაგვანთან - ავტ. შენიშვნა).

რაც შეეხება საქორწინო და ნათლობის რიტუალებს მარანში, დღეს აღარ სრულდება. ამის აუცილებლობა თანამედროვე ყოფაში არ არსებობს. ეკლესია და სამღვდელოება ყველა ქალაქსა თუ სოფელში ჯვრისწერისა და ნათლობის რიტუალის შესრულებას ტაძარში ქრისტიანული წესით უზრუნველყოფს.

აგრარულ კულტურასთან დაკავშირებული რიტუალების შესუსტებას ან გაქრობას ყოფიდან ხელი შეუწყო რუსეთის იმპერიის მფლობელობაში საქართველოს ყოფნის პერიოდში მოსახლეობისთვის რწმენის შერყევამ, მიგრაციებმა და ზოგადად გლობალიზაციამ.

სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში აგრარულ კულტურასთან დაკავშირებული რიტუალები ფართოდ იყო გავრცელებული. მეგრელებს სწამდათ ღვთაების ზებუნებრივი მოქმედების ძალისა მევენახეობის, მარცვლეული კულტურის და ზოგადად, მოსავლის გამრავლებასთან დაკავშირებით. ქართველთა ძველი მსოფლხედვის მიხედვით ადრიდანვე ვაზი და მისი ნაყოფი წმინდა, თაყვანისცემის საგნად და სიცოცხლის მიმნიჭებლად იყო მიჩნეული.

მარცვლეულის კვებითი ღირებულება კი ძალიან დიდი იყო. ამიტომაც ღვთაებას განსაკუთრებული სიფრთხილითა და სიყვარულით სთხოვდნენ მის სიუხვეს.

ბიბლიოგრაფია:

ანთელავა, ნ. (2005). ტრადიციული საქორწილო წეს-ჩვეულებები სამეგრელოში. თბილისი

თოფურია, ნ. (1984). ქართველი ხალხის სამეურნო კულტურის ისტორიიდან. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“

ლამბერტი, ა. (1938). სამეგრელოს აღწერა. თბილისი, გამომცემლობა ,,ფედერაცია“

მაკალათია, ს. (1941). *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. კრებული.* თბილისი, საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება

რეხვიაშილი, ნ. (1969). ჯარობა სამეგრელოში. *თედო სახოკია.* თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“. გვ. 116-137

რუხაძე ჯ. (1976). ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“

სახოკია, თ. (1956). ეთნოგრაფიული ნაწერები. თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა

შარდენი, ჟ. (1975). ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“

ჩართოლანი, მ. (1961). ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“

ჯავახიშვილი ი. (1951). ქართველი ერის ისტორია. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“

Кобалия И. (1905). Из мифической Колхиды, СМОМК. Т.